ბაბო დადიანი

# მოგონებათა დღიური

ვეგასი 2008

© ნინო ხოფერია

© გამომცემლობა „პეგასი", 2008

ISBN 978-9941-9028-2-6

გამომცემლობა „პეგასი"
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 27
ტელ.: 39 07 27; ტელ./ფაქსი: 42 10 00
ელ-ფოსტა: book@pegasus.ge
ვებ-გვერდი: www.pegasus.ge

## რედაქტორისგან

მოგონებათა დღიური მირითადად მარტოობაში იქმნება და საკუთარ თავში ჩაბრუნების, ზოგჯერ სამუდამოდ იქ დარჩენის ცდაა.

ეს არ არის ამბების ზუსტი თანმიმდევრობით აღწერის სურვილი, არც წარმოსახვითი მკითხველის გემოვნების გათვალისწინებით, ნატიფი მეტაფორების რეალიზების მცდელობა.

აქ პიროვნების თითქოსდა ხელშეუხებელი, გამოკეტილი სივრცეა, რომელიც შესამლოა რამდენიმე ათეული წლის მერე იყოს ან იქნებ არც იყოს ვინმესთვის მისაწვდომი და განსაკუთრებულად ფასეული.

,,ბევრჯერ მინახავს დედა, განმარტოებული, როცა წერდა ამ მოგონებებს"— გვიამბობს ქალბატონ ბაბო დადიანის ქალიშვილი, ქალბატონი თათული ღვინიაშვილი — მახსოვს, ერთხელ შევედი ოთახში და დავინახე: რვეული წინ ედო და ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები... ზოგიერთ ფურცელს ახლაც ამჩნევია იმ ცრემლების კვალი... ჩვენს ოჯახს ბედი მუდამ რაღაც განსაცდელს უმზადებდა... არ ვიცი, დედას რა აძლევდა მალას, მაგრამ იმედი არასოდეს დაუკარგავს"....

,,ბაბო დადიანის მოგონებათა დღიურის" სიუჟეტები მირითადად მატერიის მალადობის გარემოში ვითარდება, მაგრამ სამართლიანობის, სიყვარულის, სათნოების ეპიზოდებია ჩართული. ეს კონტრასტები იმდენად სახიერია და მრავლისმთქმელი, რომ მოულოდნელად თვით იმ უმმიმეს ეპოქაზეც გვიჩნდება ნოსტალგია, ერთგულების წრეში მოქცეული ადამიანების განუმეორებელი ურთიერთობების გამო.

იქნებ ამიტომაც არ გვეჩვენება უჩვეულოდ, როცა დღიურის მთავარი პერსონაჟი არაერთგზის თავიდან იკრებს სასიცოცხლო ძალებს... ზუსტად ხუთჯერ, ნულოვანი და განადგურებული მდგომარეობიდან იწყებს ცხოვრებას, სიტყვებით: „ისევ ბედნიერად ვიგრძენი თავი"...

„მოგონებათა დღიური" განზოგადებული ბიოგრაფიაა იმ ეპოქის არისტოკრატი ქალის, რომელმაც მისივე წრის დაუწერელი კანონების თანახმად, გაუგებარ, გაუსაძლის დროებაშიც შეძლო საკუთარი ცხოვრების წესის და ოდინდელი ღირსების შენარჩუნება.

1960 წელს სოციოლოგიური გამოკვლევის კითხვაზე: „რას ნიშნავს თქვენთვის სიტყვა „ღირსება?", ქალბატონი ბაბო პასუხობს: „ღირსება ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის. მასში ვგულისხმობ: რწმენას, პატიოსნებას, კაცთმოყვარეობას, თავმდაბლობას."

შემდეგ კითხვას: „როგორ წარმოგიდგენიათ ღირსების მოპოვების გზა?" სულ რამდენიმე სიტყვით განმარტავს: „ძალიან უბრალოდ — იარო მართალი და სწორი გზით."

ქალბატონი ბაბოს საუბრებსა და ურთიერთობის სტილში იყო რაღაც მკაცრად ლაკონიური. მისი ხედვის არეში მოქცეული პიროვნება ცდილობდა დაეცვა ბაბო დადიანის გემოვნების სტანდარტები. ეს დიდებული ქალბატონი ტონს აძლევდა გარემოს და განსაკუთრებულ ატმოსფეროს ქმნიდა.

„მოგონებათა დღიურში" აქცენტირებულია ყოფის დეტალები, ხასიათები, ქართული არისტოკრატიის უკანასკნელი მოჰიკანების ცხოვრების წესი... აღწერილია მაღალი წრის ოჯახებში გატარებული ბავშვობა, პირველი გამოსვლა საზოგადოებაში, კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში გატარებული წლები... საქართველოს დამოუკიდებლობის მოკლე ხანა, ინტერვენცია, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ეროვნული გმირები, ოჯახის ახლობლები... ბაბო დადიანისა და მისი მეუღლის (ლონდონში განსწავლულ

მარგანეცის მრეწველის) ალექსანდრე მახარაშვილის ცხოვრება კონსტანტინოპოლის ფეშენებელურ სასტუმროში; მაშინდელი ქართველი მილიონერები (მათ შორის, მეცენატი აკაკი ხოშტარია); უცხო ქვეყანა და სამშობლოს მონატრების დაუძლეველი გრძნობა; საქართველოში დაბრუნება; სიყვარულის წილ საშინელი რეპრესიები...

მოგონებებში სხვადასხვა, ხშირად მოულოდნელ კონტექსტში გაიელვებენ ჩვენთვის ძვირფასი სახეები და სახელები: ამბროსი ხელაია, კალისტრატე ცინცაძე, გიორგი შარვაშიძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ვანო სარაჯიშვილი,სიმონ ჯანაშია, რეზო თაბუკაშვილი, მედეა ჯაფარიძე...

ლიტერატურის ისტორიისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ბიოგრაფიის დეტალები იმ პიროვნებისა, რომელიც საკუთარი სურვილის გარეშე, სამუდამოდ დაუკავშირდა გალაკტიონ ტაბიძის სახელს — პოეტის მუზის, მერი შარვაშიძის ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი ცხოვრება... (ქალბატონი ბაბო ხაზს უსვამდა გვარის სწორ ტრანსკრიფციას — „შარვაშიძე“ და არა „შერვაშიძე“).

დღიურში ნახსენებია „ცისფერყანწელთა“ არტისტული კაფე „ქიმერიონი“. პარალელურად, სრულიად მოულოდნელად, კონსტანტინოპოლის რუსულ, ელიტარულ რესტორანში „*Черная роза*“ გამოჩნდება მევიოლინე გულესკუ. ეს ის რუმინელი მევიოლინეა — ჟან გულესკუ, რომელიც ვირტუოზულად უკრავდა „ქიმერიონში“ და ექსპრომტებს უძღვნიდნენ ქართველი პოეტები, მაგრამ მოულოდნელად გაქრა თბილისელთა თვალთახედვიდან. აქამდე (ქ-ნ ბაბოს დღიურის წაკითხვამდე), არავითარი ცნობა მისი შემდგომი ბედის შესახებ არ არსებობდა.

ადამიანები, რომელთაც ქალბატონი ბაბო განსაკუთრებული სიყვარულითა და მადლიერებით მოიხსენიებს, თვით ყველაზე დამთრგუნველ ატმოსფეროშიც კი ინარჩუნებდნენ საკუთარი ღირსებისა და სახელების ბრწყინვალებას და თავიანთ გარშემო ამაღლებულ, კეთილშობილ გარემოს ქმნიდნენ.

* * *

ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი და ღირებული გახლავთ ქალბატონ თათული ღვინიაშვილის ზეპირი კომენტარები, რაც ვფიქრობთ, ცალკე პუბლიკაციის თემაა.

ეს არის შვილის თვალით დანახული დედის ცხოვრება და თავისთავად უნიკალურია ჟანრული თვალსაზრისით. ამასთან ერთად, იმ თაობის ტკივილების გამოხატულებაცაა, „ხალხის მტრების შვილების" სახელდებით რომ დამკვიდრდნენ... და საერთოდ, გვეჩვენება, რომ ქალბატონ თათულისთვის დედა არსად წასულა. ყველგან თავს ახსენებს: ყოფაში, აზროვნებაში, ურთიერთობებში, წარსულის მოგონებებში... დედა მისი ცხოვრების ერთგვარი კომპოზიციური საყრდენია. ადამიანებიც, საგნობრივი სამყაროც, გარდასული დროც დედასთან ასოცირდება...

„1937 წელს მამა უკანასკნელად დააპატიმრეს... ისევ რიგები ციხის სარკმელთან მისასვლელად... ისევ სირბილი აფორიაქებული ჭირისუფლების...

დედა ერთ საღამოს წავიდა, რომ მეორე დილისთვის რიგი დაეჭირა... უნდა მობრუნებულიყო, მაგრამ აღარ მობრუნდა. ღამე არ მოვიდა, აღარც მეორე დღეს... მე და გიორგი, ბავშვები, შევშინდით და დედის სამებნელად წავედით... მერჟინსკის ქუჩიდან ორთაჭალამდე ფეხით ვიარეთ... ციხის კარებთან ხალხი ჩაჭედილიყო... „წყალი, წყალი!" — ყვიროდნენ ქალები. პეშვით ვაწვდიდით წყალს... ისინი დღე და ღამე იქ იდგნენ...

ბოლოს დედამ ფანჯარასთან მიაღწია. იქ უთხრეს — „გადასახლებულიაო!..." სასოწარკვეთილები ერთად წამოვედით. მოდიოდა დედა, უკვე ძალიან დაღლილი, დასიებული ფეხებით. ფეხსაცმელებს ვეღარ იკრავდა... ერთი ღამე და ორი დღე ხომ უძილოდ, ციხის ეზოში გაატარა...

დაღამებისას გაიქცა ნავთლუღში, რადგან უთხრეს, იქ გეტყვიან, სად გადაასახლესო. გაიგო: ეშელონი წასულაო როსტოვის მიმართულებით...

დედა რომ როსტოვიდან ჩამოვიდა, მეზობლებმა გააფრთხილეს, მოგაკითხესო... უნდა დამალულიყო, თორემ დაიჭერდნენ... დედა იმ პერიოდში სულ სადღაც იმალებოდა. მე და გიორგი ფაქტიურად მარტონი ვიყავით... ხანდახან ახლობლები გვაკითხავდნენ...

მედეა ჯაფარიძე მოვიდა ერთხელ... მაშინ მე 12 წლის ვიყავი, მედეა 17-ის... ამ წლებში უფრო ჩანს ასაკობრივი განსხვავება... რაჭიდან გამოგზავნილი ლორი და ჭადი მოგვიტანა... ჩვენ ვეღარ მოვითმინეთ, არ დაველოდეთ მედეას წასვლას და იქვე, სასწრაფოდ დავიწყეთ ჭამა... ამ დროს მედეა, ეს ულამაზესი ქალი, დერეფანში იდგა, ფანჯარასთან თავმიყრდნობილი და დიდხანს, დიდხანს მდუმარედ და ნაღვლიანად გვიმზერდა...

მალე მე და გიორგი, როგორც მავნებლის და ხალხის მტრის შვილები, მე-14 სკოლიდან გაგვრიცხეს...

კოშმარული გასახსენებელია ჩემთვის აბასთუმანი. იქ ბიძაჩემმა წაგვიყვანა. დედა იმალებოდა, დაჭერების ეშინოდა...

ზაფხულის თვეა. აივანზე გამოვედი. ჩვენს გვერდით „კაგებეს" სახლები იყო. აივანზე ორი ქალი იჯდა და კისკისებდა. ერთი ეუბნება მეორეს – გაიგე? პაოლო იაშვილს თავი მოუკლავსო...

არ ვიცი, როგორ შევედი სახლში, თვალთ დამიბნელდა...

პაოლოს და ტიციანის რეაბილიტაცია რომ მოხდა, ჩვენ ისევ შუა აზიაში ვიყავით გადასახლებულნი. ნიტას და მედეას დეპეშა გავუგზავნე: „მთელი ჩემი ფიქრებით და განცდებით თქვენთან ვარ".

თურმე პაოლოს დასაფლავებაზე თითქმის არავინ იყო. მხოლოდ კოლაუ ნადირაძე მისულა მეგობართან გამოსათხოვებლად. მედეამ გონება დაკარგა სასაფლაოზე...

* * *

36-ში დაიწყო თანამდებობის პირების დაჭერა. მახსოვს, მამაჩემმა თქვა: „მგონი, ჩვენ მოგვეშვნენ და თავის თავის დაჭერა დაიწყესო"... მაგრამ არ მოგვეშვნენ, მამა კიდევ დააპატიმრეს. 37-ის ივლისში წაიყვანეს, 1938-ის თებერვალში დახვრიტეს.

რამდენადაც დიდი იყო ტრაგედია ჩემი და ჩვენი თაობის ახალგაზრდებისთვის, იმდენად უფრო ღრმაა ჭრილობა ამ ასაკში, რადგან ეს ჭრილობა არასდროს შუშდება...

შვილებს გვაშორებდნენ მშობლებს ისე, რომ საფლავიც არ გვაქვს მათი. მეგობრების მშობლების ჭანაშვიდზე როცა მივდიოდი და შვილი ტიროდა მამას, ვფიქრობდი, რომ ეს დიდი უპირატესობა იყო... მას ხომ საკუთარი მამის საფლავი ექნებოდა...

...დროის გადასახედიდან, ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის დიდი სიყვარული, რომელიც დედას და მამას ერთმანეთთან აკავშირებდა.

დედის არქივში შემორჩენილია ერთი გაცრეცილი წერილი, რომელსაც თავისი პრეისტორიაც ახლავს...

მეტეხის ციხეში დედამ მამას კალათით სურსათი შეუგზავნა. ცარიელი კალათა და პატარა ბარათი დაუბრუნდა. ,,მივიღე ყველაფერი, დიდი მადლობა, გკოცნის შენი შერშე“.

,,შერშე“ ფრანგულად ,,ეძებეს“ ნიშნავს. დედა მიხვდა, რომ კალათაში წერილიც იქნებოდა. სულ დაშალა და იქიდან ბარათი ამოიღო...

,,ჩემო სულიერად და ხორციელად ლამაზო და კარგო, სიხარულო და სიამაყევ, შენ, რომელიც უკიდურეს და სასოწარკვეთილ მომენტშიაც, როდესაც სული სიკვდილთან შერიგებული იყო და ამ წუთისოფლის სიცოცხლეს განვლილად სთვლიდა, მაშინაც თვალწინ მედექი, როგორც წმინდა ანგელოზი, აფაქიზებდი და აკეთილშობილებდი საზიზღარ, ბინძურ ატმოსფეროს, რაშიც მე ვიმყოფებოდი. არასოდეს წარმომედგინა, რადგან არასოდეს არ წამიკითხავს ისეთი ნაწერი ტრაგედია, რომელიც თავისი სიღრმით შეედრებოდეს იმ განცდებს, რადგანაც ალბათ, არასოდეს გამოუანგარიშებიათ და შეუსწავლიათ ის მეთოდები წამების, რომლის საშუალებით კაცის მთელი არსება ყოველმხრივ გაეწამებინათ. იცოდე, ჩემო სიამაყევ, ყოველივე საშუალება წამების, რომელიც აქვს ამ საშინელ მანქანას, ჩემზე ნახმარი იყო, მაგრამ ყოველივე სიმწარე, სიტკბოებად აქციე შენ.

გთხოვ, ამ წუთსაც არ გქონეს ეჭვი, მაშინ, როდესაც მე ცივ, საშინელ სიმყრალეში ვიჯექი და სიკვდილს ველოდებოდი, კაცს რომ ეთქვა ჩემთვის, რა გირჩევნია, რომ არასოდეს საქართველოში არ ჩამოსულიყავი, ახლა სადმე ტაიტის კუნძულებზე იყო,

სადაც მუდამ გაზაფხულია და სილამაზე და ქონებით, ფუფუნებით იცხოვრებდიო, შეურაცხყოფილად ჩავთვლიდი ჩემს გრძნობებს, რადგან იმდენ ბედნიერებას და ნეტარებას ვერსად ვნახავდი, რამდენიც მე შენ მომანიჭე. ოხ, ცუცნა, როგორ მიყვარხარ, შენ რომ იცოდე, როგორ პატივს გცემ, როგორ გაფასებ, როგორ მინდა მოვესწრო იმ სანატრელ მომენტს, როდესაც მე შენ ისევ მოგივლი, გეალერსები, სიყვარულით დაგკოცნი...

მე მინდა, როგორც შენ გეკადრება, ისე გაგრძნობინო, რომ თუმცა ეს ცხოვრება უკუღმართია, სიკეთე, სისპეტაკე ყოველთვის ტანჯვით არ ჯილდოვდება, არამედ ბნელ ღამეს მოჰყვება ნათელი დილა და ცივ ზამთარს თბილი და ლამაზი გაზაფხული"...

არ ვიცი, როგორღაც გადავრჩით. ახლაც, როცა დედა აღარ არის, მგონია, რომ ისევ მისი ლოცვა გვშველის და მეჩვენება, რომ მაინც ერთად ვართ"...

* * *

ტექსტის რედაქციაზე მუშაობისას განსაკუთრებული სიფრთხილით მივუდექით ქალბატონ ბაბოს წერის მანერას, იმ ეპოქისთვის მახასიათებელ ე.წ. რუსიციზმებს, კონკრეტული დროების წიაღში წარმოქმნილ ტერმინოლოგიას. ჩავთვალეთ, რომ ვთქვათ, ავტორისეული „ეშალონი" ან „ყაზახისტანი" უფრო სახიერად გამოხატავს საბჭოური რეპრესიების წლებს, ვიდრე გრამატიკულად სწორი „ეშელონი," „ყაზახეთი"... და ა.შ.

მოგონებათა დღიურის ბოლო გვერდზე, ქალბატონ ბაბოს ხელით გადაწერილი, შექსპირის 66-ე სონეტის რეზო თაბუკაშვილისეული კონგენიალური თარგმანია.

„ყველაფრით დაღლილს, სანატრელად სიკვდილი დამრჩა,
რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,
რადგან არარამ შეიფერა მდიდრული ფარჩა,
რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,
რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა,
რადგან მრუშობით შელახულა უმანკოება,
რადგან დიდებას სამარცხვინოდ უთხრიან საფლავს,
რადგან მლიერი დაიმონა კოჭლმა დროებამ"...

* * *

მოგონებათა დღიური პუბლიკაციისთვის არ იყო გამიზნული („იქნებ ჩემმა შვილიშვილებმა წაიკითხონ ოდესმე...“), ანუ შესაძლოა, ეს ხელნაწერი რვეული, ცალკეულ ფურცლებთან ერთად, მხოლოდ საოჯახო რელიკვიად დარჩენილიყო ისე, როგორც ქალბატონ ბაბოსეული მემორიალური სამელნე ან შანდალი, ჩამოღვენთილი სანთლით...

ბაბო დადიანი რელიკვიად აქცევდა ყველაფერს. მაგალითად, მარტვილის ეკლესიის ეზოში მოწყვეტილ ყვავილს, რომელიც დღიურის ფურცლებშია ჩაკრული, წარწერით: „მოწყვეტილია მარტვილის ეზოში“... მისივე ხელნაწერებთან ერთად აღმოჩნდა ყაზახეთის პლანტაციებში მოკრეფილი ბამბის მცენარეც...

უმცირესი, მანუგეშებელი აზრი, რომ ყველაზე გაუსაძლისი უკვე დასრულდა და შეუძლებელია განმეორდეს, ძალას მატებდა შემდგომი, მოულოდნელობით აღსავსე დღეებისთვის....

დღიურის ფურცლებზე ნაჩვენებია ჩვენი უახლესი ისტორიის პარადოქსული ეპიზოდები და ქალბატონ ბაბოს არაჩვეულებრივი ცხოვრების კვალი...

ბაბო დადიანის სუბიექტური აზრები ამა თუ იმ პიროვნებასა თუ მოვლენაზე სწორედ გულწრფელობის ნიშნითაა განსაკუთრებულად ღირებული. ეს ის შემთხვევაა, როცა ქაღალდზე გადატანილი ემოციები, დროთა განმავლობაში, ეპოქის დოკუმენტებად იქცევა, ხოლო ავტორი წარსულიდან ჩვენსკენ მომავალ იმ მკვირფას სილუეტთა შორის აღიქმება, ცნობიერებაში სამუდამოდ რომ რჩებიან აღბეჭდილნი...

*ნინო ხოფერია*

ოჯახი ადამიანის გამომჩენია, მისი კარგის მაჩვენებელია. სახლის გარეგნობაც კი თვალსაჩინოდ ჰყოფს იქ მცხოვრების ვინაობას. ჩემთვის საკმარისია თვალი გადავავლო სახლის გარეგნობას და მაშინვე მოგახსენებთ, რა თვისების კაცია მისი პატრონი: მუყაითი, მშრომელი, მოყვარული თავისი ოჯახისა თუ უქნარა, მცონარა და გამფლანგავი.

რა არის ოჯახი, ბინა? ოჯახი კაცისთვის ის პატარა ქვეყანაა, რომელსაც სავსებით მფლობელობს. თითოეულ საგანს აზის დაღი პატრონის ავკარგიანობისა, მისი შრომისა და მზრუნველობის.

არა მარტო ჩემი ღირსების დასაცავად, არამედ ჩემივე სიამოვნებისთვისაც, განუწყვეტლივ უნდა ვცდილობდე, რომ ბინა სუფთა, შნოიანი და ოჯახი მყუდრო იყოს.

როგორც ყოველთვის ყოფილა საქართველოში, უწინ ქალი აფაქიზებდა გარემოს. მამაკაცთა ზნეობრივ მხარეში რაიმე მიუღებელს ფესვებშივე აქრობდა ისე, როგორც ქვეყნისთვის მავნებლურ უთანხმოებას...



ბაბო დადიანის დედ-მამა
ლაისო მიქელაძე და კოკი დადიანი



**ნოე (კიწი) ფაღავა და პატარა ბაბო დადიანი**

რადგან უთანხმოება ოჯახში ნიშნავს უთანხმოებას ქვეყანაში.

ღირსება ოჯახში ნიშნავს ქვეყნის ღირსებას.

ყველაფერზე უნდა დავწერო: ბავშვობა, ბანძა... ხოსუმი, ბაბუა გიორგი[1] მერე თბილისი, მომზადება პანსიონში შესასვლელად, სოფიო ვასილევნას პანსიონი, განცდები, სიძნელე, ოცნება...

პირველად კიწი ბაბუას[2] ჩამოსვლა პანსიონში – შეხვედრა... პანსიონიდან გამოსვლა და ბანძაში წასვლა საშობაოდ. ისევ პანსიონში დაბრუნება. საჩუქრები – ქუთებით ხილი, რახათლუხუმი... საჭაპურები იმდენი, რომ მთელი პანსიონის ბავშვებს დაურიგდა. პანსიონში ნათლია სალომეს ჩამოსვლა საჩუქრებით, ყურადღება...

შემდეგ ქუთაისში ყოფნა. სიყვარული, ყურადღება, შესანიშნავი ოჯახი, ბაღი, ვარდები, ნაძვის ხე, მნახველები, საჩუქრები... ბონდო ბიძია[3], ლენა ბიცოლას და მალვინას[4] მოსვლა დიდი „ბანბანერკით" როგორ ველოდი ნათლია სალომესაც... ჩემთვის ყველაზე საყვარელი და სანატრელი ახლობლები...

მარია ფეოდოროვნას სახელობის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში შესვლა.

ამ ინსტიტუტში მოხვედრა მალიან ძნელი იყო. მე ბებიდა ბაბოს (ბარონ მეინდორფის მეუღლის, მიხეილ შარვაშიძის ქალიშვილის) მონდომებით მიმიღეს. მაქვს წერილი ბაბო ბებიდა წერს თავის დას – დიდედა თამარს: ბაბუსიას (ასე მეძახდნენ ბავშვობაში) მოწყობა მალიან ძნელი იყო, მაგრამ მომეცა საშუალება მეთხოვა მეფის სასახლეშიო...

---

[1] გიორგი შარვაშიძე, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ბაბო დადიანის ბებიის, თამარ შარვაშიძის ძმა
კიწი ფაღავა, თამარ შარვაშიძის მეუღლე
[3] ბონდო მიქელაძე, ბაბო დადიანის დედის ძმა
[4] მალვინა მიქელაძე, ბონდო მიქელაძის ქალიშვილი, კოკი დავითის ძე დადიანის მეუღლე



გიორგი შარვაშიძე




ბაბო შარვაშიძე

სასწავლებელს თავისი ცხოვრების და სწავლების წესი ჰქონდა. დიდებული საწოლები, გაქათქათებული ზეწრები, ღამის პერანგები, ორ-ორი პირსახოცი. კვირაში ორჯერ ყველაფერს გვიცვლიდნენ: წინსაფენები, პელერინები, ბაბთები, და სახელოები თეთრები. ბაბთები წინსაფენის უკან ისკვნებოდა. ფართე ბაბთი აუცილებლად ლამაზად უნდა ყოფილიყო გასკვნილი. თმები გადავარცხნილი(გაყოფილი არ შეიძლებოდა), მალიან სწორად გადავარცხნილი, და ორი თითის სიგანე შავი საფერდის ლენტით გადაჭიმული... დილით გვაღვიძებდა ზარი. იმ წუთსავე უნდა ავმდგარიყავით და ლოგინები ლამაზად გაგვესწორებინა. უმალვე მივეშურებოდით დასაბანად. ქამრამდე პერანგჩაწეულები ყინვასავით ცივ წყალში ვიბანდით ონკანის ქვეშ. შემდეგ ტუალეტის ოთახები იყო, სადაც თბილი წყალი მოდიოდა მუდამ და იქაც ვიბანდით. ამ ყველაფერს თვალყურს ადევნებდა მორიგე კლასის დამრიგებელი. მერე ჩაცმულებს დაგვაყენებდნენ წყვილ-წყვილად, სიმაღლის მიხედვით და შევდიოდით დიდ დარბაზში დილის ლოცვის წასაკითხად. დღეში ექვსი გაკვეთილი გვქონდა. დიდი დასვენება ორმოცი წუთი. ამ დროში ვასწრებდით ჩვენს დიდ ბაღში სეირნობას, „ტენისის“ თუ სხვა რამის თამაშს. უცხო ენა იყო ფრანგული. გვევალებოდა კლასის დამრიგებლისთვის ფრანგულად მივვმართა. გვქონდა ცეკვის და სიმღერის გაკვეთილები, სპეციალური ტანსაცმლით. პირველი სართულის ყველა ოთახში იდგა როიალი. გაკრული იყო ცხრილი, თუ ვის სად უტარდებოდა მუსიკის გაკვეთილები. საუკეთესო მასწავლებლები გვამეცადინებდნენ...საღამოს ისევ ცივი ონკანის ქვეშ ვდგებოდით და მერე იქვე დიდ ოთახში ცხელი წყალი და ტუალეტის ჩატარება... როცა ვწვებოდით ლაპარაკი აკრძალული იყო. შუქს ჩააქრობდა კლასის დამრიგებელი და ჩუმად დადიოდა ერთი კუთ-



მარუსია ფაჩნაძე

ხიდან მეორემდე. დადიოდა ლოგინებს შუა, სანამ ყველა არ დაიძინებდა. კლასის დამრიგებლები ცხოვრობდნენ იმავე შენობაში და ყველას ცალკე მშვენიერი ოთახი ჰქონდა.

შაბათს და კვირას ეკლესიაში. მღვდელი რუსი, წირვა-ლოცვა რუსულად, გალობა რუსულად. მგალობლები ჩვენი ინსტიტუტის მოსწავლეები. ხელმძღვანელი მარუსია ვაჩნაძე. ძალიან ლამაზი იყო. მისი სურათები ჩვენს რვეულებზე იყო აღბეჭდილი. ერთ სურათში იჯდა სწორად, გამართულად. ამაზე ეწერა: ,,როგორ უნდა იჯდე" მეორე სურათზე იგივე მარუსია ვაჩნაძე იჯდა მოღუნულად. იმაზე ეწერა: ,,როგორ არ უნდა იჯდე".

მეფის რუსეთში, როდესაც ქალიშვილი ამთავრებდა ასეთ დახურულ სასწავლებელს, ტოვებდნენ კიდევ ერთი წლით პედაგოგიურ პრაქტიკაზე. მარუსიას შემდეგ გუნდის ხელმძღვანელი იყო მელეხან ლორთქიფანიძე.შემდეგ პლატონ ლექავას მეუღლე და ცნობილი მხატვრის ზურაბ ლექავას დედა. მარუსია ვაჩნაძე წავიდა ემიგრაციაში. გაჰყვა იტალიელ მფრინავს და ევროპაში ცნობილი მომღერალი გახდა.

ერთხელ სასწავლებელში დიდი ფუსფუსი და მზადება იყო. ჩვენთან უნდა მოსულიყო იმპერატორი ნიკოლოზ მეორე. ჩაგვაცვეს ახალი ფორმის კაბები, თეთრი წინსაფრები, თეთრი სახელოები. ჩვენი ფორმა იყო მუქი იასამნისფერი, იისფერი, ძალიან გრძელი და თეთრი, მხრებზე გადმოშვებული წინსაფენი ძალიან უხდებოდა. იმპერატორის მოსვლის დღეს ლამაზად დაგვამწკრივეს კიბეებზე იქით-აქეთ. მოვიდა ნიკოლოზ მეორე. ეცვა ნაცრისფერი ჩოხა-ახალოხი, ეკიდა ლამაზი ხმალი. ამოვიდა კიბეებზე. ჩვენ, დამწკრივებულები, ყველა ღრმა რევერანსით შევხვდით და მერე ნელი ნაბიჯით, გედებივით გავყევით სტუმრებს, რომლებიც შევიდნენ ჩვენს დიდ სადარბაზოში. იქ გუნდმა მეფის სადიდებელი იგალობა. შემდეგ მოსწავლე მიშჩენკო, ვისი ბიძაც ცნობილი გენერალი იყო, შუა დარბაზში მიუახლოვდა და სიტყვა უთხრა მეფეს. მერე მეორე მოსწავლემაც, თ. ციციშვილმა წარმოთქვა სიტყვა. შემდეგ გუნდმა როცა ისევ იგალობა, იმპერატორმა ისურვა ჩვენს პირდაპირ წმინდა ნინოს სასწავლებელი მოენახულებინა. როცა კიბეებზე ჩადიოდა, ნინო ჩიკვაიძე (უფროსი კლასის მოსწავლე) და მე ჩავყევით და ქუჩაში რომ გავედით, გასაოცრად ახლოს აღმოვჩნდით მეფესთან, ისე, რომ მის ქუდს (ბოხოხს) ხელი მოვკიდეთ და სამახსოვროდ ბეწვი ამოვგლიჯეთ იქიდან. მეფეს გაეცინა და მოულოდნელად თავისი ბოხოხი მოგვაწოდა. ჩვენ ერთ წამს შევყოვნდით და მერე კიდევ უფრო დიდი ბეწვი ამოვაძვრეთ იმპერატორის ქუდიდან. დიდხანს ვინახავდით მე და ნინო მეფის ბოხოხის ბეწვს სამახსოვროდ... ამ ამბავს რომ სადმე ვყვებით, დაჯერება უჭირთ და ამიტომ სულ ერთმანეთს ვიმოწმებთ... ნიკოლოზ

მეორის სტუმრობა ჩვენთან აღინიშნა დიდებული საუზმით და საზეიმო სადილით. დაგვირიგეს ყველას, ყველას, სათითაოდ, მოზრდილი ყუთი „ბანბანერკები“ ლოტის საკონდიტროდან, რომელიც თბილისში საუკეთესოდ ითვლებოდა. ოთხი დღე უქმედ გამოაცხადეს...

მაგონდება კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის პირველი წელი. მეგობრობა ელიჩკა ამილახვართან და ასია ტალიშინსკაიასთან. მეგობრობა უფროსებთანაც.


ნინო ჩოლოყაშვილი

მნახველები, საჩუქრები. დიდედას ჩამოსვლა ჩემთან ინსტიტუტში, ფანჯრიდან დანახვა მისი და სიხარული.

ინსტიტუტის წლები – 1915, 1916, 1917, 1918... ეს ყველაფერი უნდა აღვწერო... ბანძაში დაბრუნება, ქალიშვილობა. 1918 წელი... ქუთაისში მამიდა სონიასთან ყოფნა. ერთი-ორი კვირა სენაკში. აკაკი ხორავა, ჯუბუ ღვამიჩავა... ჯუბუს ლექსები. დროის ტარება...

ისევ ბანძა. პირველი ჩემი მგლოვიარება – ჩემი მორდუს დედის გუქას სიკვდილი. პირველად ჩავიცვი შავი კაბა, გლოვა, ზარი.

თბილისში ჩამოსვლა ელუსია აბაშიძე-მამულაშვილის ქორწილზე. პირველად ჩემი საზოგადოებაში გამოყვანა. მამიდა – ნინო ჩოლოყაშვილის ყურადღება, მასთან ვიყავით ბინაზე მერი – დედა[1], საშა – რიმას ბებია, რომელიც სულ ფუსფუსებდა, გვამხიარულებდა. მამიდა ოლია ვაჩნაძე,

[1] მერი წერეთელი, ბაბო დადიანის მამის, კოკი დადიანის მეუღლე მეორე ქორწინებიდან

ყოველთვის ჩვენი ინტერესების დამცველი და ჩვენი ყოველი სურვილის ამსრულებელი. დროსტარება, ცეკვა, საღამოები, რომას საღამო, ნიღბები...

მიწისძვრა გორში... დაჭრილების ჩამოყვანა, მნახველები... ისევ ბანძა. ჯვებე ბიძის უბედური შემთხვევა. ...(დიდი დედა თამარის და კიწი ბაბუს 20 წლის შვილი ჯვებე ფაღავა შემთხვევითმა ტყვიამ იმსხვერპლა. ეს ჩვენი ოჯახის დიდი ტრაგედია იყო). ჩამოსვენება. დიდი ტირილი.

დავრჩი ბანძაში დიდ დედასთან და კიწი ბაბუსთან. მათი უსაზღვრო მწუხარება... დიდედა თამარს დავყვებოდი სასაფლაოზე... რამდენიმე ხნის მერე მორდუ მოსეშ ბანძიდან წირქვალში წამიყვანა ურმით... მერი დედასთან და კოკი ბაბასთან. შესანიშნავი ბუნება, გზა შორაპნიდან ჭიათურამდე. დაუვიწყარი შთაბეჭდილებები...

1919-20 წლები. თბილისში ჩამოსვლა. რტიშჩევის ქ. №18. შესანიშნავი ბინა — 14 ოთახი. მუდამ სტუმრები, შეხვედრები, თავყრილობები... ხუთშაბათობით მელიქიშვილებთან და ორბელიანებთან, შაბათობით ჩემთან... 1918 წელი, ქუთაისი. ვცხოვრობდით ერთ სახლში ჩვენ და ჯიბო იაშვილი, პაოლო იაშვილის მამა... დროს ტარება, მხიარულობა, ლექსები... პაოლომ მიას (ჩემს დას), რომლის ნათლობის სახელი ქეთევანი იყო, მშვენიერი ლექსი უძღვნა:

*გაზაფხულზე მიყვარს ია*
*და მაისი ანამწვანი,*
*ვინ სჯობია ტურფა მია*
*თუ კეკლუცი ქეთევანი?*

*მე ორივეს ვეტრფი მარად,*
*ვუძღვნი ქუჩებს ვარდიანებს*
*და იცოდეთ, რომ ყოველთვის*
*მე ვადიდებ დადიანებს.*



მერი წერეთელი, კოკი დადიანის მეუღლე მეორე ქორწინებიდან

* * *

გიორგი შარვაშიძის ოჯახთან ბავშვობიდან ვარ დაკავშირებული. გ. შარვაშიძის უფროსი და თამარი, მამაჩემის, კოკი დადიანის დედა იყო და მან გამზარდა. რადგან ორი წლის ვიყავი დედა რომ გარდაიცვალა, დაბადებისთანავე ჩემთვის აიყვანეს ძიძა და ძიძის მუძუთი ვარ გაზრდილი. გამძიძავების შედეგად ინასკვებოდა ოჯახებს შორის დამოყვრება, სიყვარული და რაინდულად თავდადებული ერთგულება. ამაზე ბევრი საგულისხმო დაწერილა...

ვიდრე სკოლის ასაკს მივაღწევდი, ზამთრობით სოხუმში ვცხოვრობდი, გიორგი შარვაშიძის სახლში, რომელსაც ჰქონდა ლათინური წარწერა – *Villa Chemi*, სადაც უსაზღვრო ფუფუნებაში და ალერსში ვატარებდი ბავშვობას. გიორგი შარვაშიძე ზაფხულობითაც კი, ივლისსა და აგვისტოს თვეებში, არ გვაჩერებდა მე და ბებიას სამეგრელოში და მუდამ ცდილობდა ჩემთვის ჰაერი გამოეცვალა. ამის დასტურია პატარა წერილი თავისი დის, თამარისადმი მიწერილი, რომელიც ინახება არქივში. ყველაფერი ეს საკმარისი იყო, რომ ის ჩემთვის საყვარელი ბაბუა ყოფილიყო.



გიორგი შარვაშიძის სახლი სოხუმში

ჩემი აღმზრდელი ბებია თამარი გარდაიცვალა 1926 წელს 30 დეკემბერს, 95 წელს გადაცილებული. ბებიაჩემი უკანასკნელ წლებში ჩემთან ცხოვრობდა კობის ქუჩაზე (ახლანდელი თარხნიშვილის ქუჩა).

ამიტომ, რა თქმა უნდა, მთელი მისი პირადი არქივი, მათ შორის გ. შარვაშიძის ხელნაწერები, პირადი წერილები, საბუთები და უამრავი სურათი ჩემთან დარჩა.

აკად. სიმონ ჯანაშიამ ყველაფერი ეს იცოდა, მობრძანდა თვითონ, თავის მეუღლესთან, ქალბატონ მართასთან ერთად და მთხოვა მიმეწოდებინა მასალები გიორგი შარვაშიძის შესახებ, რაც სიამოვნებით შევასრულე. აკად. სიმონ ჯანაშიას დავალებით და პროფ. დავით ფურცელაძის დახმარებით, მივაგენი გ. შარვაშიძის მეტად საინტერესო წერილს, დაბეჭდილს გაზეთში „Закавказская речь" 1911 წ. № 146, რომელიც ეხება გერმანელი ჟურნალისტის ცილისმწამებლურ კორესპონდენციას მისი საქართველოში ყოფნის შესახებ. ამ წერილის მოთავსება კრებულში არ მოხერხდა, ვინაიდან წიგნი უკვე იბეჭდებოდა. ეს წერილი დღევანდელ ახალგაზრდობას და მომავალ თაობას გამოადგება მაგალითად, თუ როგორ უნდა დაიცვა შენი სამშობლო.



თამარ შარვაშიძე

მინდა გავიხსენო კიდევ ერთი ფაქტი გ. შარვაშიძის პიროვნების და მაღალი ბუნებისათვის დამახასიათებელი, მომხდარი მონტე-კარლოში. გიორგი შარვაშიძე კაზინოში მაშინ შევიდა,როცა ერთმა მდიდარმა უცხოელმა, ვგონებ გერმანელმა, უზარმაზარი თანხა, თითქმის ერთი მილიონი მოიგო და იქ მსხდომთ თამაში გამომწვევად შესთავაზა მთელ მოგებულ თანხაზე. სამარისებული დუმილი ჩამოვარდა. ვერავინ ბედავდა. მოულოდნელად ქართველი თავადი გიორგი შარვაშიძე დასთანხმდა. როგორც ჩანს, გერმანელი მის მატერიალურ შესაძლებლობებში დაეჭვდა და ფულის დადება მოსთხოვა. პასუხად გიორგიმ თავისი სავიზიტო ბარათი დადო. ცოტა ხანში გაოგნებული საზოგადოების თვალწინ მთელი



გიორგი შარვაშიძე

ის თანხა მოიგო. გაოცება კიდევ უფრო დიდი იყო, როცა გიორგი შარვაშიძემ კაზინოს მსახურ ბიჭს მოუხმო, ხელით ანიშნა მთელი ფული საჩუქრად აეღო და ვად კი ხმისამოუღებლად, დინჯად გავიდა დარბაზიდან.

1973 წ. იანვრის №2, გაზეთ „სამშობლოში" მოთავსებულია წერილი — „ჟურნალისტის უბის წიგნაკიდან", სადაც აღწერილია მონტე-კარლოში მომხდარი ის ამბავი. გაზეთ „სამშობლოში" მოთავსებული წერილის ავტორს, რომელიც მოგზაურობდა საფრანგეთში, ქონია საშუალება მონტე-კარლოს კაზინოს არქივარიუსის დახმარებით, დაედოკუმენტებინა ეს ფაქტი, რისთვისაც მას, ლადო ბასტრიონელს ვუხდი მადლობას, მაგრამ ნუ მიწყენს, თუ ვუსაყვედურებ და შევნიშნავ, რომ გიორგი შარვაშიძე სადაც არ უნდა ყოფილიყო, ევროპის საუკეთესო საზოგადოებაში, შეუძლებელია ღარიბ-ღატაკის შთაბეჭდილება დაეტოვებინა. ცნობილია, როდესაც მიხაილ ზიჩი საქართველოში დგამდა „ვეფხისტყაოსნის" ცოცხალ სურათებს, მან კატეგორიულად განაცხადა „თუ უბრწყინვალესი თავადი, გიორგი შარვაშიძე მონაწილეობას არ მიიღებს სურათების დადგმაში, მე უარს ვაცხადებ მუშაობაზე" ისიც ცნობილი უნდა იყოს, რომ გ. შარვაშიძეს მატერიალურად შეზღუდული მდგომარეობა არასდროს ჰქონია და მისი ჩაცმულობა მუდამ შეეფერებოდა მისივე საზოგადოებრივ მდგომარეობას, თუ არაფერს ვიტყვით, შესანიშნავ გარეგნობაზე.



გიორგი შარვაშიძე ტარიელის როლში
მ. ზიჩის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებისას

ვცხოვრობდით რტიშევის ქუჩა № 18 (ახლა ჯაფარიძის). მთელი ზემო სართული ჩვენი იყო. საქორწინო კაბა, ნამდვილი ბრიუსელის მაქმანებით (ვიყიდეთ ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახიდან), შემიკერა განთქმულმა ფრანგმა მკერავმა, მადმუაზელ ფანიმ. თმების ვარცხნილობისათვის შინ მოვიწვიეთ მოხელე ლიოვა (გრეგუარის სალონოდან). ფატა ეკავათ ჩემს პატარა ძმებს გიორგის და სვიმონს.

თეთრი ატლასის ფეხსაცმელები ჩამაცვა ჩემმა უფროსმა ძმამ, რომელიც მაშინ იყო იუნკერი (საქორწინო ფეხსაცმლის ჩაცმა უფროს ძმას ევალებოდა. ეს ძველთაგან ყოფილა დაწესებული).

ჩემი მეჯვარეები იყვნენ მერი პროკოფის ასული შარვაშიძე-ერისთავისა და ვალოდია წულუკიძე (გენერალი). წავედით სიონში. სიონის ტაძარი სავსე იყო ხალხით... რომ იტყვიან ნემსი ჩაგეგდო, არ ჩაეტეოდა, ისე იყო გაჭედილი. იქ 12 ყმაწვილი იდგა, ყველა ჩოხებში და თითო ცისფერი ვარდით (მიხეილ მამულაშვილმა შეღება ცისფრად). თაიგულების ნაცვლად უფროსებმა აირჩიეს თითო ვარდი, ძალიან ლამაზი იყო.



ალიოშა მასხარაშვილი და ბაბო დადიანი

ჩვენთან იყვნენ მერაბ ვაჩნაძე (ნატას ქმარი), მერაბ ჯორჯაძე (მაკას, რეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილის დედის ძმა), ლევან გელოვანი, იასონ ჯანდიერი, ალიკ ორბელიანი, თამაზ ორბელიანი (ლიზას ვაჟი), დიმა შარვაშიძე, პაპუნა წერეთელი... ქალები: ნინო ელიაშვილი, რიმა ერისთავი, ნინო კვიტაშვილი, ინუკა მელიქიშვილი, თიკო ჭავჭავაძე, ნინო გრუზინსკაია, მარუსია, დუშკა ორბელიანი და სხვა მრავალი ჩვენი ახლობელი.



ბაბო დადიანი

სიონიდან წამოვედით ისევ ჩემი მშობლების ბინაზე (რტიშევის ქ. №15). იქ ყველაფერი დიდებულად იყო მოწყობილი: კიბეზე გადაჯვარედინებული ხმლებით დაგვხვდნენ, თეფშის გატეხვა... შემდეგ იყო ოთხ დიდ ოთახში ერთი სასადილო, მეორე ოთახში მისაღები დიდი და კიდევ ორ ოთახში დიდებულად გაშლილი მაგიდები შამპანიურებით... საგანგებოდ შეკვეთილი უამრავი ტკბილეულობა... დიდი გემოვნებით იყო ეს ყველაფერი მოწყობილი, რაც დაივალა ბიცოლა ქენია წულუკიძემ, ჩემი მეჯვარის, ვალოდია წულუკიძის მეუღლემ (თვითონ ჯაყელის ქალი იყო). ამის შემდეგ წავედით ჩემი ქმრის ბინაზე. ორბელიანის ქუჩა, კუთხის სახლი. აქ იყო ვახშამი ორას კაცზე მეტისათვის.

დიდ სადარბაზო ოთახში სუფრა იყო, ყველასთვის საკმარისი, გახამებული დიდი, გრძელი სუფრები. თამადა გახლდათ შალვა ალექსი-მესხიშვილი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი იუსტიციის მინისტრი. იყვნენ ფრანგები, ინგლისელები, იტალიელები. დიდებული სიმღერები, ცეკვები დილამდე.



მერი შარვაშიძე

საჩუქრები: აკაკი ხოშტარიამ (ცნობილი მრეწველი რომ იყო, ქველმოქმედი) გვაჩუქა, მთელ დიდ ოთახს რომ დაფარავდა, იმხელა მპირფასი, სპარსული ნოხი. (კუთხეში ჰქონდა ვარსკვლავი — სპარსულ ნოხს. ეს ნოხი მერე შემთხვევით ვნახე თბილისში, ერთ დიდ დაწესებულებაში).

ბევრი კარგი ბროლი, საქსის საყვავილეები, საკამფეტეები და ბევრი სხვა რამ. ვერცხლეულობაც უამრავი.

ჩვენი ბინის მოწყობა ალიოშამ დაავალა ვალოდია ალიბეგოვს და საშა არდიშვილს.

დიდი ბინა იყო. ნახევარი გრიშა ბერიძეს ეკავა. ჩვენი ნახევარი იყო საწოლი ოთახი, სადაც დიდებული საწოლი გვედგა, მეორე ოთახი — მისაღები, სადაც გვედგა ასევე დიდებული ავეჯი, ლამაზი სტილის. იყო დივანი და ორი სავარძელი, ლამაზი მრგვალი მაგიდა და კიდევ მაგიდა, ორი სკამი, ლამაზი ფორმის (ვიყიდეთ მელიქოვებისგან). სასადილო იყო დიდი, ჩვენი და გრიშა ბერიძისთვის, საერთო. გვყავდა კარისკაცი გიორგი, კარგი შესახედავი, მუდამ ჩოხაში ჩაცმული... ხელის მოსამსახურე პაშა, რომელმაც შემდგომ ჯვარი დაიწერა ჩვენ კარისკაცზე, გიორგიზე. ქორწილი ჩვენ გადავუხადეთ. სტუმრებიც მოვიწვიეთ. დიდებული ვახშამი გავუმართეთ. მე ჩემი რამდენიმე მეგობარი დავპატიჟე. მათ შორის, მარუსია და დუშკა ორბელიანები (მათი სახლი გვერდით იყო).

სამზარეულო ქვემოთ გვქონდა, საკმაოდ დიდი. ინგლისიდან მივიღეთ საუკეთესო ხარისხის სამზარეულოს ჭურჭელი. ჩვენმა მზარეულმა გააწყო და მორთო ისე ლამაზად, რომ როცა ჩამიყვანეს და ვნახე, გამოსვლა აღარ მინდოდა.

ყველა ოთახი და სამზარეულოც მაღალი გემოვნებით იყო მოწყობილი.

* * *

ჩვენ კი, მე და ალიოშა, ისეთი ბედნიერები ვიყავით, რომ თუ ქვეყანაზე რაიმე უკეთესი შეიძლებოდა, ვერ წარმოგვედგინა.

ყველგან გვეპატიჟებოდნენ, გვიმართავდნენ დიდ სადილებს, გვიწყობდნენ დიდ სტუმრობას. ყველას ჩვენთან უნდოდა ყოფნა და ჩვენი სიახლოვე, მაგრამ ეს ბედნიერება ხანგრძლივი არ გამოდგა.

ერთ თვეში, 1921 წლის 25 თებერვალს, ღამით, ყველანი გავიქეცით ბათუმში, რომ იქიდან გემით გავსულიყავით საზღვარგარეთ. დავტოვეთ ყველაფერი. ეს ულამაზესად და მდიდრულად მორთული ბინა — გაუხსნელი ყუთები — საქორწილო საჩუქრები, ალიოშამ ჩემთვის პარიზიდან

რომ გამოიწერა. ვერაფრის წაღება ვერ მოვასწარით. მთელი ჩემოდანი ლონდონიდან ალიოშას პერანგები და კარადაში ჩემი კაბები დავტოვეთ, ცნობილი ფრანგი მკერავის, მადამ ფანის შეკერილი. ამ კაბებში დადიოდა მერე ჩვენს ბინაში შემოსახლებული ჩეკისტის შალვა ელიავას ცოლი. „დიდი კომუნისტი“ ეს შალვა ელიავა კოჭლი იყო...

ასევე ყველაფერი დაკარგეს ჩემმა მშობლებმა. სიჩქარით გამოვიდნენ რტიშევის ქუჩიდან. მიდიოდნენ ფეხით სადგურამდე. სასახლესთან ვიღაც პიროვნება, ეტყობოდა ვაჭარი იყო, იჯდა ჩემოდნებით დატვირთულ მანქანაში. ბუჭუ, ჩემი ძმა, რომელიც მივიდა, რომ მერი დედას დახმარებოდა, ამ პიროვნებას სთხოვდა წაეყვანა ქალი, სამი შვილით სადგურამდე. მან უარი უთხრა. ბუჭუმ იარაღი ამოიღო და დაემუქრა. ამ დროს პაოლო იაშვილი გამოჩნდა. ეს კაცი მისი ნაცნობი გამოდგა და ძალით ჩასვეს მერი დედა, მია, გიორგი და სიმონიკა მანქანაში. ასე მივიდნენ სადგურში, სადაც კოკი ბაბაც დახვდათ.

* * *

ბათუმში ვიყავით თითქმის ორი კვირა. უკვე გაზაფხულის დღეებიც დადგა. ქუჩაში ქალები იყვნენ ვარდებით სავსე კალათებით.

ერთხელ გავიარე ეტლით და უცბად ქალებმა დიდებული ვარდები შემომაყარეს. მე გადმოვედი ეტლიდან, მადლობა ვუთხარი და ფული მივეცი. მითხრეს – „*Нам не надо денег. Вы такая красивая, нам хочется Вас одарить розами.*“ მეუხერხულება ამის წერა, მაგრამ იქნებ წაიკითხონ ჩემმა შვილიშვილებმა. ვიყავი 19 წლის, შესანიშნავად ჩაცმული, ლამაზი...

მალე ყველანი ჩავსხედით გემებში. ვინ რომელ გემში მოასწრებდა, იქ ჯდებოდა...

ბონდო, ჩემი ძმა, ჯარში იყო, მუშნი დადიანთან ერთად იბრძოდა. არ მოვიდა გემზე, არ წამოგვყვა უცხოეთში, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქართველოში დარჩენა არჩია.



ბაბო დადიანის და-ძმები: გიორგი, მია და სვიმონი (ცუცქა) დადიანები

# კონსტანტინოპოლი

კონსტანტინოპოლში მივდივართ დიდებული გემით, შავი ზღვა, მშვიდი, ლამაზი დღეები უკვე გაზაფხულის. მივუახლოვდით საოცრად ვიწრო გასასვლელს. ვუცქეროდი და ვფიქრობდი: ეს ამხელა გემი როგორ გაივლის ამ სივიწროვეში. გემი მშვიდად გავიდა და კვლავ იგივე სურათი თვალწინ, იგივე ვიწრო გასასვლელი — ეს იყო წარმტაცი სანახაობა — ბოსფორი. გემზე ბევრი ქართველია. ჩავედით კონსტანტინოპოლში. ქალაქი დიდი, ლამაზი. მივედით სასტუმრო „*Pera-Palas*" (პერა პალას), საუკეთესო სასტუმრო, მთავარ გამზირზე. „პერა"-ში გვქონდა ლუქსი. ჩემთვის, სულ ახალგაზრდა ქალისთვის, ყველაფერი ეს ულამაზესი და წარმტაცი იყო. ჩემი მშობლები, ძმები მიშა (ბუჭუ), გიორგი, სიმონიკა და მია მოეწყვნენ სხვა სასტუმროში. ასევე ჩვენი ნათესავები, მეგობრები, ახლო ნაცნობები სხვადასხვა ადგილას, ზოგი სასტუმროში, ზოგი კერძო ბინაში. სასტუმრო „პერა-პალასში" ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო. განსაკუთრებით რესტორანი, თავისი მომსახურე პერსონალით. გამორჩეული გარეგნობით, სილამაზით, სიმაღლით, ქართველებს გავდნენ. ჩაცმულები ფრაკებში, თეთრი ხელთათმანებით, საოცრად თავაზიანები. სალონი (ფოიე), სულ სარკეებით და პალმებით. ერთხელ ვზივართ სალონში, დიდი შუშის მინა იყო და ქუჩაში გამვლელი კარგად მხედავდა. მეცვა კოსტუმი, ბეჟი (ტაიერი), ძალიან ლამაზად შეკერილი, ინგლისურ სტილში, ქუდი მეხურა ყავისფერი. ყურებთან საყურეებივით მქონდა ჩამოკიდებული რგოლები და ვუალი გადაფარებული. ქუჩაში მოდიოდნენ ოფიცრები, ზოგი პეტერბურგიდან, ზოგი თბილისელებიც. ბრწყინვალე ოფიცრობა, მათ შორის იყო ლუარსაბ ოტიას ძე დადიანი, მამაჩემის მკვიდრი ბიძაშვილი. ბიძია ლუარსაბი, სიცოცხლით სავსე, მუდამ მხიარული და ოხუნჯობის მოყვარული. მიმართა ერთმა ოფიცერთაგანმა: შეხედეთ, რა ლამაზი ქალი ზის სავარძელშიო. ლუარსაბმა დამინახა თუ არა მე, იმწუთას უპასუხა თავის მეგობრებს: დავნიძლავდეთ კარგ ვახშამზე, ამავე კარგ რესტორანში, თუ მე ახლავე არ გადავეხვიო და არ ვაკოცო ამ ლამაზ ქალსო. მეგობრებმა სიცილი დააყარეს და უთხრეს: ვახშამი შენ წააგეო. ლუარსაბმა კიდევ დამაჯერებლად წაიტრაბახა: თქვენ აქ დადექით და მიყურეთო. ბიძია ლუარსაბი შემოვიდა და უცბად მითხრა: თუ გიყვარდე, არ დამელაპარა-

კოვო. მე არაფერი მითქვამს. გაკვირვებული ვუყურებდი, მოვიდა ჩემთან, ჩამოჯდა სავარძლის სახელურზე, ხელი მომხვია და მაკოცა. თან მაჩვენა: შეხედე ჩემს მეგობრებს, იმათთან დანიძლავებული ვარ, ვასშამი მოვიგე, იმათმა რა იციან, შენ რომ ჩემი ძმისწული ხარო.

* * *

დილით საუზმე მოჰქონდათ ოთახში. დავრეკავდი და ქვემოდან, რესტორნიდან ამოიტანდა ლაქია, ხოლო ნომერში ჩემთან საუზმეს მსახური ქალი შემოიტანდა. ხშირად ქვემოთ რესტორანშიც ჩავიდოდით.

დღეები დღეებს მისდევდა. თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ გულისწამღები სევდა არ მტოვებდა... რა ამბავია იქ, საიდანაც წამოვედით?.. ალიოშა წავიდოდა კანტორაში — კანტორა ჰქონდათ აკაკი ხოშტარიას, გრიშა ბერიძეს — მილიონერებს და ჩემი ალიოშაც იყო წევრი ამ საზოგადოების, როგორც წარმომადგენელი უდიდესი ფირმის ინგლისის — „კოსმო"-სი და თანაც დიდი ქონების მქონე, მარგანეცის მრეწველი. ეს ხომ ულევი მადანია — ციდან თოვლი რომცვივა, ასე გამოულეველია ფულის შემოსავალი.

გვყავდა მანქანა „ოპელი" (ეს მანქანა თბილისში მეფის ნაცვლის, ვორონცოვის იყო, შემდეგ კონსტანტინოპოლში გ. ბერიძემ და ალიოშამ შეიძინეს. ალიოშას ვთხოვე და მძღოლად ავიყვანეთ ჟორჟ სევერსკი. ამ ჟორჟ სევერსკის მამა ცნობილი მომღერალი იყო პეტერბურგში, დიდ თეატრში. აგნივცევს აქვს მისდამი მიძღვნილი ლექსი *Н. Г. Северскому — „До Невского несется „Bis" Когда там с Вольцевой в „Елен" играет Северский — Парис"...*

მე კარგად ვიცნობდი, დიდებული კაცი იყო, უკვე ხანში შესული. მე ძალიან ვუყვარდი. შვილი მისი ჟორჟი ჩვენი ახალგაზრდობის მეგობარი, ჩემი თანატოლი იყო. კონსტანტინოპოლში ძალიან უჭირდათ. სპეციალობით ჟორჟი პირველი კატეგორიის მფრინავი იყო და შემდეგ მან ევროპაში გამოიგონა რაღაც საოცრად მნიშვნელოვანი ავიაციის დარგში და მთელ ევროპაში და ამერიკაშიც სახელი გაითქვა.

მანქანა დილით ალიოშას რომ წაიყვანდა სამსახურში, მობრუნდებოდა და საღამომდე, ალიოშას სამსახურის დამთავრებამდე, ჩემს განკარგულებაში იყო, მე წავიყვანდი თამარ შარვაშიძე-ზარნიკაუს — მერი შარვაშიძის დას, ხან მამიდა მერის და ბავშვებს, თამარას, კოტიკ ზარნიკაუს, ოლია სვანიშვილს, ჩემს ნებიერ ძმას, სიმონიკას (ცუცნას), რიმას და წავიდოდით მთელი დღით ქალაქგარეთ. მაქვს ამ ადგილებში გადაღებული სურათები. ჟორჟი მამასავით

დიდებულად მღეროდა, მანქანაში მუდამ გიტარა ჰქონდა, დიდებულად უკრავდა და ამღერებდა… კარგი იყო გასაოცარ ბუნების წიაღში, ბავშვების ხალისით და მათი ნავარდობით, ჟორჟის გიტარით და მისი სიმღერით.

სასტუმრო „ჰერა-ჰალასიდან“ გადავედით, ვიქირავეთ ბინა, ოთხი ოთახი. ერთი ოთახი, დიდი მისაღები, ასეთივე დიდი ოთახი გვერდით – სასადილო და ზემოთ ორი ოთახი, საწოლი და მეოთხე ოთახიც დიდი. თითქმის ყოველდღე, ვახშმად რომელიმე საუკეთესო რესტორანში ან შინ ვსადილობდით. საღამოს 8 საათზე იყო სადილი, მერე მივდიოდით შავი ყავის დასალევად. საღამოს რესტორანი იყო „*Черная роза*“. ეს უმაღლესი დაწესებულება ყველასთვის არ იყო მისაწვდომი. აქ თავს იყრიდნენ წარმომადგენლები ბრწყინვალე პეტერბურგის თავადების და არისტოკრატიის. აქ მღეროდნენ განთქმული ვარსკვლავები პეტერბურგისა: ნასტია პოლიაკოვა, იური მორფესი, საშა მაკაროვი.

რუსი არისტოკრატიის რესტორანში ვიოლინოზე უკრავდა პეტერბურგში ვირტუოზად ცნობილი გულესკუ[1]. იქ ჩაცმაც განსაკუთრებული გემოვნებით და ტონით იყო საჭირო. ალიოშა ყურადღებას აქცევდა ჩემს ჩაცმას, არ ზოგავდა დიდ თანხას. ვყიდულობდით საუკეთესო მოდელის სახლში. ეხლაც განთქმულია თავის უმაღლეს დონეზე შესრულებული ტანსაცმლით, სახელად „კალივარიუსი“. აქ ყველაფერი ულამაზესი იყო, მაგრამ საოცრად ძვირი. მეჯლისის კაბები, გრძელი შლეიფით, ერთი მარწყვის ფერი, მეორე მკრთალი ყვითელი, მესამე შავი ხავერდი (პან ბარხატი) და მეოთხე ნაცრისფერი (სურათები მაქვს) კოსტუმები. სამი ქურქში ჩასაცვამი, ლურჯი და ბეჟი (მაქვს სურათები) და „კალივარიუსისთან“ კიდევ რამდენიმე საზაფხულო კაბა. ერთხელ მერი შარვაშიძე და მე მივდიოდით პერაზე (მთავარი ქუჩა კონსტანტინოპოლის). შევედით საუკეთესო ქუდის მაღაზიაში – „სოკრატ“. მოვიზომე ერთი ჭილის ქუდი, იასამნისფერი. მამიდა მერიმ მითხრა: როგორ გიხდება, თანაც ზუსტად შენი ახალი კაბის, იასამნისფერი არისო. ძალიან ძვირი ღირდა. მომერიდა ამდენი ფულის გადახდა და წამოვედით. ალიოშას დაუნახავს, ჩვენ რომ „სოკრატის“ მაღაზიიდან გამოვედით, შესულა და უკითხავს, რომელი ქუდი მოიზომა და მოეწონაო. გამყიდველს ზუსტად ყველაფერი უთქვამს, რასაც ჩვენ ვსაუბრობდით. საღამოს დიდი ქუდის ყუთი, ზედ წარწერით „სოკრატ“, მივიღე მოულოდნელ სიურპრიზად. ასეთი საოცარი სიფაქიზითა და ხელგაშლილობით იცოდა ყურადღება ჩემმა ალიოშამ. ძალიან ხშირად მეჯლისზე ვიყავით, ხან ამერიკელების, ხან იტალიელების

[1] ჟან გულესკუ – მევიოლინე, რომელიც უკრავდა „ცისფერყანწელთა“ ცნობილ კაფე „ქიმერიონში“.

სალონებში. ვცეკვავდი კარგად. ალიოშას ძალიან უყვარდა ჩემი ცეკვა, ისევე ყველა ჩვენს ახლობლებს. მეუბნებოდნენ: „რა სიამოვნებით გიყურებთ შენ რომ ცეკვავ ძალიან ლამაზად და გიხდება." ალბათ ახალგაზრდობა და დიდებული ჩაცმულობა მიწყობდა ხელს. ხშირად ჩვენთან იყვნენ საშა ტარსაიძე, მერი მარვაშიძის ქმრის დისწული, ძალიან ახლობელი ჩვენი, იურა (ივა) პოდსევიჩი. ეს იურა შემდგომ პარიზში უდიდესი მოდების სახლის „ვოგის" დირექტორი გახდა. ორივე ჩვენი ახალგაზრდობის მეგობრები.



რესტორანი „Московский кружок", სხედან: ივა პოდსევიჩი, რიმა ერისთავი, სიმონ კვიტაშვილი, მერი წერეთელი, ალიოშა მასხარაშვილი, ბაბო დადიანი, საშა ტარსაიძე



რესტორანი „*Московский кружок*", სხედან: (მარცხნიდან) იტალიელი სტუმარი, ლენა ხომიაკოვა (მერი შარვაშიძის და), მერი შარვაშიძე, გიგუშა ერისთავი, საშა მხეიძე...

* * *

ერთხელ მივიღეთ მოწვევა დიდი ამერიკული გემის ადმირალისაგან, რომელმაც მოაწყო მეჯლისი თავის გემბანზე. ეს რაღაც ზღაპრული იყო.

წავედით ალიოშა, მე, მერი მარჯანიძე თავის ქმრით, გიგუშა ერისთავი, ტყუპი დებით თამარ ზარნიკაუ, ლენა სამიაკოვა. ჩვენთან იყო კიდევ რიმა ერისთავი. გემი იდგა ნაპირს საკმაოდ მოცილებული. ჩვენ რომ მივედით, მოგვეგება ოფიცერი მეზღვაური, ჩაგვსვა მოტორიან ნავში და გაგვაქანა გემისკენ. იქ ადმირალი თავის მეუღლით დაგვხვდნენ. გემბანი მორთული იყო ზღაპრულად, დიდი აბაჟურები სხვადასხვა ფერის ისეთ ანარეკლს აძლევდა ზღვას, ულამაზესი სანახაობა იყო. მანდილოსნები ყველა სამეჯლისო კაბებში, დეკოლტე. მამაკაცები მხოლოდ ფრაკებში. ალიოშას ფრაკი ძალიან უხდებოდა. თურმე მოტორიანი ნავით მოსულან და მორიდან გვიყურებდნენ ჩვენი მეგობრები ცოლ-ქმარი ვალოდია და რუსიკო ალიბეგოვები. მერე გვიამბეს: მოვედით შეგვეხედა ამ სილამაზისთვის და ჩვენი ბაბოშკა დაგვენახაო. მათთან მივიდნენ მეზღვაურები და კითხეს, რატომ არ მობრძანდებითო. ამათ უპასუხნიათ, ჩვენ დაპატიჟებულები არ ვართ, აქ ჩვენი ბატონები მობრძანდნენ, ჩვენ მათი მოსამსახურეები ვართო. გვინდოდა გვენახა ეს ლამაზი სანახაობაო. ამაზე ბევრი ვიცინეთ და დიდხანს ყვებოდნენ ამ სასაცილო ამბავს.



**ბაბო დადიანი და ალექსანდრე მასხარაშვილი**

* * *

ალიოშამ მიყიდა დიდებული კოტიკის მანტო, ორი ჰალანტინი, ერთი ნორკა საკმაოდ კარგი და დიდი, მეორე „სობოლი", რაღაც წარმოუდგენლად ლამაზი, 24 ნაჭერი, მიფარავდა მთელ ზურგს სიგანეზე და სიგრძე — მუხლებამდე. ხშირად ქურქის გარეშე გამოვდიოდი ზამთარში ამ „სობოლის" ჰალანტინით, ისე საკმარისი იყო მისი სიდიდე (მაქვს სურათი). მიყიდა ნამდვილი მარგალიტები და ორი ზურმუხტის „კობიუშონიანი" საყურეები. თორმეტი ასმა მარგალიტის, საკმაოდ გრძელი და კარგი ხარისხის. მალიან მვირი გადაიხადა. ეს ყველაფერი ფუფუნება და დიდი სიამოვნება მქონდა, მაგრამ მაინც რაღაც მაწუხებდა, მაკლდა — მენატრებოდა ჩემი სამშობლო, ჩემი აღმზრდელი დიდი დედა, თამარ შარვაშიძე, რომელმაც გამზარდა, რომელმაც ჩამინერგა სიყვარული ქართული მწერლობის. დიდედამ ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი" ცდილობდა პატარას სტუმრებთან წარმომეთქვა ერთი ტაეპი მაინც.

რა ტკბილად მახსოვს ჩემი დიდი დედა, როგორ მენატრება. ალიოშასაც უსაზღვროდ ენატრებოდა თავისი მშობლები.

* * *

სამშობლოს მონატრება იმდენად მლიერი იყო, რომ გადავწყვიტეთ საქართველოში წამოვსულიყავით. წამოვედით. სულ ერთი თვეც არ ვიყავით საქართველოში... დიდი არეულობა, საოცრად მძიმე ვითარება დაგვხვდა. ალიოშამ გადაწყვიტა ცოტა ხანს კიდევ გავეცალოთ აქაურობას, დალაგდება ყველაფერი და ცოტა ხანში სამუდამოდ დავბრუნდებითო.

ისევ კონსტანტინოპოლი. ვიქირავეთ ახალი ბინა. ალიოშამ ბუხარი გააკეთა ჩემი სიამოვნებისათვის. საოცარი ყურადღება!..

1922 წელს 18 იანვარს გაჩნდა გიორგი. მერი დედამ მიშოვა მიძა, გიორგის მომვლელი. პეტერბურგიდან ერთ დიდ ოჯახს ჩამოეყვანა და აღარ ჭირდებოდათ. მყავდა მზარეული, ოთახის მოსამსახურე (*горничная*). ისევ ჩვენ ახლობლებთან ურთიერთობა. გიორგის მუძუს მე ვაწოვებდი. ზაფხულში ვიქირავეთ დიდებული აგარაკი. ბავშვი და გამზრდელი ზღაპრულ პირობებში, ბოსფორის ნაპირას. ვიღაც ფაშას სასახლე ყოფილა და გაუყიდია. ისევ მხიარულება ჩვენ საყვარელ ახლობლებთან. მაგრამ საქართველოზე ფიქრი, დარდი არ გვშორდებოდა და უკვე ალიოშამ მტკიცედ გადაწყვიტა საქართველოში დაბრუნება. გიორგი 7 თვის იყო. დავიწყეთ მზადება. წასვლის წინ, ჩვენთან აგარაკზე ამოვიდნენ მალიან სასიამოვნო და საყვარელი სტუმრები: მერი შარვაშიძე, ქმრით გიგუშათი, მერის და — თამარ ზარნიკაუ, აკაკი ხოშტარია,

გრიშა ბერიძე, ოლია სვანიშვილი, რომაც ჩვენთან იყო. დიდებულად მივიღეთ. ვიცოდით, რომ უყვარდათ პოკერით გართობა და ჩვენი სტუმრებიც სულმოუთმენლივ მოელოდნენ ამ სიამოვნებას. ჩაუჯდნენ პოკერს. იმ საღამოს საუკეთესო რესტორანში (მალიან ძვირიანი) იყო განსაკუთრებული მეჯლისი, რაღაც გასაოცარი სილამაზით იყო მორთული. ჩვენ მოსაწვევი მივიღეთ, მაგრამ ხმას როგორ ამოვიღებდით, სტუმრები გვეწვივნენ გამოსამშვიდობებლად, მეორე დღეს მივემგზავრებოდით საქართველოში. მერი დედამ იყოჩაღა და ალიომას, სტუმრებს რომ ესმოდათ ისე, უთხრა: „ამ ბავშვების ცოდვაში ნუ ვიქნებით, ცოდვები არიან, რომ ამ მოწვევაზე, ასეთ გრანდიოზულ საღამოზე არ წავიდეს ბაბომკა და გული დაწყვიტოთო“ ყველამ ერთხმად, სიამოვნებით გამოთქვეს სურვილი ჩვენი წასვლის.



კონსტანტინოპოლი, 1922 წ. რიმა ერისთავი, თამარ ზარნიკაუ შვილებით, ბაბო დადიანი, ოლია სვანიშვილი



კონსტანტინოპოლი, 1922 წ. ბაბო დადიანი, თამარ შარვაშიძე-ზარნიკაუსი, ლენა ხამიაკოვა, რიმა ერისთავი, ბავშვები: სიმონიკა (ცუცნა), ნინუკა (თამარ ზარნიკაუს შვილი)



**გიგუშა ერისთავი დასთან, ელისაბედ ერისთავთან ერთად**

მხოლოდ ალიოშამ თხოვა გიგუშას, თუ თქვენ წაიყვანთ, იმ შემთხვევაში გავუშვებ ბაბოსო. გიგუშამ მოიხსა ჩვენი მადლი და გვითხრა: *„Ну девочки, скорее нарядитесь, я вас повезу“* შემოვეხვიეთ, დავუწყეთ კოცნა, *„Дядя Тигуша душка!“* დიდებული დრო გავატარეთ. ერთი ცეკვაც არ გამოგვიტოვებია, იმდენი ვიცეკვეთ. ვიყავით თამარ ზარნიკაუ, რიმა და მე. ძალიან გვიან დავბრუნდით. ჰოკერის თამაში გაჩაღებული იყო. ვახშამი მერი დედამ მოსამსახურის დახმარებით დიდებულად გაუმართა სტუმრებს. ნაწილი ბარგი არ მქონდა ჩალაგებული. მერი დედამ დამახვედრა ყველაფერი ჩალაგებული.

მეორე დღეს გამოვემგზავრეთ საქართველოში. ძალიან ბევრმა გაგვაცილა: ნათესავებმა, მეგობრებმა... კოკი ბაბა საოცრად ნაღვლიანი თვალებით გვემშვიდობებოდა. მერი დედას ცრემლებით ავსებოდა თვალები. ჩვენთან ერთად გემით მოდიოდნენ ვანიჩკა ყარანგოზიშვილი, მისი მეუღლე ისია ნაზარიშვილი და ვარლამ შენგელია...

ვანიჩკა ყარანგოზიშვილი იყო ნამდვილი ვაჟკაცი, ლამაზი, თავაზიანი, უშიშარი... შესანიშნავად ცეკვავდა. საუკეთესო მოცეკვავეები გახლდნენ ვანიჩკაც და ქაქუცა ჩოლოყაშვილიც, რომლებიც უახლოესი მეგობრები იყვნენ... ერთხელ ქაქუცამ გაიხუმრა: შეხედეთ ერთი, რა ჩემსავით უსვამს ფეხსო...

ქაქუცა ჩვენი ოჯახისთვის უახლოესი ადამიანი იყო. კარგად მახსოვს, მისი სტუმრობები მამაჩემთან და სადღეგრძელოები ფეხზე წამოდგომით: „გაუმარჯოს განთავისუფლებულ საქართველოს!“








ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ფოტო წარწერით:
„ძალუა მერის და ბიძია კოკის, სახსოვრად“
(კოკი დადიანს და მერი წერეთელს)

მახსოვს, 1920 წლის 26 მაისი დიდი სიხარულით უნდა აღნიშნულიყო საქართველოში... თბილისის ყველა ოჯახში ზეიმი და ბედნიერება იყო. ულოცავდნენ ერთმანეთს საქართველოს მკვდრეთით აღდგომას. ქართულ კლუბში დიდი ზეიმი იყო გამართული. ბრწყინვალე საზოგადოება ესწრებოდა. ულამაზესი ქალები, მთელი საქართველოს წარჩინებულნი, ოფიცრობა ჩოხებში. ამ დარბაზის ხელმძღვანელმა ბენია ჩხიკვიშვილმა — ქალაქ თბილისის მოურავმა, დაავალა თამარ ჰაჰავას ქართველი ქალების სახელით სიტყვა ეთქვა. ქ-ნი თამარის სიტყვაც დამთავრდა და გაიმართა ცეკვა ქართული ქაქუცა ჩოლოყაშვილის და თამარ ჰაჰავას შესრულებით. ბევრი მინახავს ამ ცეკვის საუკეთესო შემსრულებლები: ჯანო ბაგრატიონი, დავით ჩიკვაიძე, ილიკო სუხიშვილი, მაგრამ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქართული ცეკვა დღემდე შეუდარებელია. ეს იყო რაღაც წარმტაცი სანახაობა — საოცარი ფეხის გასმა ისე, რომ მისი ჩოხის კალთა არ შერხეულა...

ჩემი პირველი სიყვარულის შესახებ პირველად ქაქუცას გავუმხილე... ერთხელ, ჩვენთან სტუმრობისას, ხელში ჭიქა აიღო და ასე დამლოცა: — „კნიაჟნა, ეს თქვენი შტატსკის სადღეგრძელო იყოსო"...

ეს ყველაფერი წარსულში იყო. ახლა მე, ალიოშა და პატარა გიორგი კონსტანტინოპოლის გემზე ვდგავართ და საქართველოში მივემგზავრებით...

არასოდეს არ დამავიწყდება და მთელი სიცოცხლე თვალწინ მიდგას კოკი ბაბას ნაღვლიანი თვალები... მერი დედას ცრემლები...

ბათუმში გემი რომ გაჩერდა, მოტორიანი ნავით მოვიდნენ ჩეკისტები. მათ შორის იყო ილიკო მამულია (ჩეკისტი). გემზე დიდხანს გაგვაჩერეს, არ გადმოგვიშვეს. გაგვჩხრიკეს. მერე დაპატიმრებული წაიყვანეს ვანიჩკა ყარანგოზიშვილი. ჩემმა ალიოშამ მალიან მძიმედ განიცადა ვანიჩკას დაპატიმრება, ორმაგად მძიმედ... და აი, რატომ: როცა ჩვენ კონსტანტინოპოლიდან წამოსვლა გადავწყვიტეთ და ახლობლებს ვუთხარით, ვანიჩკას თავისი მეგობრის თანდასწრებით უნატრია, რა ბედნიერები არიან, რომ საქართველოში ბრუნდებიანო... როცა ეს ალიოშამ გაიგო, მაშინვე მივიდა ვანიჩკასთან და უთხრა, რა გიშლის ხელს, თუ წამოსვლა გინდაო. ვანიჩკამ გულღიად უპასუხა: ცოტა ვალები მაქვს და არც გზის ფული გამაჩნიაო. ალიოშამ ყველაფრის მოგვარება აღუთქვა, მეგობრულად შესთავაზა, მაგრამ ვანიჩკა მალიან თავმოყვარე და ამაყი ადამიანი იყო და თავდაპირველად იუარა... მხოლოდ ჩვენი დიდი და ოჯახების ახლო მეგობრობის გამო დავითანხმეთ. მის ცოლთან, ისია ნაზრიშვილთან, ჯერ კიდევ ქუთაისიდან ვმეგობრობდი...

და როცა ბათუმში ჩეკისტებმა ვანიჩკა წაიყვანეს, ალიოშა მალიან შეწუხებული იყო—მე დავღუპეო ვანიჩკა. ნეტა სულ არ წამომეყვანა, ეს რა ვქენიო.

ჩვენ გადმოვედით გემიდან. ბათუმში ჩვენს დასახვედრად თბილისიდან ბიძუ ბერიძე ჩამოვიდა... ალიოშას მოუხდა ბათუმში დარჩენა. მეც ბავშვით და ძიძათი დავრჩი.

კონსტანტინოპოლი — ბათუმის გემიდან გადმოსვლისას ჩემოდანი დავკარგე: ჩემი კაბებით, გიორგის ჩასაცმელით, კონსტანტინოპოლის საუკეთესო საბავშვო მაღაზიაში რომ მქონდა ნაყიდი, ორი ძვირფასი მოსასხამი, უამრავი ფეხსაცმელი...ამავე ჩემოდანში მედო ჩემი ძვირფასი მარგალიტების აცმა, 10 თუ 12 მაფი, საკმაოდ გრძელი, საუკეთესო ხარისხის...ერთ დიდ მეჯლისში მეცვა მალიან ლამაზი კაბა, მკრთალი იასამნის ფერი. მერი დედამ მირჩია, ამ კაბას ეს მარგალიტები მოუხდებაო და თვითონ გადამკიდა გულზე... რომ გავსკვენი, ქამრის ქვემომდე იყო სიგრძე...

* * *

რამდენიმე დღეში ჩავედით თბილისში. პირველ ხანებში ბიძუსთან და მარიკოსთან გავჩერდით ყორღანოვის ქუჩაზე (ახლანდელი ქიაჩელი). დიდებულად მიგვიღეს, სანამ ჩვენს ბინაზე გადავიდოდით.

ბინა ვიშოვეთ იქვე, მახლობლად, იმავე ქუჩაზე №12-ში. შესასვლელი იყო ქუჩიდან, სადარბაზომდე კი ბაღი. სამი დიდი ოთახი (ერთი ბუხრით) შესანიშნავად მოვაწყვეთ. ნათესაობა სიყვარულით მოდიოდა. გვილოცავდნენ საქართველოში ჩამოსვლას. ბედნიერები ვიყავით დაბრუნებით, ახლობლებში და ნათესავებში ყოფნით.

ალიოშა ხშირად წასული იყო საქმეებზე. მე კი ვიყავი გატაცებული ჩემი ლამაზი ოჯახით. გიორგი პატარა ანგელოზს ჰგავდა.



ბიძუ ბერიძე და პატარა გიორგი მასხარაშვილი

* * *

ერთ დღეს ვზივარ ბუხრის წინ (შემოდგომა იყო) და ზარი დაირეკა. კარი მოსამსახურემ გაუღო. მესმის — აქედან არ შეიძლება, იმათთან ეზოდან უნდა მისვიდეთო. გავიხედე და ვიღაც ქალი დიასახლისს კითხულობს. შემეცოდა, ხანდაზმულმა ადა-

მიანმა ეზოდან როგორ მოუაროს-მეთქი (თანაც წვიმდა) და შევთავაზე ჩემი ოთახიდან გაევლო. ჯერ მისაღებ ოთახში შევიყვანე, სადაც ბუხარი გუგუნებდა და საიდანაც საწოლ ოთახში უნდა გაევლო. შემდეგ დიდ შუშაბანდში გავიდოდა და აივნიდან დიასახლისის კარებს მიადგებოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემთან დიასახლისი შემოვიდა, საოცრად შეწუხებული. იგი გველესიანის ქალი იყო, მალიან სიმპათიური და ჩვენდამი კარგად განწყობილი. „შვილო, დიდი საწყენი რამ უნდა გითხრაო. ახლა რომ ქალი იყო ჩვენთან, თქვენი ბინიდან რომ გამოატარეთ, იმან იცი რა თქვა: მე არ ვიქნები ქალი, იმ ლამაზ საწოლში, თუ ჩემი ზალიკო არ ჩავაწვინოო და იმ ბუხართანაც ჩემი ზალიკო არ დავსვაო...“

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა: ეს როგორ შეიძლება-მეთქი. გველესიანის ქალმა დამშვიდების ნაცვლად დაამატა: ზალიკო მიქელაძე არის მერჟინსკის მოადგილე, ამჟამად საავადმყოფოში წევს და მისთვის საუკეთესო ბინას ეძებენო. ეს ისეთი ქალია, ყველაფერს გააკეთებს, რასაც ჩაიფიქრებსო.

შევშინდი და იმავე წუთს გადავირბინე ბიმუსთან და მარიკოსთან (იმავე ქუჩაზე, №24-ში ცხოვრობდნენ. (ახლა ის სახლი მუხაძემ იყიდა). მალიან შეწუხდნენ. მეორე დღეს, შუადღე იქნებოდა, მომადგა ზალიკო მიქელაძის ცოლი. ნატაშა ერქვა, მარიამ ორახელაშვილის და ბიძია სვიმონ  კვიტაშვილის (ალიოშას დედის ძმის) ცოლის და. ასეთი მტერი გამოდგა ჩვენთვის. ფეხებშეკრული ქათმები  დაყარა კიბეზე, მეცა მე, ორივე ხელი დამიჭირა და, მითხრა: ახლავე გასაღები მომეციო. არ მივეცი. დაყარა ყველაფერი და მე მივდივარ ჩეკაში და გაჩვენებ შენ სეირსო.

ის რომ წავიდა, მე ვიხელთე დრო, ეტლით წაველი და მოვიყვანე დიმიტრი რაკოვი — ავეჯის ცნობილი მოხელე. მან სასწრაფოდ წამოიყვანა 4 გერმანელი მუშა. დაარღვიეს ჩემი წითელი ხის საწოლი და უმალვე გადავიტანეთ ბიმუს ბინაში. ვიქირავე მუშები, კურტნით იყვნენ მაშინ. სადამოსთვის ბინა ნაწილობრივ დაცლილი იყო და ნატაშა ქიქოძე მოგრიალდა, ეტლით და ჩეკისტებით, გააფთრებული. გიორგის „კალიასკაში“ ეძინა. ასე მძინარე გაგვაყვანია სახლიდან. ბიძამ ბევრი იბრძოლა: *„Пока дитя спит, я его тревожить не буду“*-ო, მაგრამ მძინარე გიორგი და მე, ცრემლებით სავსე თვალებით გამოვედით და ისევ მივადექით ბიმუს და მარიკოს.

დილით ალიოშა ჩამოვიდა. აცნობა მაკლერებს — გვიჩვენეს რამდენიმე ბინა. მე ავარჩიე გრიბოედოვის ქ. №30, მეორე სართულზე, ოთხი დიდი ოთახი სამზარეულოთი და ქუჩისკენ და ეზოსკენ დიდი აივნებით.

მალე ამ დიდ აივანზე მქონდა წვეულება, თითქმის 60 კაცზე. მცხეთიდან მოვიყვანეთ დეკორატორი ( მიხეილ მამულაშვილმა გამოგვიგზავნა), რომელმაც ჩვენი აივნები მალიან ლამაზად, ფოთლებში მორთო.

სუფრა მალიან ლამაზად იყო გაწყობილი, კუზნეცოვის დიდებული სერვიზით. გვყავდნენ საუკეთესო სტუმრები. თამადა ცაცა მდივანი იყო (მოსე ქიქომის სიმე), მღეროდნენ ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი და ვალიკო ხუსკივამე, რომელიც საუკეთესო შემსრულებელი იყო გიტარაზე... დილით დაიშალნენ. ცოტა ხანში დაირეკა ზარი. ისევ შემოვიდა ვანო სარაჯიშვილი. ორივე ხელზე სამაჯურებივით ბუბლიკები ჰქონდა ჩამოცმული. ჩვენგან როცა გავიდნენ, უკვე დილა იყო და იმ დროს ქალები კალათებით ბუბლიკებს დაატარებდნენ. ვანომაც ხალისით იყიდა, ორივე ხელზე გაიკეთა და იმისთვის დაბრუნდა, რომ ხმამაღლა დაეძახა: „*Бублики, бублики!*“...

* * *

ასე ტკბილად და ლამაზად ვცხოვრობდით. ალიოშამ მიყიდა წმინდა სისხლის, ინგლისური ჯიშის ცხენი. სახელად „ოფელია“ დავარქვით. მალიან ლამაზი იყო. გაიხსნა დოღის სეზონი. ალიოშამ მოიწვია ყოფილი ოფიცერი და კავალერისტი ვარლამ შენგელაია და შესთავაზა, რომ დოღზე ჩემი ცხენი გაეყვანა, ანუ ჟოკეი ყოფილიყო. პროგრამაში აღვნიშნე ჩემი სახელი, როგორც მფლობელის. ალიოშას არ უნდოდა მისი სახელი ყოფილიყო გახმაურებული.

ყოველ კვირას ვარ დოღზე. „ოფელია“ მუდამ პირველია! გვაქვს დიდი ოვაციები, უსაზღვროდ მიხარია.

დოღის დაწყებამდე ექიმი სინჯავდა გულის ცემას, კუჭის მდგომარეობას და ყოველმხრივ ყურადღებას აქცევდა.

ერთ კვირა დღეს მივდივართ დოღზე და მე მზარეულს დავავალე სადილი გაეთვალისწინებინა კიდევ 7-8 კაცზე. სადილად მოვიყვანე კოლია მხეიძე (პეტიას მამა), სიმონიკა მდივანი, სიმონიკა ფხაკაძე, მიშა მახხულია, პაოლო იაშვილი და სხვები.

ვსხედვართ, ვსადილობთ და ამ დროს ისმის ზარი. შემოვიდა ოთხი კაცი. იკითხეს იმ ადამიანის გვარი, ვისგანაც ეს ბინა ვიყიდეთ. ალიოშამ ისინი სუფრასთან მიიწვია, ისინი კი გაოგნებული გვიყურებდნენ: თქვენ ვინ ხართო?

ეს ბინა არისო გ.პ.უ-ს ფონდის საკუთრება და აქ დროებით მივეცით ნება ჩვენს თანამშრომელს ეცხოვრაო. თქვენ საერთოდ ვინ ხართ და აქაურობა 24 სთ-ში დაცალეთო!



ბაბო დადიანი და ალექსანდრე მასხარაშვილი უფროს ვაჟიშვილთან ერთად

ჩვენ კი დიდი ფული გვქონდა მიცემული იმ სამხედრო პირისთვის, რომელმაც მოგვატყუა. ჩვენი ფულით იმას მოსკოვის ქუჩაზე, პატარა, სამოთახიანი სახლი უყიდია.

ჩვენ კი ესეც დავკარგეთ. ეს უკვე მესამე ბინის დაკარგვა და აურა იყო... ჩემი მაშინდელი მეზობლები, მელიტა ჩოლოყაშვილის დები არიან ამ ამბის მოწმე, რომლებიც ახლაც იქ ცხოვრობენ...

ისევ მაკლერები. აღმოაჩინეს კობის (ახლანდელი თარხნიშვილის) ქ. № 11-ში კარგი ბინა. იქაც ბლომად ფული დაგვჭირდა. ის სახლი იყო გენერალ ვასილ დავითის-ძე გაბაშვილის (მხატვარ დუდა გაბაშვილის ბაბუა).

დიდებულად მოვეწყვეთ. მისაღები ოთახისათვის ვიყიდეთ ლუი XV-ს ავეჯი, ძალიან ლამაზი. ეს იყო ერთი დიდი დივანი, ორი მაღალზურგიანი სავარძელი, სამი მარმარილოს მაგიდა – ორი ოვალური, ერთი მრგვალი. (სხვათა შორის, ეს სავარძლები ამჟამად დგას ლადო გუდია-

მვილის ოჯახში. მე როცა აქედანაც გამასახლეს და ყველაფერი წამართვეს, ავეჯი საკომისიო მაღაზიაში დაუდვიათ და ძალიან ძვირად იყიდა ქ-ნ ნინო გუდიაშვილმა).

ჩვენი სასტუმრო ოთახის კედლებს დიდი ნოხი ფარავდა და იატაკზეც ეფინებოდა. ტახტზე კიდევ ბევრი ლამაზი ბალიში ეწყო. საწოლ ოთახში, აქეთ-იქით, ორი აბრეშუმის ნოხი. ულამაზესი გობელენები...

* * *

ვართ ოპერაში, მაცვია ძალიან ლამაზი, სათეატრო კაბა პან-ხავერდი *(пан-бархат)*, ელექტრიკის ფერი და მოსასხამი მანტო, ალიოშამ ჩამომიტანა პარიზიდან, სრულიად უბრალოდ შეკერილი, გრძელი, სახელოების გასაყრელი, გვერდებზე გაჭრილი, ძალიან სადა. მხოლოდ მთელი სილამაზე *(шик)* იყო საყელო, იმავე ფერის ხავერდის ვარდები და უფრო ღია ფერის აბრეშუმის ნაჭრიდან მომცრო, პატარა, ლამაზი ვარდები. ეს ფერი ისე იყო შერწყმული, რომ გაგაოცებდათ, მართლაც მხოლოდ პარიზის გემოვნებას შეეძლო ასე უბრალოდ და ლამაზად შესრულება. ჩანთა მეკავა ძვირფასი, ალიოშასაგან საქორწილო საჩუქარი. ძალიან ძვირფასი გახლდათ და ძალიან ძვირი მისცა. ჩანთა იყო ოქროსი, ფაბერჟეს ხელობა. ოქროს ბადეზე ბრტყელი, ოქროს დასაკეტი. დასაკეტზე შუაში და გვერდებზე, აქეთ-იქით საკმაოდ დიდი საფირონის თვლები ბრილიანტებში ჩასმული. ერთხელ ვიჯექით ბენუარის ლოჟაში მარიკო, ბიძუ ბერიძეები, ალიოშა და მე. შემოვიდა იტალიის კონსული, ბატონი ლამანი და მისი მეგობარი, იტალიიდან სტუმრად ჩამოსული, თავადი პინიატელი, დიდგვაროვანი, ნამდვილი არისტოკრატი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ამ თავადმა პინიატელმა დაუწყო ცქერა ჩემს ჩანთას, აიღო ხელში და თქვა: „ძვირფასია, ულამაზესი ანტიკვარია, ულამაზესი ნაკეთობაა, ისევე მშვენიერი, როგორც მისი მფლობელი“... (მეუხერხულება ამის წერა, მაგრამ ვუტოვებ ამ მოგონებებს ჩემ შვილებს, შვილიშვილებს). თავადმა ამავსო დაუსრულებელი ქათინაურებით. ალიოშამ ბიძუს უთხრა: ბაბოს ასეთი თაყვანისცემისთვის არ გამელახოს ეს იტალიელი თავადიო. რა თქმა უნდა , ყოველივე ეს ხუმრობით. შემდგომ რამდენჯერმე ალიოშამ მოიწვია ჩვენთან, დიდი სტუმრიანობისას, თავადი პინიატელი და იტალიის კონსული ბატონი ლამანი.

ერთ დიდ მეჯლისზე, იტალიელების საკონსულოში (რუსთაველის და გრიბოედოვის კუთხის სახლი), მეცვა მარწყვისფერი, სამეჯლისო, შლეიფიანი კაბა (კალევრუსისთან ნაყიდი, კონსტანტინოპოლში. მაქვს სურათები). დიდებული მასპინძლობა, ცეკვები დილამდე. ვიცეკვე

დილამდე. ალიოშას უყვარდა ჩემი ცეკვა: ფოქსტროტი, ტანგო... მეც დაღლას არ ვგრძნობდი, ისე გატაცებით ვცეკვავდი. ვიყავი ახალგაზრდა, ბედნიერი ჩემი ალიოშათი, მისი სითბოთი და სიყვარულით, სიხარულით აღსავსე...

ერთ ბარბალობას, 17 ქრისტეშობის თვეს, ყველაზე ადრე ვანო სარაჯიშვილი მოვიდა, დიდებული ვარდებით. მიირთვა ყავა (მქონდა ასევე შოკოლადი, ლამბაქებით სასმელი). ვანომ ყავა არჩია, ქალებმა შოკოლადი. ვანოს ვთხოვეთ, საღამოს ვახშამზე მოსულიყვნენ ის და სანდრო ინაშვილი. ვახშამი იყო დიდებული, საგანგებო (მზარეული ორიენტიდან)[1].

საუკეთესო საზოგადოება. ისევ და ისევ ჩვენი საყვარელი ცაცა მდივანი – თამადა (ლიას მამა), განთქმული თამადობით, მჭევრმეტყველებით.

* * *

დაინიშნა ვანო სარაჯიშვილის იუბილე, მთელი თბილისის საუკეთესო საზოგადოება დაესწრო. ალიოშამ და მე გავუგზავნეთ ოქროს პორტსიგარი. ვიყიდეთ ანტიკვარის მაღაზიაში და კიდევ საზღვარგარეთული საკოსტუმე. ვანო სარაჯიშვილის იუბილე დიდებულად იყო მოწყობილი, სცენა უამრავი ვარდით, დიდი გემოვნებით მორთული. იდგა დიდი სავარძელი ვანოსთვის, უამრავი მილოცვა, სიტყვები, საჩუქრები. გამოვიდნენ სანდრო ინაშვილი და მსახიობი ისეცკი. რაღაც ლამაზი ყუთი ეკავათ ხელში. თბილი სიტყვებით მიმართეს ვანოს და შემდეგ საზოგადოებას აუწყეს: „თქვენი იუბილარი დიდებული მომღერალია, მაგრამ არ იცით, როგორი მონადირეა და რა გატაცებით მიდის სანადიროდ, მაგრამ ბრუნდება დაღვრემილი, გულდაწყვეტილი, რადგან ვერასოდეს ტახი ვერ მოკლა და აი ამიტომ, ჩვენ მოვართვით საჩუქრად....“ და გახსნეს წითელბაბთებიანი ყუთი და ამოიყვანეს პატარა, თეთრი გოჭი, წითელი ბაბთით, რომელმაც დაიწყო ჭყივილი. შემდეგ სცენაზე გამოვიდა ორი კაცი, ჩოხებში გამოწყობილები, ზურგზე კურტნით, ზედ ედოთ დიდი ტიკით ღვინო, ტიკზე დიდი ასოებით ეწერა „მმობა“. ეს ღვინო იყო საუკეთესო ხარისხის. ვანო ადგა თავისი სავარძლიდან. მივიდა მუშებთან და დაეხმარა უზარმაზარი ტიკის გადმოღებაში, დარბაზში ატყდა სიცილი და ტაშის გრიალი. ისე ლამაზად იყო ეს სურათი და ჩვენ თვალწინ გამოჩნდა ვანოს ღვინისადმი ასეთი მზრუნველობა. საერთოდ, ყველასთვის ცნობილი გახლდათ ვანოს ხალისიანი და დიდებული მოლხენა სუფრაზე.

---

[1] სასტუმრო „ორიანტი“ – XX საუკუნის დასაწყისის რუსთაველის (მაშინდელი გოლოვინის) პროსპექტზე ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული რესტორანი. შემდგომ მას ეწოდა „ინტურისტი“.

ერთ დღეს მოვდივარ ეტლით, ენგელსის ქუჩაზე, მამიდა ნინო ჩოლოყაშვილის და მამიდა ოლინკა ვაჩნამის სანახავად. რუსთაველზე შემომხვდა ალიოშა, ეტლით მოდიოდა შინ, რათა გაეფრთხილებინე, რომ სადილად სტუმრები მოჰყავდა, შეხვედრია ვანო სარაჯიშვილი და სანდრო ინაშვილი და უთქვამთ: „ალიოშა, მოგვენატრა შენი ლამაზი სუფრა და მიღებაო“. ალიოშას სიამოვნებით დაუპატიჟნია სადილად. რა თქმა უნდა, მე უმალვე მოვაბრუნე ეტლი სახლისკენ და ყველაფერი დიდებულად მომზადდა და კარგი სუფრაც გავშალე. შევატყობინეთ ჩვენ ახლო მეგობრებს და კარგმა საზოგადოებამაც მოიყარა თავი. იმ დღეს ქუთაისიდან იყო ჩამოსული ჩემი უსაყვარლესი ბონდო ბიძი (ბონდო მიქელაძე, დედაჩემის ძმა), ქუთაისში განთქმული ბანი. საოცარი სიმღერები, მოსწრებული სიტყვა-პასუხი. წარმოსადგენია რა წერტილს მიაღწევდა ეს სიამოვნება.

მეორე დღეს ვანო სარაჯიშვილს და სანდრო ინაშვილს კონცერტი ჰქონდათ ოპერაში. ჩვენ ვისხედით ლოჟაში, სულ ახლოს სცენასთან. როცა ვანომ და სანდრომ ერთად იმღერეს „მხოლოდ შენ ერთს“, ბონდო ბიძიმ მანიშნა, ამას ბანი მოუხდებოდაო და იქვე ადგილიდან დაბალი ხმით მისცა ბანი. სანდრომ და ვანომ უცებ მოიხედეს, წამოვიდნენ ჩვენი ლოჟისკენ. ბონდომაც აუწია ხმას. სიმღერა რომ დასრულდა, ისეთი აპლოდისმენტები გაისმა, გეგონებოდა დარბაზი ინგრევაო. მას მერე ქუთაისშიც და თბილისშიც ხშირად ლაპარაკობდნენ ამაზე და თან დასძენდნენ: როგორც ჩანს, ოპერის შენობა მალიან მყარადაა აგებული, იმ საღამოს რომ არ დაინგრაო...

* * *

ვართ ვახშმად მიწვეული რადოვიჩებთან, ეს რადოვიჩი იყო ბერძენი, მარგანეცის მრეწველი, მალიან მდიდარი, ცოლად ჰყავდა ლარა ნაზარიშვილი, ჩემი საყვარელი მეგობრის, ისიას და. ცოტანი ვიყავით, სულ 12 კაცი. მეცვა საღამოს კაბა, შავი ხავერდის, მოხურული მქონდა სობოლის „პალანტინი“, მალიან მვირფასი, 24 ნაჭრიდან და მეჭირა ჩემი ლამაზი ოქროს ჩანთა თვლებით. ვახშმის შემდეგ გამოვედით მისაღებ ოთახში. ვხედავ ლამაზ „გორკას“ (კარადა მინის კარებით), შიგ დგას ჩემი ნივთები. მე ხმა არ ამომიღია, სიტყვაც არ მითქვამს, მაგრამ ლარა მიხვდა, რომ ვიცანი ჩემი ნივთები. ეს იყო ვერცხლი, საქსი და ფაიფური, რომელიც შალვა ელიავამ („დიდი კომუნისტი“), ჩემ ბინასთან ერთად დაისაკუთრა. ლარას ეს ნივთები უყიდია შალვა ელიავას ცოლისაგან. ცოტა ხნის შემდეგ გამოთქვეს სურვილი, შავი ყავის დასალევად

წავსულიყავით რესტორან „ქიმერიონში“[1]. იქ ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო და საუკეთესო რესტორნად ითვლებოდა. ჩემი „სობოლის“ ბეწვი მოვიხსენი და ყველანი გავედით ქურქის ჩასაცმელად. როცა მსახურმა ქურქები მოგვაწოდა, გამახსენდა, რომ ჩემი მვირფასი ჩანთა სავარძელში დამრჩა. შემოვბრუნდი მისაღებ ოთახში და მივედი იმ სავარძელთან, რომელშიც ვიჯექი, ოთახში არავინ არ იყო ერთი ადამიანის გარდა, რომელიც შემეკითხა: რას ეძებთო. მე ვუპასუხე: ჩანთა დამრჩა სავარძელში-მეთქი, ამ დროს ალიოშაც შემოვიდა. ვეუბნები: ჩანთას ვეძებ, ამ სავარძელში დამრჩა-თქო. ალიოშამ გამიყარა ხელი და წავიდეთო, მითხრა. „ქიმერიონში“ საოცრად უგუნებოდ ვიყავი. შინ მალიან გვიან დავბრუნდით. მთელი ღამე ვფიქრობდი, რომ დილით მსახურის ხელით ჩანთას გამომიგზავნიდნენ, მაგრამ გაქრა და გაქრა. მე მაშინვე გავიგე და ახლაც ვიცი, ვინც აიღო ეს ჩემთვის მრავალმხრივ ძვირფასი ნივთი (აქ მხოლოდ მის ფასს არ ვგულისხმობ, ალიოშას საქორწინო საჩუქარი იყო).

ჩემი ჩანთის დაკარგვაზე საზოგადოებაშიც ატყდა მითქმა-მოთქმა. ყველა, შეთანხმებულივით, იმავე პიროვნებას ასახელებდა. მე კი ერთი და იგივე პასუხს ვამლევდი ყველას, ყველას, ყველას: „არ ვიცი“!. ეს ალიოშას იმ უსიტყვო რეაქციას გავდა, როცა ყოველგვარი შეფასების გარეშე, გადაავლო თვალი სიტუაციას, გამიყარა ხელი და მშვიდად მითხრა: „წავიდეთ“...

* * *

დოღის სეზონი გაიხსნა დიდუბეში (მაშინ იპოდრომი იქ იყო). ლოჟებში უამრავი ნაცნობი. მთელი თბილისის საუკეთესო საზოგადოება. ჩემი „ოფელია“ კვლავ ზენიტშია. ჩვენს გვერდით ლოჟაში სხედან შალვა და ქეთუსია ალექსი-მესხიშვილები, თავიანთი ვაჟებით, გივით და ლადოთი. ორივენი მშვენიერნი არიან, ორივენი „მატროსკებში“. ისევ მილოცავენ — „ოფელია“ პირველი მოვიდა! ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს.

საკუთარი ცხენი, მალიან ლამაზი, კარგი ჯიშის (მგონი „კომეტი“ ერქვა), რომელიც ჰყავდა გოგი ელიავას (ბაქტერიოფაგის დირექტორი), მეორე მოვიდა.

ერთ დღეს მოულოდნელად მივიღე ქაღალდი ასეთი შინაარსის: თქვენი კუთვნილი ცხენი

---

[1] „ქიმერიონი“ — რესტორანი, როგორც იმ წლებში უწოდებდნენ, „არტისტული კაბარე“. მდებარეობდა რუსთაველის თეატრის სარდაფში. კედლები მოხატეს ლადო გუდიაშვილმა, დავით კაკაბაძემ, კირილე ზდანევიჩმა, სერგეი სუდეიკინმა და ზიგმუნდ ვალიშევსკიმ.

„ოფელია“, ინგლისური წმინდა ჯიშის ცხენი, ჩამოგვერთვათ და თქვენი თავლიდან გადადის სახელმწიფოს მეურვეობის ქვეშ, მიწათმოქმედების (Наркомзек)-ის თავლაში, ს. გეგეჭკორის განკარგულებით.

ასე წაგვართვეს ჩემი ლამაზი „ოფელია“, რამაც ძალიან დაგვწყვიტა გული მეც და ალიოშასაც. დიდხანს განვიცდიდი მათ ამ ბანდიტურ საქციელს. ამ ფაქტით აღშფოთებული იყო მთელი საზოგადოება, განსაკუთრებით იპოდრომის გამგეობა. ვალოდია წულუკიძე (ჩემი მეჯვარე) და სიმონიკა მდივანი აღშფოთებას ხმამაღლა გამოხატავდნენ. მათ გაცხარებას საზღვარი არ ჰქონდა...

*P. S.* ვ. წულუკიძე და ს. მდივანი დახვრიტეს 1937 წელს.

* * *

„საწუთრო მუდამ გვატირებს, რა ოდენ გაგვიცინია...“

*შოთა*

24 წელი. ალიოშას დაპატიმრება ჭიათურაში.

ალიოშა წავიდა დარკვეთში, მშობლების სანახავად და თან მარგანეცის საქმეების მისახედად. თბილისში დაპატიმრებული ჩამოიყვანეს. ჯიბეში ჰქონდა ოქროს საათი და ოქროს სათუთუნე *(Porte sigarette)*, ორივე ჩამოართვეს. ჩემს ბინაზე მოვიდნენ ჩეკისტები გასაჩხრეკად. გადაატრიალეს ყველაფერი. დიდი დრო მოანდომეს უჯრებში და ჩემოდნებში ხელის ფათურს.

მე ფეხმძიმედ ვიყავი თათულიზე. ვცხოვრობდი კობის ქუჩაზე. დიდი ნერვიულობა და შიში გამოვიარე. დაიწყო დაკითხვები. გამომძიებელი ნოვოსელცოვი მეორედ მოვიდა ჩემთან გასაჩხრეკად. ჩემმა ძმამ, დემნამ დაინახა, რომ მანქანაში იჯდა დავით ბაგრატიონი, დიდგვაროვანი ჩეკისტი, რომელიც ბერიას ერთგულად ემსახურებოდა. მან ჩეკაში ჩაყარა მთელი ოფიცრობა და თავად-აზნაურობა. ლექსიც დაიწერა მასზე და მღეროდნენ კიდეც: „ქვითინებს მწარედ მტკვარი, რიონი... შენ, — მოღალატე ბაგრატიონი“...

სანამ გამომძიებელი ნოვოსელცოვი და მისი თანმხლები პირები ჩემი ბინის ჩხრეკით იყვნენ დაკავებულნი, დ. ბაგრატიონი მათ მანქანაში ელოდებოდა. ჩვენთან ვერ შემოვიდა. როგორ ეყო ამდენი სინდისი...

* * *

ალიოშა ზის ჩეკაში (მერჟინსკის ქ. №24), ქვემოთ, სარდაფში. დამაქვს სადილები. უამრავი ნაცნობი, ნათესავები, მეგობრები, პატიმრების ჭირისუფლები...

გადავცემთ სადილს, დიდი გაჩხრეკის შემდეგ იღებენ. ველოდებით პასუხს. ძალიან დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, პატარა სარკმლიდან გადმოგვცემენ ცარიელ ჭურჭელს და ორიოდე სიტყვიან პასუხს. მაგალითად: „Получил все. Алеша."

მალე ალიოშა საგუბერნიო ციხეში გადაიყვანეს, ორთაჭალაში. ეს მოხდა დიდი თხოვნით, ვედრებით, სხვების დახმარებით. მათ შორის პეტრე მოდებაძის. ალიოშა მოხვდა იქ, სადაც ისხდნენ კათალიკოსი ამბროსი ხელაია და მიტროპოლიტი კალისტრატე ცინცაძე (საეკლესიო პირები დაპატიმრებულები იქნენ მას მერე, რაც გენუის კონფერენციას საპროტესტო წერილი გაეგზავნა). ოთხშაბათს და პარასკევს მათ სამარხვო საჭმელებს მუდამ ვუგზავნიდი, რის გამოც პატრიარქმა ამბროსიმ პატარა მადლობის წერილიც კი გამომიგზავნა.

მე ალიოშას ნახვის უფლება არ მქონდა, ვინაიდან მისი საქმე გამოძიებაში იმყოფებოდა, არ მავიწყდება უსასტიკესი გამომძიებლები შტეპა კაულინ, კორვინ (ლატვიელები). ალიოშას ბრალად ედებოდა კონტრრევოლუცია, (К. Р.О. – იყო ასეთი განყოფილება ჩეკაში) და ქაქუცა ჩოლოყაშვილის დახმარება, რაც ითვლებოდა უსასტიკეს ბრალდებად.

უსასტიკესი ბრალდებები უსასტიკეს გამომძიებლებთან.

ვნახულობდი ალიოშას ასეთი გზით (ხერხით). კათალიკოს ამბროსი ხელაიასთან და მიტროპოლიტ კალისტრატე ცინცაძესთან მნახველებს უშვებდნენ.

ფანჯარასთან რომელიმე პატიმარი, რა თქმა უნდა, ჩვენი ნაცნობი, გადაიწერდა პირჯვარს. ეს ნიშნავდა მცველისთვის მეთქვა: მივდივარ ხელაიასთან ან ცინცაძესთან. მათთან რომ მივიდოდი, ჩემი ალიოშა იქვე ახლოს გაივლიდა და ასე დავინახავდით ერთმანეთს...

პატიმართა უმრავლესობა ჩვენი ნათესავები, ახლო მეგობრები და ნაცნობები იყვნენ, ყველანი პოლიტიკურები.

მთელი საუკეთესო ბრწყინვალე საზოგადოება და ჩინებული რაინდი ოფიცრები, თვალი რომ უკეთესს ვერ ნახავდა... მათ შორის, ცნობილი არტილერისტი ილიკო მახარაძე, გოგი ალექსი-მესხიშვილი, კავალერისტები: ვახვახიშვილები, ანდრონიკაშვილები, იულონ ჩახავა, ბაქია თუთბერიძე, ვაჩნაძეები, ჯორჯაძეები... დადიანები, ძმები ოთარ და მუშნი, ორივე ერთ ღამეს დახვრიტეს... მხეიძეები... რომელი ერთი ჩამოვთვალო...

რომელიმე მათგანი (ხან ილიკო მახარაძე, ხან იულონ ჩახავა, ხან მიკი მხეიძე) ფანჯრიდან მანიშნებდნენ და მე შევდიოდი ციხეში, რათა შორიდან მაინც დამენახა ჩემი ალიოშა...

ერთ-ერთ ასეთ ნახვაზე, ორივემ, კათალიკოსმა ამბროსიმ და მიტროპოლიტმა კალისტრატემ დამსვეს თავიანთ საწოლთან (ეს იყო საგუბერნიო ციხეში) და მითხრეს: „შვილო ბაბო, ჩვენ, ორივე მოხუცს, გვაქვს შენთან სათხოვარი. ხომ შეგვისრულებ?..“

მე, რა თქმა უნდა, თავდახრით მოვახსენე: „მიბრძანეთ“

მათ ჩემთვის მეტად გულსატკენი რამ შემომთავაზეს: „შენ შენი პატარა, ჩვილი გოგონა უნდა წაიყვანო სოფელში და მიმას გააზრდევინო, ვინაიდან ახლა მალიან უნდა ადევნო ყური შენს ქმარს. ამას დრო უნდა. ბავშვს ყურადღებაც მოაკლდება, დროზე კვებაც. აქ სიარულით შენ ბევრი დრო და ენერგია გეკარგება. ბავშვის ჯანმრთელობისათვის ასე აჯობებს და საქმესაც დევნა და ყურადღება სჭირდებაო.

ყველაფერი რომ მოვისმინე, იქვე გავქვავდი. მეგონა ლახვარი ჩამცეს გულში. ცრემლები მახრჩობდა, გამოვედი თავზარდაცემული. იქვე ჩავჯექი ეტლში და მოვედი შინ (კობის ქუჩაზე). მივვარდი თათულისთან, ამოვიყვანე საწოლიდან, ჩავიკარი გულში ისე მაგრად, თითქოს ვიღაცას წართმევა უნდოდა ჩემი სახოება შვილის... მთელი ღამეები არ მეძინა. გულში ჩაკრული, ჩახუტებული, მდუ-



კათოლიკოსი კალისტრატე ცინცაძე

ღარე ცრემლებით ვასველებდი მის პაწაწინა პერანგს, „რა მომაშორებს შენ თავს, ჩემო პატარა, ჩემო სიხარულო“. ეს დიდი დარდი, ალიოშა ციხეში, მძიმე ბრალდება, საშიშროება: ან დახვრეტენ, ან ეტაპს გააყოლებენ ციმბირში. მე, 21 წლის ასაკში, ამდენი გულისტკენა რად დამატყდა თავს...

თათულის წაყვანის საკითხი გადაწყვეტილია. დიმამ, ჩემმა ძმამ, 2 წლის გიორგიც წავიყვანეთ და წავედით ბანძაში. დიდი დედა თამარის და კიწი ბაბუს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა ჩემი და ჩემი შვილების ნახვით. ჩემი ძიძა, მინაია ჩიქობავა, უკვე გაფრთხილებული იყო და მის რძალს, მისი შვილის, გრიშას ცოლს, ბუცას უნდა ეწოვებინა ძუძუ ჩემი თათულისათვის. დიდი ზეიმით აღინიშნა ეს ფაქტი, რომ ისევ ჩემი ძიძის ოჯახში გრძელდება ეს ტრადიცია და ჩემი შვილიც იქ იქნება აკვანში. ძუძუს მოშორება და ჩემი შვილის დატოვება ძალიან მძიმედ გადავიტანე. მაღალი სიცხე მომცა, ძუძუები დამისივდა ბავშვს რომ მოვაშორე. ძალიან ცუდად ვიყავი...

მატარებელში ჩემთან შემოვიდნენ მუშნი დადიანი და ნესტორ გარდაფხაძე. მომიკითხეს, რამე ხომ არ გჭირდებაო. გამამხნევეს: მალე ყველაფერი კარგად იქნებაო...

სადგურზე, აბაშაში, კიდევ მოვიდნენ ჩემთან, კიდევ ყურადღება და სითბო... სულ რამდენიმე წუთი ვიყავით ერთად, ვინაიდან მატარებელი ცოტა ხანს ჩერდებოდა აბაშაში. ისინი მიდიოდნენ სვანეთში, სადაც იყო მუშნის ძმა, ოთარი — განთქმული სიმამაცით. ახალგაზრდა ოფიცერი.

მაშინ, ახალი მთავრობის დავალებით (შუამავალი საშა გეგეჭკორი), მუშნი დადიანი და ნესტორ გარდაფხაძე სვანეთში გაგზავნეს, ოთარ დადიანის ჩამოსაყვანად, რომ მოლაპარაკებოდნენ. სურდათ, ოთარ დადიანს, თავისი ავტორიტეტის გამოყენებით, სვანეთში გამოსვლები ჩაეშალა... მაგრამ მოლაპარაკებამ არ გაამართლა. ამ რაინდებს ვერ წარმოედგინათ რაინდობას მოკლებული რაიმე საქციელი. ფაქტიურად, ვერაგებმა ასეთი მოტყუებით ჩამოიყვანეს ოთარ დადიანი და მუშნი დადიანსა და ნესტორ გარდაფხაძესთან ერთად დააპატიმრეს.

ჩეკას ეზოდან გამოიყვანეს ორივე ძმა, ხელებშეკრულები. ისინი ამ სასოწარკვეთილების დროს, უკანასკნელ სულის ამოხდომამდე მღეროდნენ „დიდება საქართველოს“...

სია ამ დახვრეტილებისა იხილეთ გაზეთ „კომუნისტში“ 1924 წლის აგვისტო.

* * *

გამწარებული დავბრუნდი თბილისში. ალიოშასთვის უნდა მიმეხედა.

1924 წლის აგვისტოში აჯანყებასთან დაკავშირებით არ იყო ოჯახი, პატიმარი არ ჰყოლოდა. სულ ცრემლში და შავებში ვიყავით შემოსილნი... თავზარდაცემულები, მთელი დღე-ღამე, განუწყვეტლივ დავრბოდით ერთმანეთთან... იქნებ გაგვეგო, წუხელის ვინ დახვრიტეს, დღეს რა მოვველის და ასე, მუდამდღე...

ჩემი კიწი ბაბუ დახვრიტეს. მასთან ერთად ვანო ფაღავა, (გასაოცარი ხმა ჰქონდა — ბარიტონი), მამა და შვილი გაბუნიებიც... მამა-შვილს ხელები ერთმანეთზე შეუკრეს... დახვრეტები, დახვრეტები...

* * *

ალიოშა და მთელი ოფიცრობა ორთაჭალის საგუბერნიო ციხიდან სასწრაფოდ მეტეხში გადაიყვანეს. მეტეხის ციხეში საჭმლის გადაცემა შეუძლებელი გახდა. რიგი იდგა ხიდიდან ციხის კარამდე. ისევ უამრავი ახლობელი, მეგობრები, ნაცნობები. ჭირისუფლები გარეთ ვართ შეძრწუნებულნი, გულის კანკალით ველოდებით პასუხს.

თუკი კალათი, რითაც სადილი გადავეცით, ცარიელი დაგვიბრუნდა, მაშასადამე პატიმარი ცოცხალია და საჭმელი მიიღო, მაგრამ თუ კალათი სავსე დაბრუნდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ აღარ არის ცოცხალი, დახვრეტილია...

ზოგჯერ მომლოდინეთა შეკითხვებზე ცინიკურ პასუხს იძლეოდა ჩეკისტი ოგანეზოვი: „გასვრეტილია!“

საოცარი იყო, ერთი, სოფლიდან ჩამოსული, გამწარებული ქალის ამბავი. ეკითხება თავის ორ ვაჟიშვილზე; გამოუცხადეს: „ორივე დახვრეტილია!“ ქმარი იკითხა.

იმაზეც ასეთი პასუხი გასცეს: „დახვრეტილია!“

დაუვიწყარია ის სიმწარე, რაც ჩვენ იმ ქალის ტანჯვას ვუყურეთ. მე როგორ შემიძლია ეს აღვწერო...

იმ დღეს ჩემთვის კალათი და ორი სიტყვა მოვიდა, როგორც ნუგეში: „მივიღე — ალიოშა“.

* * *

ერთხელ გადავეცი ამანათი. ჩავდევი ბოთლი სასმელით. ჭურჭელი ცარიელი დამიბრუნეს. ბოთლზე კი წარწერა „ცარიელს სავსე სჯობია“ და ქვემოთ წვრილი ასოებით ეწერა „იყო დრო, როდესაც მეტეხი იყო საქართველოში. დადგა დრო, საქართველოა მეტეხში“. ამ ბოთლს, როგორც სათუთ ნივთს ვინახავდი. შუა აზიაში რომ გადამასახლეს, დამრჩა და დავკარგე.

მეტეხში, ციხის კარებთან ვხედავდი გია აბაშიძის ოჯახის წევრებს. მოდიოდნენ ივანე ჯავახიშვილის ოჯახიდან თეკლე ორბელიანი – დედა და გიას დეიდა, თამრიკო.

გავახვიე საჭმელი, იქვე, რაღაც-რაღაცეები ვიყიდე და გავუგზავნე გიას. უკან დამიბრუნდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ დახვრიტეს კიტა აბაშიძის ვაჟი, გია, 22 წლის ულამაზესი ყმაწვილი

გიას მშობლები მოატყუეს, უთხრეს: აქ არ არის, ჩეკაშიაო... როცა იქიდან დაბრუნდნენ, არაფერი იცოდნენ. მე კი უკვე თავზარდაცემული ვიყავი ამ ამბით... ასეთ ულმერთო ტანჯვაწამებაში ვიყავით...

დაიხვრიტა უამრავი ხალხი, საუკეთესო საზოგადოება, ბრწყინვალე ოფიცრობა და კარგი გლეხობა. შავბნელ გარემოცვაში ვიმყოფებოდით პატიმრების ოჯახები. ღრმა მწუხარება ჩამოაწვა ქალაქს. ცრემლი, ცრემლი, ვაება და შიში.

* * *

მეტეხის ციხეში ჩვეულებისამებრ ჩეკისტებს პატიმრები ეზოში გამოჰყავდათ. ალიოშა და ილიკო მახარაძე ერთად იდგნენ და ოგანეზოვი (ჩეკისტი) სიით კითხულობდა გვარებს... გამოაცხადებდნენ გვარს, სახელს, მამის სახელს და ასე გაჰყავდათ დასახვრეტად. დღეში თითქმის ას კაცს ხვრეტდნენ. ერთ დღეს, როდესაც ოგანეზოვი მორიგ დასახვრეტ სიას კითხულობდა, ჩემი ალიოშა და ილიკო მახარაძე ერთად იდგნენ ციხის ეზოში. ალიოშა შემდგომ მიყვებოდა: „სია თითქმის ბოლომდე ჩაიკითხეს, ილიკო მომიბრუნდა და მითხრა, ჩვენ მგონი გადავრჩითო. ამ დროს ამოიკითხეს ილიკო მახარაძე – თითქოს ლახვარი ჩამცეს გულში“...

ისინი გადაეხვივნენ ერთმანეთს. ილიკომ ვაჟკაცურად მიიღო თავის განაჩენი და ალიოშას გადაულაპარაკა: „მიხარია შენ რომ გტოვებ, ცოლ-შვილი გყავს და იქნებ სასწაული მოხდეს, გადარჩე“ (ილიკო უცოლშვილო იყო).

რაღაც ბედზე დახვრეტები შეწყდა. მოვიდა ელვა-დეპეშა მოსკოვიდან: „Прекратить растрел.“

რამდენიმე დღის შემდეგ გამოვიდა დადგენილება პატიმართა შეწყალების (Помилование) შესახებ.

გაანთავისუფლეს ყველა პოლიტიკური პატიმარი. ალიოშა მახარაშვილი და ვექილი, გრიგოლ ლაღიძე, ერთად გამოდიოდნენ ციხიდან და ჩუმად გადაულაპარაკეს ერთმანეთს: ხომ არ უნდათ ამ ჯალათებს თავი დავუკრათ და მადლობა გადავუხადოთო.

შინ დაბრუნებულმა ალიოშამ მითხრა: ,,მაპატიე, იქ იყო მომენტები, როცა არც შენ და არც შვილები აღარ მახსოვდით და ვნატრობდი, მალე წავეყვანეთო დასახვრეტად.

ალიოშა რომ დაბრუნდა ისევ კობის ქუჩაზე ვცხოვრობდით. მინდოდა დიდი დედა (თამარი) წამომეყვანა ბანძიდან. კიწი ბაბუს დახვრეტის შემდეგ როგორ დამეტოვებინა მარტო და ალიოშამაც დამაჩქარებინა: მალე წამოიყვანე დიდი დედა, არ დატოვოო იქ.

თათული წამოვიყვანე ბანძიდან 1 წლის და სამი თვის. სრული ერთი წელი იყო მიმასთან ბანძაში. დიდი სიხარული და ბედნიერება იყო თათულის ჩამოყვანა... მაგრამ ვხედავდი ალიოშა ვერ გამოდიოდა მოგონებებიდან. მალიან გაუჭირდა იმ აუტანელი ტანჯვის და კოშმარების გადატანა... დაუხვრიტეს უახლოესი მეგობრები. სისხლის ზღვაში ვგრძნობდი თავსო... და მთხოვა გავცლოდით აქაურობას და ჩვენს სოფელში, დარკვეთში გადავსულიყავით... რა თქმა უნდა, დავთანხმდი.

იქაც არ მოგვასვენეს, ,,შავ სიაში" ჩაგვწერეს. აუტანელი გახდა ჩვენი იქ დარჩენა და ისევ თბილისში წამოვედით.

დიდი დედა თამარი ალიოშამ ჩამომიყვანა ბანძიდან და ჩემთან ცხოვრობდა კობის ქუჩაზე.

* * *

დავიწყეთ ისევ ნორმალური ცხოვრება. ისევ სტუმრიანობა. ჩვენც ხშირად გვიწვევდნენ და ისევ აეწყო ყველაფერი.

ერთ დილით დიდი დედა ცუდად გახდა, სისხლი ჩაექცა... მოვიყვანეთ ნიკ. ყიფშიძე. ვერაფრით ვუშველეთ. გარდაიცვალა. მამიდა სონია ნაკაშიძეს და მამიდა ოლინკა მხეიძეს (მის ქალიშვილებს) უნდოდათ თბილისში დაესაფლავებინათ. მე კატეგორიულ უარზე ვიყავი. მომიგზავნეს ჩვენთვის ყველასთვის საყვარელი დათიკო ბიძი (დათიკო ფაღავა ), მაგრამ მე მტკიცედ ვუპასუხე, რომ უსათუოდ ბანძაში უნდა დავასაფლავო, სადაც მისი შვილი, ჯვებე ასაფლავია და მეუღლე კიწი (ნოე ფაღავა), რომელიც 1924 წელს დახვრიტეს.

ჩემი მორდუ, მოსე სართანია და მისი შვილი გიორგი (ლიდიკოს მამა), ჩემი ძიძიშვილი, ჩუმად, ღამით წავიდნენ იმ ადგილას, სადაც გადმოცემით ვიცოდით, რომ დახვრეტილები ჩაყარეს. მოიპარეს კიწი ბაბუს ცხედარი, მოასვენეს შინ და რაც წესი იყო, ყველაფერი გაუკეთეს. კუბოც ჩუმად მოიტანეს და შიგ ჩაასვენეს... საცოდავს ორივე მუშტში წვერები ჰქონდა, სიმწრისაგან მოუგლეჯია.

მოსე სართანიამ და მისმა შვილმა, გიორგიმ, ძალიან გვიან ღამით, კუბო მხარზე გაიდეს და წაასვენეს შაურკარის სასაფლაოზე. იქ დიდებული ეკლესია იდგა, რომელიც თავისი სიძველით ძალიან მნიშვნელოვანი იყო. დაანგრიეს, მოსპეს კომუნისტებმა.

მოსე და გიორგი მხარზე გადებული კუბოთი, დიდი შიშით მიდიოდნენ სასაფლაოზე, რომ ვინმე არ შეხვედროდათ... როგორც იქნა, მიაღწიეს. საფლავი უკვე გამზადებული ჰქონდათ.

მე მინდოდა იქ დამესაფლავებინა ჩემი აღმზრდელი და სასოება, ჩემი დიდი დედა შვილთან და ქმართან.

ჩემმა ალიოშამ ისეთი დასაფლავება გაუკეთა, როგორიც ეკადრებოდა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ქალიშვილს. პანაშვიდი კობის ქუჩაზე იყო, ჩემს ბინაზე. საუკეთესო საზოგადოება ესწრებოდა. მაშინ ჯერ კიდევ არ იყვნენ ყველანი დახვრეტილები, ბევრი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო... გასვენება. ექვსი ცხენი, ძალიან მდიდრულად მორთული. კუბოს ფარჩა ჰქონდა გადაფარებული. მიჰყვებოდა სამი მღვდელი ერთ მხარეს და სამი მღვდელი, მეორე მხარეს.

კობის ქუჩიდან სადგურამდე, პროცესიას ფეხით მივყვებოდით. იქ, მატარებელში ჭირისუფლები ჩავსხედით. კუბო ცალკე ვაგონში დავასვენეთ.

აბაშიდან ბანძამდე ეტლებით წავედით.

დასაფლავების შემდეგ სასაფლაოდან დავბრუნდით ჩემი გამზრდელების ოჯახში. ესენი იყვნენ ჩემი ძიძა მინაია ჩიქობავა და მორდუ მოსე სართანია. სადილი იქ დაგვხვდა. ვიყავით მხოლოდ შვილები და შვილიშვილები და ჩვენი ოჯახისთვის ძალიან საყვარელი პიროვნება, კვიტი ჩიქოვანი.

ჩვენი დიდებული სახლი ბანძაში, სადაც ცხოვრობდა დიდი დედა თამარი და კიწი ბაბუ, სადაც ხშირად ჩადიოდა გიორგი შარვაშიძე, თავისი მეგობრებით და ახლობლებით, სადაც იმართებოდა შესანიშნავი წვეულებები, უკვე გაპარტახებული იყო. მახსოვს, მარჯორი უორდროპი, თავისი ძმით (სურათი მაქვს მარჯორი უორდროპის სამახსოვრო წარწერით გიორგი შარვაშიძისადმი).




ბაბო შარვაშიძე

ერთ-ერთ წვეულებაზე არ ჩამოვიდა ბებიდა ბაბო. დიდი დედა ძალიან გაუნაწყენდა — საოცარი სათნო და კეთილი იყო დიდი დედა თამარი, მაგრამ მკაცრი და ტრადიციების მოყვარული. ბებიდა ბაბომ დანაშაულის გამოსასყიდლად სურათი გამოუგზავნა, წარწერით: „თათუშა, რას მიწყრები?“ (მაქვს ეს სურათი) და მგონი ამით მოიგო დიდი დედას გული....

ეს დიდებული სახლი — გაპარტახებული, დანგრეული იყო. იქ აღარ მიისვლებოდა...

ყველაფერი მოსპეს და გაანადგურეს ბოლშევიკებმა. იმ ღამესვე დავბრუნდით თბილისში.

გადიოდა დრო. დრო ხომ აშუშებს ჭრილობებს...

* * *

ალიოშამ დაიწყო მუშაობა. ეს იყო ამერიკელებთან ერთად მარგანეცის კონცესია „ჩემო“ („Chemo“), ჭიათურასთან არსებული მარგანეცის საზოგადოება.

იქ ბევრი ჩვენი მეგობარი და ნაცნობი მუშაობდა. ხშირად ვიწვევდით ჩვენთან სადილად. ამერიკელებიც მოდიოდნენ. სუფრა მუდამ დიდებული და ძალიან ლამაზი გვქონდა: კუზნეცოვის სერვიზი, ოქროს

რკალით მოვარაყებული. სუფრა და ხელსახოცები გაქათქათებული, გაკრახმალებული, გვირგვინებიანი. სტუმრებს მოსწონდათ ლამაზად მორთული სუფრა და ვერცხლის რკალში ბროლის მძირფასი ჭურჭელი. თითოეული სტუმრის წინ სუფრაზე ლამაზ ყვავილებს ვაწყობდით, პატარა ლარნაკებით. დანა-ჩანგალი ვერცხლის გვირგვინებით. თევზისთვის სპეციალური დანები იყო. სუფრა მუდამ ლამაზად გამოიყურებოდა.

ერთმა ამერიკელმა თქვა: „მოგინდება ისე უყურო ამ სილამაზეს, რომ არაფერს ხელი არ ახლოო"

მზარეული მეავდა საუკეთესო. ასეთი სტუმრიანობა გვქონდა ხშირად. ალიოშა კარგად მუშაობდა. ჩვენ ბინის ქირასაც ვიხდიდით ვალუტით. კარგი ბინა იყო. თათული მონათლა ვ. გენერალ გაბაშვილის მეუღლემ, ნინო ნიკოლაევნამ. დიდებული დამოკიდებულება გვქონდა, დიდი სიყვარული და ურთიერთპატივისცემა. (ალიოშა რომ დაჭერილი იყო, ნამდვილ, მშობლიურ სითბოს ვგრძნობდი მათგან).

ჭიათურაში ამერიკელებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს. ალიოშა, როგორც „ჩემოს" წევრი და დიდი მადნების მქონე, ხშირად უნდა ყოფილიყო ჭიათურაში. ბავშვები პატარები იყვნენ და ალიოშამ გადაწყვიტა ჩვენი დარკვეთში წაყვანა.

## დარკვეთი

ჩავედით დარკვეთში, გიორგის მომვლელი მიმაც თან წავიყვანეთ. ჩასვლისთანავე „მავ სიაში" მოვხვდით. აგვიკრძალეს ვინმე დამხმარე, მოსამსახურე გვყოლოდა. მროხა რომ მოეწველა ასეთი კაციც ვერ მოდიოდა ჩვენთან. სასაცილო ვიყავით მე და ალიოშა მროხის წველის პროცესში. ალიოშას მროხა თოკმობმული ეკავა, მე ვედროს შევუდგამდი და ვწველიდით, მაგრამ რძე ვედროში ვერასოდეს ვერ მოვახვედრე, სულ განზე იხსმებოდა. ამ ჩვენმა წვალებამ დიდხანს არ გასტანა. ამერიკელებთან მუშაობამ სულ სხვანაირად დაატრიალა ყველაფერი. სოფლელებს ჩვენდამი შიშის გრძნობა გაუქარწყლდა და დაგვესია მთელი სოფელი, არა მარტო დარკვეთელები, არამედ მეზობელი სოფლიდანაც. არ იცოდნენ როგორ ემსახურათ ჩვენთვის, რა გაეკეთებინათ, რა მოეტანათ და ა.შ. ასეთია ცხოვრება..

ძალიან დიდი მუშაობა გაჩაღდა. ამერიკელები ფულს ვალუტით იხდიდნენ. ისინი აღფრ-

თოვანებულები იყვნენ ალიოშას ცოდნით და გამოცდილებით — ოქსფორდში მიღებულმა სამთო-საინჟინრო ცოდნამ ფუჭად არ ჩაიარა (ჩემმა მამამთილმა, მარგანეცის საბადოების მფლობელმა, თავისი ორი შვილი ალიოშა და ბესარიონი სასწავლებლად გაუშვა ინგლისში. ალიოშა დაბრუნდა, ბესომ კი გასაბჭოებულ საქართველოში დაბრუნება არ მოინდომა და დარჩა ლონდონში). ალიოშას მიზანი ჰქონდა თავისი მაღაროები უმაღლეს დონეზე მოეწყო. გვირაბები ისე გახლდათ მოწყობილი, გალერეა გეგონებოდათ. ბოძები რა მანძილზეც უნდა ყოფილიყო შედგმული, სტანდარტით იყო დადგენილი. ალიოშამ კი კიდევ უფრო მჭიდროდ რომ მდგარიყო მაღაროს კედლები, ამ სტანდარტულ ბოძებს შორის კიდევ ერთი ბოძი ჩაუმატა და მართლა გალერეასავით გამოიყურებოდა. ფულიც მეტი იხარჯებოდა ამ ცვლილებებისთვის. ერთ მაღაროს დაარქვეს ჩემი სახელი. ერქვა „ბაბოს მაღარო“ (შინაურულად ასე ამბობდნენ). ამერიკელ კონცესიონერებთან იდებოდა ხელშეკრულება, რომელიც მოსკოვში ფორმდებოდა. იქ იყო კოტე ჯაყელი (ლონდონიდან ჩამოვიდა). კოტე ჯაყელი იყო მუცუცას კვიდრი ძმა. მუცუცას ქალიშვილი, ხათუნა ჭოჭუა — ქქიმია. მოსკოვში, ამ ხელშეკრულების დადების დროს, კოტე ჯაყელი ღებულობდა მონაწილეობას. მაშინ მოსკოვში მუშაობდა ზინა კვიტაშვილი, ალიოშას ბიძაშვილი დედის მხრიდან, რომელიც იყო ვ. ი. ლენინის მდივანი (ეს არის მასალებში). ვ. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ზინა კვიტაშვილი მუშაობდა აბ. ენუქიძის მდივნად და მასაც, ამ ხელშეკრულების დადების დროს, დიდი მუშაობა დაატყდა თავს.



პატარა გიორგი და თათული მასხარაშვილები დარკვეთის ეზოში



ბაბო დადიანის ალბომიდან

ამერიკელებს დიდებულად ჰავდათ მუშები მომარაგებული. დიდებული ფეხსაცმელები, ხელთათმანები ტყავის, ყველა მუშა იყო უზრუნველყოფილი, ფულს დროულად ურიგებდნენ. ჩვენთან დარკვეთში გახშირდა სტუმრიანობა, ამერიკელებს მალიან უყვარდათ ჩვენთან ამოსვლა — ისინი ცხოვრობდნენ ჭიათურაში, დიდებულ ბინებში, დიდებულად, დიდი კომფორტით. ჩვენთან, დარკვეთში დიდი ეზო გვქონდა (სათიბე). მალიან კარგად მართავდნენ დროს. დიდებული ცხენები ყავდათ. ამ სიამოვნებას რა ჯობდა. ყველანი აღტაცებულები ვიყავით ამ სანახაობით. სუფრა მქონდა მუდამ დიდებული, მზარეული ამოგვყავდა ჭიათურიდან და რას არ გვიკეთებდა, ნაირ-ნაირ საჭმელებს. მე და დიმა კრუშონს ვაკეთებდით. კარგი მასპინძლობის შემდეგ სტუმრები გვიან მიდიოდნენ. მაქვს სურათები დარკვეთში, ჩვენ ეზოში გადაღებული. სუფრაზე არიან მისს ნიუმანი მეუღლით და კიდევ სხვა ამერიკელები, გვარი არ მახსოვს. თამადად იყო ყველასთვის საყვარელი საშა ლორთქიფანიძე, მთავარი ინჟინერი (1937 წელს დახვრიტეს). დიდებული თამადა გახლდათ. ერთი სადღეგრძელოს შესმის დროს ცოლ-ქმარ ამერიკელებს, კარგი სიტყვა უთხრა. თარჯიმნად ჩვენი თამაზ ორბელიანი იყო, ლიზას და მამუკას ვაჟი, ჩემი ძმის, ბუჭუს უახლოესი მეგობარი.

* * *

ერთხელ მივიღეთ ჭიათურიდან ნიუმანებისაგან მოსაწვევი. გვთხოვდნენ ალიოშას და მე ვწვეოდით რამდენიმე დღით. ოთახები თქვენთვის მომზადებული გვაქვსო. ჩვენც სიამოვნებით მივიღეთ ეს თავაზიანი მოწვევა და წავედით. დავრჩით სამი დღე და უსაზღვროდ კმაყოფილები დავბრუნდით დარკვეთში. ჩემი ცუნცულები, შვილები, სამი დღის უნახავი, მალიან მონატრებულები იყვნენ. ერთი დიდი სტუმრიანობის დროს, ჭიათურიდან, ამერიკელებთან ერთად ამოვიდნენ ჩვენი მეგობრები: ექიმი კაკო გამრეკელი, ცნობილი მომღერლის დავით გამრეკელის ძმა, კოწია იაშვილი — პაოლოს ძმა და თარხან ჯაყელი. მოვაწყვეთ ცხენების ჯირითი და გვიან საღამოს, დიდად ნასიამოვნები წავიდნენ ჭიათურაში.

* * *

ხელშეკრულება ამერიკელ კონცესიონერებთან იყო 20 წლით. თუ ჩვენი მიზეზით დაირღვეოდა რომელიმე მუხლი, მაშინ ამერიკელები მთელ ქონებას (მოძრავს) თან წაიღებდნენ და თუ მათი მიზეზით, მაშინ პირიქით, ყველაფერს ტოვებდნენ აქ. ამერიკელები გაოცებული იყვნენ

ასეთი ფაქტით: მაგალითად, სამუშაო საათებში მოვიდოდა ვინმე პასუხისმგებელი პირი (პარტიული), გამოიყვანდა მუშებს მაღაროებიდან, უკითხავდა გაზეთებს, ახალ დადგენილებებს, ხან რას და ხან რას. ხან პროფკავშირებიდან მოდიოდნენ სამუშაო საათებში. ასე მუშების გაცდენა შესამჩნევ ზარალს აყენებდა კონცესიონერებს.

ამერიკელებისათვის სამუშაო საათების ერთი წუთის გაცდენაც კი წარმოუდგენელი იყო. ამგვარმა ფაქტმა გაკვირვება და აღშფოთება გამოიწვია უცხოელ პარტნიორებში და ეს იყო საკმაო მიზეზი, რომ 3 წელიწადში დატოვეს უველაფერი და როგორც იტყვიან, მოიკიდეს თავიანთი გუდა-ნაბადი და სწრაფად გაეცალნენ აქაურობას.

ჩვენ გადავედით იქვე, ორსართულიან სახლში, ვცხოვრობდით მეორე სართულზე, ქვემოთ ცხოვრობდა ვიაჩესლავ ჩხეიძე, თავისი ოჯახით. შვილები კოტიკო და რურიკა, ლენა და ვიაჩესლავის და გულჩინო. დემნა, ჩემი ძმა, ჩვენთან ცხოვრობდა... მაქვს სურათი — ყველანი ერთად და ჩვენი ძალიან საყვარელი და ერთგული გუგულა წერეთელი.

ამერიკელების წასვლის შემდეგ შეიცვალა ყველაფერი. დიდხანს არ გაგრძელებულა მშვიდი ცხოვრება. 1931 წელს მოვიდნენ ჩეკისტები. გაგვჩხრიკეს და ალიოშა წაიყვანეს. დემნა ჭიათურაში იყო და ისიც იმ ღამეს დაპატიმრებული წაიყვანეს თბილისში. დავრჩი ორი ბავშვით. წამოვიყვანე ბავშვები, წამოვედი თბილისში. უბინაო, ავეჯი წართმეული. გიორგის თავშესაფარი მარიკო და ბიძუ ბერიძეებთან ჰქონდა, თათულის — მიშა და დალი ქიქოძეებთან. მე ხან თამარ აგიაშვილთან, ხან კატია დადიანთან, ხან სად და ხან სად .... ჩემი უმწეო მდგომარეობა სალაპარაკო გახდა ახლობლებში. ბოლოს ქენია წულუკიძემ შემიკედლა ჩემი ორი შვილით, ერთ პატარა ოთახში (საერთო საპირფარეშოს გვერდით), მაგრამ ეს დიდი ბედნიერება იყო, გიორგი და თათული თვალწინ მყავდა. ქენია იყო ჯაყელის ქალი (ბაქოს ნავთობის მეპატრონის შვილი), მეუღლე კი მისი, ვალოდია წულუკიძე, ჩვენი ნათესავი (ჩემი მეჯვარე). მოვიგონეთ, როცა 1921 წელს, მერი შარვაშიძემ და ვალოდია წულუკიძემ კარეტით წამიყვანეს ჩვენი ბინიდან (რტიშევის ქ. №18, ახლა ჯაფარიძის ქ.) სიონში, სადაც დავიწერე ჯვარი. ვსარგებლობდი ბიცოლა ქენიას სამზარეულოთი და ალიოშას ვუგზავნიდი სადილებს. ხან ანიჩკა (თინას დედა) წამეშველებოდა. ალიოშას ისევ მძიმე ბრალდება ჰქონდა. ჰყავდა სასტიკი გამომძიებლები. ლონდონში დიდი დაწესებულების „სოსიფრო“-ს წინააღმდეგ ამ ვერაგებმა, კაციჭამიებმა რაღაც საქმე შექმნეს და ალიოშას წაუყენეს ბრალდება — ინგლისის შპიონაჟი. თითქმის ერთ წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა ალიოშას საქმის გამოძიება.

* * *

ვუიდდი ყველაფერს. სერვიზი 48 კაცის, დიდი ბროლის თასი ვერცხლში, 12 ჭიქა ბროლისა და სხვა ბევრი რამ. ამდენი წვალების შემდეგ ალიოშას გამოუცხადეს თავისუფალი გადასახლება. ალიოშა წავიდა სარატოვში და მეც ორ კვირაში მოვამზადე რაც საჭირო იყო, თბილები ბავშვებისათვის, ჩემთვის... ჩემი ბარგი-ბარხანით წავიყვანე გიორგი და თათული და წავედით ვოლგისპირეთში.

* * *

სარატოვი. 1932 წელს ჩავედი ჩემი შვილებით ვოლგისპირეთში.

ალიოშას უკვე ბინა ნაქირავები ჰქონდა. სამი ოთახი, დიდი ეზო Большая горная 209. დიასახლისი კეთილი ქალი, კაცი რუსი — ლოთი, ყავდათ ერთი გოგო. დიასახლისმა მასწავლა რუსული ღუმელის ხმარება. სადილს რუსულ ღუმელში ვაკეთებდი. ალიოშამ ბევრი შეშა მოიმარაგა. ასე რომ ეს საზრუნავი არ იყო. გავაღებდი ღუმელს და „უხვატით" (ეს გრძელი ჯოხია, მოკაუჭებული ერთი ბოლოთი.) მოვდებდი ქვაბს ან ჯამს და შევდებდი ღუმელში, მალიან გემრიელი კერძი გამოდიოდა. ზამთარი ყოველმხრივ მძიმე, მკაცრი ყინვები, უჩვეულო და აუტანელი ჩვენთვის. ამას დაემატა მძიმე განსაცდელი, თათულის დაავადება ჰარტახტიანი ტიფით. მალიან მძიმე წლებში მოგვიხდა ცხოვრება. იყო დიდი შიმშილობა და საშინელი ტილიანობა (იქაური მკვიდრნი ამბობდნენ, რომ ასეთი შიმშილობა ყოფილა 1921 წელს). თათულის ეს უბედური სენი სკოლაში შეეყარა, ბავშვები სულ ტილიანები იყვნენ. ტიფი, ეს საშინელი სენი, ჩემს თათულის უმძიმესად მოეკიდა. სასოწარკვეთილებაში ვიყავით ალიოშა და მე. სიკვდილ-სიცოცხლეს ებრძოდა ჩვენი სიხარული თათული. ექიმებმა გვითხრეს, თუ გინდათ სიცოცხლე შეუნარჩუნოთ, ერთი წუთითაც პირი მშრალი არ უნდა ჰქონდესო, წყალი არ მოაშოროთო. ოღონდ კი ცოცხალი შემრჩენოდა ჩემი თათული, წუთით თვალი არ მომიხუჭავს. ჩაიდანი, სითხით, სულ არ მომიშორებია მისგან. წყალი იყო შერეული წვენებით. 24 საათი არამც თუ მილი, თვალი არ მომიშორებია ბავშვისათვის. ერთხელ ღამე ხელი მომკიდა (მე ჩაიდნით ვასმევ სითხეს) და მეუბნება: დედუკ, სად ხარ, გეძებ, გეძებ, ეზოში გავედი, ფეხშიშველა ყინვაზე დავადგი ფეხები და შემცივდაო. საქართველოში თუ წახვედით, მე აქ არ დამტოვოთ, მეც თან წამიყვანეთო. მე შემეშინდა. ეს ბოდვა იყო. დავუძახე ალიოშას და ასე მწარე განცდებში გავატარეთ მთელი მისი ავადმყოფობა. ჰარტახტიანი ტიფით დაავადებულებს არ აჩერებდნენ

სახლში, გადაყავდათ საავადმყოფოში. ეს კი გარდაუვალი სიკვდილი იყო. 40 გრადუსი ყინვა. საავადმყოფო არ თბებოდა, საშინელი პირობები. რამდენჯერმე მოგვაკითხეს. ალიოშა არ დადიოდა სამსახურში. სულ შიმშა და განცდებში ვიყავით, რომ ჩვენთან მოვიდა 5 ქართველი სტუდენტი, რომლებიც სარატოვის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდნენ. გაუგიათ ჩვენი ამბავი და შემოგვთავაზეს დღე-ღამე ვიმორიგევებთ და ბავშვს არ გავატანთ საავადმყოფოში. ეს ნუგეში იყო. ჩემი თათული ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გადაგვირჩინა უფალმა. ერთი ზაფხული გავატარეთ აგარაკზე (სარატოვში აგარაკებია ერთი გაჩერება, ორი გაჩერება, სამი გაჩერება და ა.შ. ქალაქიდან ტრამვაით). ჩვენ ერთ ზაფხულს ვიქირავეთ მეოთხე გაჩერებაზე აგარაკი, კარგად მოვეწყვეთ, ლამაზი სახლი და ბაღი. ერთ დღეს ქურდები დაგვესხნენ, ბედზე ცოცხლები გადავრჩით. ცოტა რამ მაინც წაგვართვეს.

ამ დუხჭირი ცხოვრების გაძლება არც თუ ისე ადვილი იყო. სხვა გზა არ იყო. დარჩენილი კოვზები, დანა-ჩანგალი ვერცხლის ინიციალებით, გვირგვინით, ასევე დანა-ჩანგალი თევზისათვის, დიდი კოვზი- ფლავის ასაღები ძალიან ლამაზი იყო, ასევე ჩაის კოვზები და პატარა ყავის კოვზები წავიღეთ ნახევარფასად ტორგსინში. გავძელით დიდი მოთმინებით, რწმენით, ერთიერთისიყვარულით, პატივისცემით და ჩვენ ანგელოზებზე, ჩვენ ორ სიხარულ შვილებზე მზრუნველობით; ალიოშას საოცარი ვაჟკაცობით, მისი ბუნებით, დიდი ბუნებით. არც ერთ წუთს, რაც უნდა მძიმე პირობები ყოფილიყო, შუბლშეკრულს, უგუნებოდ და უხალისოდ ვერ ნახავდით. საოცარი ძალა, სისპეტაკე, პრინციპულობა და მას-



ბაბო დადიანი მეუღლით და შვილებით, სოხუმი, 1935 წ.

თან უსაზღვრო სიფაქიზე, გულწრფელობა, ერთგულება, სისულელემდე ხელგაშლილობა – ეს ყველაფერი, რაც მე ჩამოვთვალე, ცოტაა მისი მდიდარი ბუნებისათვის. მისი წყალობით, გასაბჭოებამდე, უცხოეთში 5 სტუდენტი ღებულობდა განათლებას, ალიოშას სტეპენდიანტები იყვნენ, რამდენიმე წელი უხდიდა სწავლის ფულს. მათგან მხოლოდ ერთი გამოგვეხმაურა – ეს იყო თათულის მეგობრის, ცეცე სირაძის ბიძა – კალანდაძე. მისი ქალიშვილი ლეჩკომბინატში მუშაობდა კბილის ექიმად.

* * *

ერთხელ ალიოშას სამსახურიდან მოსვლას ველოდები, ვიყურები ფანჯარაში – ვხედავ ალიოშა ძლივს მოდის თოვლში, ყინვაში. ზურგზე რაღაც ტომარასავით კიდია. გავაღე კარები – საშინელი შეწუხებული მეუბნება: ეს ქართველი სადგურთან ახლოს დაგდებული ვნახე, ქართული კვნესა შემომესმა – თითქმის ვერ ლაპარაკობდა. მივლინებაში ყოფილა სარატოვში. გაუძარცვავთ. უსახსროდ დარჩენილი უკან ვერ ბრუნდებოდა და არც ქონდა საშუალება სადმე თავი შეეფარებინა ან თავისიანებისთვის შეეტყობინებინა. შემოიყვანა ტილიანი, გაყინული, მთლად დაჩირქებული. ძლივს გავხადეთ. ჩავსვით ტაშტში, დავბანე, გავასუფთავე. ნახევარ წელიწადზე მეტი მოუნდა მისი წყლულების შეხორცებას. ძლივს ფეხზე დავაყენე. ალიოშამ რაღაც საქმე დაავალა, რომ ცოტაოდენი ფული ეშოვა, მაგრამ ვერ გამოდგა პატიოსანი, უღალატა, უსინდისოდ მოიქცა. ავუღეთ ბილეთი და გამოვისტუმრეთ საქართველოში.

* * *

ჩვენთან იყვნენ ძმები სუმბათაშვილები – კოსტია და დათა. დათა მალე დაბრუნდა საქართველოში. ძალიან დავვიმეგობრდა კოსტია. დიდებული პიროვნება იყო. დიდხანს დარჩა სარატოვში. დახვეწილი ინტელიგენტი, განათლებული. გვიმსუბუქებდა იმ მძიმე დღეებს. იყო პეტრე მხეიძე, თავის ცოლით, ნინა გრუზინსკაიათი. ნინა იყო ჩემი ქალიშვილობის უახლოესი მეგობარი. (ნინამ შემდგომ დატოვა გადასახლებაში ქმარი და წამოვიდა თბილისში. ჩამოსვლისთანავე გათხოვდა. წაყვა გველესიანს).

კოსტია სუმბათაშვილი და პეტრე მხეიძე სულ ჩვენთან იყვნენ...

ერთ ღამეს ცუდად გავხდი, დილამდე ვითმინე, აუცილებელი იყო ექიმის გამოძახება. სარატოვში ბევრი გერმანელი ცხოვრობდა, საუკეთესო ფენა, მათ შორის, შესანიშნავი ექიმები.

ჩემი თათულიც ამ გერმანელი ექიმების წყალობით გადამირჩა. ჩვენ დაუახლოვდით ერთ ექიმს, პროფესორ კრაუზეს. ის მოვიყვანეთ. მე არ მინდოდა საავადმყოფოში წასვლა, ალიოშასი და ბავშვების მიტოვება. აუცილებელი გახდა ჩემი წაყვანა. გამოვიძახეთ სასწრაფო. უკვე ის დრო იყო, გიორგი უნდა მოსულიყო სკოლიდან. მე მივათრევდი დროს. მინდოდა გიორგის დავხვედროდი და სწორედ მაშინ მოვიდა სასწრაფო დახმარება. შევამჩნიე გიორგი მორბოდა სკოლიდან. არასოდეს დამავიწყდება მისი შეწუხებული სახე, ზურგზე ჩანთა მოკიდებული. საავადმყოფოში დამაწვინეს. დერეფანში. შუქი ჩაქრა და პროფ. კრაუზემ თქვა, ოპერაციას ვერ დავიწყებო და ვინიცობაა ოპერაციამდე გარდაიცვალა, საავადმყოფო პასუხს არ აგებსო. მდგომარეობა კი რთულიაო – აპენდიციტის შეტევა. ალიოშასთვის მალიან მძიმე იყო ამის გაგონება. დილით როცა ალიოშა მოვიდა საავადმყოფოში, ოპერაცია დანიშნული იყო. მშვიდობით გადავრჩი. გამომიყვანა ალიოშამ საავადმყოფოდან.

* * *

დადგა ჩვენი საქართველოში დაბრუნების დროც. ჩამოვედით თბილისში. დიდი ნაწილი ბარგისა დავტოვეთ სადგურში, შემნახველ საკანში. ჩემოდნებით, ჩვენ ოთხი სული მივადექით ანიჩკას და ვანოს, ალიოშას დას და სიძეს). ალიოშას და თინა გოცირიძის მშობლებს, გრიბოედოვის ქ. №24, ერთი დიდი ოთახი ჰქონდათ. ჩვენ დავუმატეთ 4 სული. დავიწყეთ საბუთების მოწესრიგება. გაგვიძნელდა პასპორტების მიღება. ჩკ-ში ასე მიპასუხა საშურკინმა „Возвращайтесь туда откуда приехали“. მე ვუპასუხე: „У нас срок ссылки кончился и мы вернулись“ ამაზე უხეში პასუხი „А мне какое дело“. ეს საშურკინი ის მხეცი იყო, რომელიც სასტიკად აწამებდა პატიმრებს.

ერთხელ მერჯინსკის ქუჩაზე, ჩეკას კომენდატურაში დასახვრეტად გამწესებული პატიმრები შემოჰყავდათ. საშურკინი აგდებულად მიმართავდა მათ.

პატიმრებს შორის იყო სუსლიკ ანდრონიკაშვილი (მამიდა ნადიას ვაჟი). სუსლიკამ კედლიდან გამოაძრო ლურსმანი და თვალში ჩათხარა საშურკინს. ანდრონიკაშვილს იქვე დაახალეს ტყვია. ისე მოუღეს ბოლო, დასახვრეტადაც არ გაუყვანიათ.

* * *

დღეები გადიოდა. პასპორტის ასაღებად და საცხოვრებელი უფლებების აღსადგენად დახმარება დამჭირდა. მივმართე თათუშა ქორდანიას, რაფავას ცოლს, რომელიც იყო ჩემი თანაკლასელი და ერთმანეთი მალიან გვიყვარდა.

თათუშა მივიდა ტიტე ლორთქიფანიძესთან, რომელიც იყო მაშინდელი ჩეკას დიდი თანამდებობის პირი. ტიტე ლორთქიფანიძემ იმ წუთში დარეკა მთავარ მილიციაში და ჩვენც უმალვე გვაცნობეს. მილიციაში მუშაობდა ციცინოს და, ხიხუ მხეიძე, მოირბინა და მოგვილოცა.

პასპორტები მივიღეთ! და აი, უკვე მერამდენეჯერ, დავიწყეთ ბინის ძებნა... მოვიდა ჩვენი ახლო მეგობარი, გიორგი (ქორჟიკ) ჯორჯაძე. წაგვიყვანა და გვაჩვენა ბინა (მერჟინსკის №1). ვინმე კომუნისტი ალიოშა თოიძე ჰყიდდა სამ ოთახს. დავთანხმდით. ზაფხულის დასაწყისი იყო, ბავშვები უნდა გაგვეყვანა აგარაკზე. წავედი მანგლისში ჩემი შვილებით. თან წავიყვანე თინიკა გოცირიძე, ალიოშას დის შვილი და ერთი მოსამსახურე.

ალიოშა შეუდგა ბინის გარემონტებას. დიდი უსიამოვნება შეხვდა ა. თოიძესთან. მესამე ოთახზე უარი თქვა, იქიდან არ გამოვიდა. ის ორი ოთახი პატარა იყო. მესამე ოთახი კი ყველაზე დიდი და კარგი. ფული კი სამი ოთახის აიღო. მივმართეთ გიორგის, მალიან შეწუხდა, რა ვქნაო, „раз он такой негодяй"... დავრჩით ამ ორ პატარა ოთახში, სადაც უამრავი სიმწარე ვნახეთ, ცრემლები... შევეგუეთ ბედს. მოვეწყვეთ აქაც ლამაზად. ორი ლამაზი ბული, ნოხები. ბავშვები დადიოდნენ მე-14 სკოლაში, მახარაძის ქუჩაზე. დიდებული მასწავლებლები: ნინო ბოცვაძე, თამარ გეგეჭკორი, შალვა დოლაქიძე...

ტკბილად და მშვიდად ვცხოვრობდით. მეგობრებიც არ გვივიწყებდნენ. ხან ჩვენთან, ხან ჩვენ მათთან. 1935 წელი, გაზაფხული. მხიარული, როგორც ბრწყინვალე დღეებით, გაზაფხულის ხალისით და სილამაზით. ასეთივე განწყობილება სახლში. ახლადგარემონტებული, სუფთა, ჩვენი პატარა ოთახები, სავსე მზის სხივებით და სიხარულით — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. სიხარული და სიყვარული ჩვენი ოჯახის ტკბილად ცხოვრების, ბავშვების სიმრავლით, სიკარგით, მატერიალურად სრულიად უზრუნველყოფილნი. ალიოშას ენერგიამ, უსპეტაკესმა და პატიოსანმა თავდადებულმა მუშაობის უნარმა ისეთი ნაყოფი მოგვიტანა, რომ შეგვემლო ყველა ჩვენებისადმი ყურადღებით და ხელგაშლილად ვყოფილიყავით. მამიდა ოლინკა (მხეიძე) ხშირად, თითქმის ყოველ დღე, მოდიოდა სადილად. ალიოშა განსაკუთრებული სითბოთი და მოფერებით ეპყრობოდა. წასვლისას აუცილებლივ ჩანთაში ჩუმად ფულს ჩაუდებდა. ბაჩუა ბებია



ბაბო დადიანი მეუღლესთან, შვილებთან და მულიშვილ თინა გოცირიძესთან ერთად

(კოკი და ჯვებეს ბებია, ნიკო დადიანის ცოლი), ცხოვრობდა სასტუმრო „კავკაზ"-ში. ხშირად შაქრით, კარაქით და ტკბილეულით მივიდოდი და საწყალი მოხუცის სიხარულს საზღვარი არ ქონდა. გუგუ სულ ჩვენთან იყო. ცოტათი შევმოსე, კარგად იკვებებოდა. გალამაზდა, გამხიარულდა ჩემი საწყალი და, ბედისგან უსამართლოდ დაჩაგრული. სამ ვაჟს, რომლებიც ვერ ასიამოვნებდნენ, ვერ მოერია, ვერ მოთოკა.

გუგუ ძალიან გამოხალისდა. ზაფხულში აგარაკზე, ზამთარში ბაკურიანი. ვინაიდან მთელი ზამთარი სულ ჩემიანები იყვნენ ჩემთან. მამიდა ოლინკა, გუგუ, ბიჭიკო. მართალია, ეს ასეც უნდა იყოს. რაც მაქვს, ჩემიანებისთვის მინდა და ეს სრულიად გულწრფელად, სიხარულით უნაწილდებათ მათ, არა მარტო მოვალეობის თვალსაზრისით. ასეთივე მდგომარეობა მომიწევს ჩემი ალიოშას ნათესავებისადმი. ბაკურიანში წავიყვანე თინა, ჩემი მულის შვილი. შესანიშნავი გოგონა არის, ყველაფრით. იმდენი კარგი და დადებითი მხარეებია მის ბუნებაში, რომ განცვიფრებული ვარ მისი ტაქტით, მოკრძალებით. ძალიან, ძალიან დიდი ბუნების და სულისკვეთების ადამიანია. ყოველ ზაფხულს მიმყავდა თინა, ჩემს შვილებთან ერთად.

ვცდილობდი, ყურადღება არ დამეკლო არც ჩემი საყვარელი ძმის ბონდოს შვილების — პატარა თათულისა და მალვინასადმი.

* * *

როგორ ვატარებთ მთელ დღეებს. ჩამოვედით საშინელ წვიმიან დღეს. ბაკურიანი ნისლიანი და ცივი. მოსამსახურე ვერა, ჯერჯერობით მარჯვე.

დაიწყო ბაკურიანის ბრწყინვალე დღეები. როგორი მხურვალე მზე. პირველი საუზმის შემდეგ მივემურებით ჩვენი ნოხით და წიგნებით ნაძვნარს. ჩვენთან არიან უახლოესი მეგობრები — სვანიშვილების ოჯახი, ნუნუ და ჯანა თავისი მამიდებით. უგემრიელესი საჭმელები... აქვე ახლოს იყო თამარა გრუზინსკაია, თეზიკათი (პეტრე გრუზინსკი, განთქმული პოეტი). ბაკურიანში ხის სახლები იყო და თეზიკა სადაც საშუალება ქონდა, ამ ხის სახლებზე მიაწერდა ლექსებს. ჩემს თინას დაუწერა კარგა დიდი ლექსი. ნახევარი დღე მოვუნდით იმის გადაწერას. თამარა დაუმახებდა თათულის, მისცემდა ფანქარს და ქაღალდს და ავალებდა, სადაც თეზიკოს ლექსს ნახავდა, გადაეწერა. თათული უარს ვერ ეუბნებოდა და რას ეჩხუბებოდა თეზიკოს!... მთელ დღეს ტყეში ვატარებთ, ვაგროვებთ შესანიშნავ მინდვრის ყვავილებს. არაჩვეულებრივი სილამაზის. აქ გვხვდება ალპიური ყვავილები. ვაკეთებთ ულამაზეს თაიგულებს, კალათებს.

ოთახი სავსე გვაქვს კალათებით, თაიგულებით. მზიანი დღეები გვიზიდავს ტყეში, მთელ დღეებს ვატარებთ ყვავილების, სოკოების კრეფაში.

ხშირად, როგორც ჩემი ლანდი, ისე დამყვება ფიქრი ჩვენებზე. იქ, უცხოეთში, ჩემს მშობლებს და ახლობლებს როგორ ენატრებათ აქაურობა. მე კი ვუყურებ ამ ზღაპრულ სილამაზეს და გული მიკვდება... მახსენდება კონსტანტინოპოლი. მიუხედავად ბედნიერი და მხიარულობით სავსე ცხოვრებისა, როგორ მენატრებოდა ბანძა, სოხუმი, წირქვალი, ქუთაისი, თბილისი... ალიოშა ხშირად ამოდის. ამოდიან აკაკი და ოლიაც, ხშირად ჩვენთან არის პეტია ბოკერია. პეტია ბრწყინვალე თამადაა და მჭევრმეტყველი...

დიდხანს არ გაგრძელებულა ჩვენი ბედნიერი ცხოვრება — თავს დაგვატყდა 37 წელი.

## 1937

სირბილი ციხეში... დავრბოდით, ვეძებდით ჩვენს ქმრებს, შვილებს, მამებს, ძმებს... უამრავი ნაცნობი, ყველა ჩვენი ახლობელი, ნათესავები, მეგობრები... ჩვენი წრე, ჩვენი რჩეული ოჯახები... ღამეებს ვათენებდით ციხეებთან... ან მეტეხთან ან ორთაჭალის საგუბერნიო ციხესთან, რომ გაგვეგო სად წაიყვანეს, სად გაქრა ეს ხალხი. პასუხი უხეში, არაადამიანური — „Без права переписки"... გადის დრო. ჩვენს გამწარებას ბოლო და საშველი არ უჩანს. ერთ საღამოს ისევ თავი მოვიყარეთ ციხესთან. გადავწყვიტეთ გვეთვალთვალა, გამოიყვანდნენ თუ არა პატიმრებს. მოგვვარდა ჩეკისტი და გაგვყარა. ჩვენ მაინც გადაწყვეტილება არ გადავიფიქრეთ. დავდიოდით ქუჩა-ქუჩა. გავივლიდით დიდ მანძილს, დაღლილები ჩამოვსხდებოდით ტროტუარზე და ისევ ვბრუნდებოდით ციხესთან. აქეთ-იქით ხეტიალით გათენდა. ჩვენ მივადექით ციხის კარებს. ჩავდექით რიგში. პირველი ტრამვაი მოვიდა და მოჰყვა უამრავი ხალხი. ისინიც რიგში ჩადგნენ. კარები გაიღო და ყველანი ციხის ეზოში შევცვივდით. იქ, პატარა სარკმლიდან ვიგებთ პასუხს ჩვენს კითხვაზე. პასუხი ისევ ასეთი: „Без права переписки". ყველა დაღლილი, ღამენათევი, პასუხიც უიმედო... ვდგავართ: მარუსია დადიანი, სოფიო მაჭავარიანის და, ლევან ქორქაშვილის ცოლი, ქიქოძეები...

თითქოს ცეცხლის ალში ვართ გახვეულნი, მთელი ღამე განათევი, ეზო-ეზო და ქუჩიდან ქუჩამდე ნახეტიალები (ციხესთან ახლოს გაჩერება არ შეიძლებოდა)...

ამ დროს, ვხედავ მოვიდა ჩემი გიორგი გაფითრებული, აღელვებული. მამლევს პატარა ქა-

ღალდს, უვიცი ხელით დაწერილს: „ამხანაგ მასხარაშვილს. თქვენ გევალებათ დაცალოთ თქვენი ბინა მერჯინსკის ქ. №1, ორი ოთახი და გადახვიდეთ თეატრალურ შესახვევში №4." ელდა მეცა. ეს კიდევ რა დამატყდა თავს. შემომესხვივნენ მეგობრები, ნათესავები. ბევრს უკვე გამოცდილი ქონდა ბინის წართმევა. იმ წუთსვე წამოვედით მე და გიორგი, შემოვედით შინ და მინდა კაბა გამოვიცვალო. გავიხადე კაბა და ამ დროს ოთხი კაცი უკითხავად შემოცვივდა. ერთი ამბობს: „ჩქარა დაცალეთ ოთახი, ბინა ჩემია. მე ვარ უნივერსიტეტის დოცენტი ზერაგია". გაოგნებული ვეუბნები — დამაცალეთ კაბა გადავიცვა (ვდგევარ მარტო ჰერანგში). ის მჯასუხობს: „რა დროს ეს ამბავია, ჩქარა". მივარდა მაცივარს: „ეს დატოვეთ, მე მჭირდება". აიღო ბროლის საყვავილე და ვედროში ჩააგდო, თავი მოტყდა, ახლაც მაქვს ის საყვავილე, ჩამოტეხილი. ჩქარობენ, ყველაფერს ყრიან ვედროებში, კალათში. მე ვჩქარობ ქვეშაგები ავიღო, გავკრა, მაკანკალებს, ცრემლები მახრჩობს. ამას ყველაფერს ვუკავშირებ ალიოშას გართულებულ ბედს — ალბათ, მალიან ცუდად არის მისი საქმე, ასე მხეცურად რომ მექცევიან. ამ დროს სამსახურიდან მოდიოდა ანიკო, ილარიონ ლორთქიფანიძის ასული-ქავთარაძისა, პეტრე ქავთარაძის მეუღლე, რომელიც ცხოვრობდა ჩემს ქუჩაზე, №9-ში. ამოვიდა, დაინახა ასეთი სურათი და მალიან გაბედულად შეუტია ამ ველურებს: „არა გრცხვენიათ, კაცები ხართ, ქართველები ხართ, როგორ იქცევით". ჩაგვყარეს მანქანაში და მიგვიყვანეს თეატრალურ შესახვევში №4. ეს სახლი ყოფილი სასტუმრო იყო. შემიყვანეს რაღაც საშინელებაში. ყოფილი სასტუმროს დერეფანი, 7კვ. მეტრი, ფანჯარაც არ ჰქონდა. მლივს მოვათავსე ბავშვები. გიორგის ცალკე მოვუწყვე საწოლი და თათულის ცალკე. ჩემთვის გასანძრევი ადგილი აღარ იყო, ამიტომ ვიწექი აივანზე, ბავშვების კარებთან ახლოს. ზამთარში თოვლი მეყრებოდა საბანზე. ასე გავატარე სამი წელიწადი. მეზობლები მიყურებდნენ ფანჯრიდან და მეკითხებოდნენ, როგორ მლებო. აუტანელი პირობები იყო ამ 7 მეტრიან ოთახში. ბავშვები გამოაგდეს სკოლიდან, როგორც მავნებლის შვილები. გიორგი სხვა სკოლაში იყო, თათული სხვაგან.

იმდენად აუტანელი იყო ჩემი ბინის პირობები, რომ დავიწყე სასამართლოში სიარული, ჩივილი, რომ ორი შვილით, 7 მეტრიან ოთახში, სამი სული ვერ ვეტევით-მეთქი, მე გარეთ, ღია აივანზე ვწევარ... ერთ დღეს უამრავი, ჩემსავით გაუბედურებული ქალები დგანან, ელოდებიან მიღებას ტალახამესთან. შევისედე და ვხედავ ზის ჩვენი კარგი მეგობარი, ირაკლი ყავლაშვილი, მამამისი ჭიათურაში ცნობილი ვექილი, პატიოსანი, კარგი კაცი. ირაკლი კარგად მიცნობდა, მაგრამ იქვითომ მე გარეშე ვარ და ვერ მიცნო. არ გასულა ერთი საათი და

იმახის ჩემ გვარს: „მობრძანდით თქვენი რიგია, გასული მიღების დროს თქვენ ვერ შემოხვედით და ძალიან განაწყენებული წაბრძანდით, ჩემი ბრალი ხომ არ იყო“. შევედი ტალახაძესთან, ვუამბე მდგომარეობა, ჩემი გაჭირვება, მაგრამ რას გააკეთებდა, რომ მისი პირადი მდივანი, ირაკლი ყავლაშვილი არ დამხმარებოდა. ირაკლიმ სთხოვა ტალახაძეს გამოეყო კომისია და შეემოწმებინათ ჩემი ცხოვრების პირობები. ასეც მოხდა. ერთ დილით მოვიდნენ, დაათვალიერეს და ერთმა დაიწყო წერა, რომ მოეხსენებია სინამდვილე. ამ კაცმა შეხედა სურათს — მამაჩემი ჩოხაში, ზის სავარძელში. მკითხა: ეს ვინ არისო. მე ვუპასუხე. მკითხა, სად სწავლობდაო მამათქვენი ? „в Кутаиси, в классической гимназии, или нет?“, მეც დავუდასტურე: ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდა-მეთქი მამაჩემი. მე მგონი ეს კაციც, გვარად ფეოდოროვი, იქ სწავლობდა. კეთილი ღიმილით შეუდგა წერას და როგორც იტყვიან, „ქვას გატეხსო“, ისეთი მოხსენების ბარათი გააშანშალა. საქმეს ისიც შველოდა, რომ ზერაგიას არ ჰქონდა ორდერი. ის არაოფიციალურად იყო შესახლებული ჩემს ბინაში. ტალახაძემ ძალიან მკაცრად უთხრა: „შენ ამის უბედურებაზე გინდა შენი ბედნიერება ააშენო, არა?“ მიუბრუნდა ისევ გაბუნიას და გაუმეორა, სასწრაფოდ გაგზავნე საპროტესტო... მე ისევ ამოვიღე ხმა და ვუთხარი: „ხვალვე გავფრინდები მოსკოვში და თვალყურს ვადევნებ ამ საქმეს-თქო“. აი, ასეთი სიკეთე გამიკეთა ირაკლი ყავლაშვილმა. წარმოუდგენელია რამე გამოსულიყო ირაკლი რომ არ ყოფილიყო ასე ვაჟკაცურად მონდომებული. სანამ მოსკოვში წავიდოდი, აქ სასამართლოში ირჩეოდა საქმე. აქ გაჭიანურდა, მაგრამ მაინც ჩემ სასარგებლოდ გადაწყდა.

* * *

ისევ 37 წელი.

ალიოშა ციხეშია.

საღამოს ჩემთან მოვიდა ჩვენი მეგობარი შოთა ბუკია და მითხრა: გუშინ ღამე გვიან ვბრუნდებოდი სახლში და დავინახე, რომ შინსახკომიდან ციხის მიმართულებით საბარგო მანქანებით გადაჰყავდათ პატიმრები. ერთ მანქანაში ალიოშა დავინახეო. მეორე დღეს შინსახკომში არ მიიღეს ამანათი და გავიქეცი საგუბერნიო ციხეში (ორთაჭალაში). საღამოს წავედი ციხეში, რათა მეორე დღისათვის დამეჭირა რიგი. მთელი ღამე რიგში ვიდექით. აუარებელი ხალხი — და მთელი ღამე საბარგო მანქანები გამოდიოდა ციხიდან, სავსე პატიმრებით. ერთმანეთს ვეუბნებოდით რისთვის ვდგევართ. მგონი, ყველა პატიმარი გამოჰყავთ. რიგში ისე ვიყავით ჩაჭედი-

ლები, რომ სანამ მეორე დღის საღამომდე ციხის სარკმელს არ მივაღწიეთ, ვერ გამოვდიოდით. ამანათებს არ ღებულობდნენ. გვითხრეს, რომ მხოლოდ 50 მანეთი უნდა გადაგვეცა. სარკმელთან რომ მივედი, ფული არ მიიღეს.

მივხვდი, რომ ალიოშა იმ მანქანებში ნავთლუღის სადგურზე წაიყვანეს. დასიებული ფეხებით, საშინელი დაღლილები, მშივრები გავვარდით ყველა ქალი ნავთლუღის სადგურში. იქ გვითხრეს, რომ ორი ეშალონი როსტოვის მიმართულებით წავიდა სულ რამოდენიმე საათია. სადგურში ეყარა აუარებელი ქაღალდი. ჩვენ ვეცით ამ ქაღალდებს. ვიფიქრეთ, პატიმრებმა იქნებ დატოვეს თავიანთი გვარები, მაგრამ ქაღალდებში არაფერი არ ეწერა.

გადავწყვიტე როსტოვში წასვლა. მეორე დღესვე მოვაგროვე ცოტა სურსათი, ალიოშას სარატოვიდან ჩამოტანილი „ტულუპი", მალიან თბილი, შიგნით ცხვრის ბეწვით, გარედან ტყავი — საკმაოდ მძიმე და დიდი. როსტოვში რომ ჩავედი, სადგურში ერთ მოხელეს ვკითხე, საქართველოდან ხომ არ ჩამოსულა ეშალონი პატიმრებით. მან საოცარი გაკვირვებით შემომხედა. მე რომ ავუხსენი რისთვის ვიყავი ჩასული, შევეცოდე და საიდუმლოდ მითხრა, აქედან, 12 კილომეტრის დაშორებით, ჩიხში, დონის პირას ორი ეშალონი დგასო. როგორღაც გავიარე ეს 12 კილომეტრი, საკმაოდ მძიმე ტვირთით. მივაღწიე, როგორც იქნა. სარკმლიდან იყურებოდნენ პატიმრები. მე ვეკითხებოდი ალიოშა მასხარაშვილი ხომ არ არის, ისინი გადასძახებდნენ ერთმანეთს. ასე დავიარე რამდენიმე ვაგონი. ალიოშასთან ერთად ვკითხულობ, ვუვირი: სიმონ, შოთა და ვალოდია დადიანებს. შემნიშნა ბადრაგმა. აღარ მომცა ნება გამეგრძელებინა. მიყვიროდა, რომ აქაურობას გავცლოდი. მეც შევშინდი, ვაითუ, მესროლოს და ალიოშამ დაინახოსმეთქი. სახლში კი ჩემი პატარა შვილები მელოდებოდნენ...

* * *

ბევრმა ადამიანმა დიდი მზრუნველობა და სითბო მაგრძნობინა ამ ჩემ გაუსაძლის მდგომარეობაში. აბა სხვანაირად როგორ მოვახერხებდი შვილების აღზრდას და დღემდე მოღწევას?

ბევრი თანამდებობის პირიც გამოდგა უშიშარი და დიდი დახმარება გაგვიწია. არ შემიძლია არ მოვიგონო კოტე ციმაკურიძე, მაშინდელი ფინანსთა მინისტრი, რომელიც ჩემი მულის, ანიჩკას მეუღლის ახლო ნათესავი იყო. კოტე ალიოშას მალიან მოსწონდა. კოტესაც მალიან უყვარდა ჩემი ალიოშა და ხშირი ურთიერთობა გვქონდა მასთან. 37 წელს, ალიოშას დაპატიმრების დროს, ხომესმა ჩეკისტმა გულისხმიერება გამოიჩინა. ჩხრეკის დროს მან ჩემს

და ალიოშას შემნახველი სალაროს წიგნაკს საქაღალდე გადააფარა, სხვებს რომ არ დაენახა და ასე გადაარჩინა ეს წიგნაკები. ალიოშას წიგნაკზე ფულს, რა თქმა უნდა, არავინ მომცემდა. კოტე მაშინ ფინანსთა მინისტრი იყო. გაიგო, რომ მე მქონდა ალიოშას წიგნაკი და იმ საშინელ დროს დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა. თათული დაიბარა სამინისტროში და ეს თანხა, რაც წიგნაკზე იყო, მთლიანად გადმოგვცა. ეს საოცრება იყო. ღმერთმა ხომ იცის, როგორ მიჭირდა იმ დროს და რა იყო ეს ფული ჩვენთვის.

* * *

ისევ ციხის კარებთან მოვიყარეთ თავი. ვერავინ, ვერაფერი გავიგეთ ჩვენი პატიმრების. დილიდან ვართ ატუზული. ჩვენთან იყო ერთი კაცი, ასათიანი, რომლის შვილები დაპატიმრებული იყვნენ. ამ ასათიანმა, დიდებული კაცი იყო, ნამდვილი ინტელიგენტი, გვირჩია: „ქალებო, ხომ ხედავთ, რომ ჩვენი საშველი არ არის, წადით მოსკოვში და მისწერეთ ბერიას დეპეშები, რომ ჩამოხვედით მოსკოვში. იქნებ იქ მაინც გაიგოთ, სად არიან ჩვენი პატიმრები!“... ჩვენც აღფრთოვანებით, თითქოს იმედი მოგვეცაო, ავიტაცეთ ეს აზრი და გადავწყვიტეთ წასვლა. საჯარო ბიბლიოთეკას მივყიდე 45 ტომი ინგლისური ენციკლოპედია — 2500 მანეთად. ეს კარგი ფული იყო. ამაშიც ბატონი სიმონ ჯანაშია დამეხმარა. ჩემთან ერთად წამოვიდა ნადია კეიგელუხიც (ჩემი უახლოესი და ერთგული მეგობარი). ნადიას ორი ძმა ჰყავდა დაჭერილი და საძებარი ჰყავდა. კიდევ ორი ქალი, ერთი ჭიათურელი იყო, გვარი არ მახსოვს, და ერთი კაცი წამოვიდა, სომეხი იყო, რომელიც იცნობდა სათვალეებიან მეგრელს. ბავშვები დავტოვე ანიჩკას და ვანოს იმედით, მეგობრების, ჩემი ერთგული ნინა ოცხელის, ბიმუს და მარიკოსი... ფული საკმაოდ დავუტოვე. ერთი ტომი ენციკლოპედიის ბატონ სიმონთან იყო და სანამ იმ ერთ ცალს არ მივუტანდი, მთლიანად ფულს არ მაძლევდა ლენა ქუჟუნაძე (მაშინ ლენა სალაროში მუშაობდა). მე ვერ ვასწრებდი. ბილეთები აღებული გვქონდა ნადიას და მე. წიგნი ბატონი სიმონიდან წამოვიღე, მაგრამ საჯაროში ვერ მოვასწარი და დავუტოვე მინდობილობა ლიზიკო მაჭავარიანს (ჯანო ბაგრატიონის სიდედრი). ლიზიკო ჩააბარებდა ერთ ცალ წიგნს იმ ენციკლოპედიიდან, რომელიც შეიძინა საჯარომ და მომცემდნენ დანარჩენ 500 მანეთს, რაც ლიზიკოს უნდა გამოეგზავნა ჩემთვის მოსკოვში, დეპეშით „მოკითხვამდე“. არ ვიცოდით იქ სად გავჩერდებოდით.

* * *

მოსკოვი. ნადია კეიგლუხმა, ჩემმა უერთგულესმა მეგობარმა წამიყვანა თავისი მეგობრების ოჯახში, მხატვარი ქურული (ცალი ხელი დაშავებული ჰქონდა). ნადიას ეშინოდა არ გაეგოთ რომ ქმარი დაჭერილი მყავდა. ვცდილობდი მხიარული და გაცინებული ვყოფილიყავი... რა მეცინებოდა, ჩემ მდგომარეობაში მყოფს. გიორგი და თათული დატოვებული მყავდა აუტანელ პირობებში.

დილით ადრე ავდექი და ნადიას ვეუბნები: ფოსტაში მივდივარ, იქნებ ლიზიკომ ფული გამომიგზავნა-თქო. მეც წამოვალ, იქნებ ჩვენს, ბერიას სახელზე გაგზავნილ დეპეშაზე, პასუხი იყოსო. მივედით ფანჯარასთან. მივედი, შევეკითხე. უცბად ორი კაცი მოადგა ფანჯარას, მკითხეს გვარი, მომთხოვეს პასპორტი და გადმომცეს ქაღალდი, სადაც ეწერა – Прием к нач. в.д. тов. Берия вам назначен... გავშეშდი. აქ, ფოსტაში, შევხვდით ჩვენთან ერთად წამოსულებს. ჩემს გარდა, კიდევ ორმა მიიღო მიღების თანხმობა. ერთი კაცი იყო სომეხი, მეორე ქართველი ქალი. ნადიას პასუხი არ მიუღია და მალიან შეწუხდა. ნადია ემებდა ორ მმას. წამოვედით შინ. მეორე დილით წავედით შინსახკომის კომენდატურაში. მივდივარ ქუჩაში, მოდის ორი მალიან სიმპატიური ქალი და კაცი, ნამდვილი ინტელიგენტები. მე მივმართე – „Скажите, пожалуйста, как я попаду на Лубянку?“ (ლუბიანკა ეს ის საწამებელი დაწესებულებაა „НКВД“) ამათ სევდიანად შემომხედეს და მერე გაღიმებულებმა მითხრეს – „Вы туда легко попадете“ და ისევ სევდიანად ამიხსნეს, საით უნდა წავსულიყავი. მივაღწიე ლუბიანკამდე, სადაც მომცეს საშვი და დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ვიღაც კაცმა ჩემი მოსკოვში ჩამოსვლის მიზეზი ჩაიწერა. რამდენიმე ხნის შემდეგ მიმიღო ბაღჩო ქობულოვმა. მან მითხრა: იყავით შინ, ჩვენ გამოგიძახებთო. ნადია და მე გასუსულები ვიყავით.

ერთ საღამოს მანქანით მოვიდა ვიღაც ახალგაზრდა კაცი. მიკითხა მე, წამობრძანდითო, მე წავყევი. მივედით ლუბიანკაზე. იქ საშვები მომცეს და ამიყვანეს ზემოთ. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ შემიშვეს ვიღაც კაცთან. მან გამომკითხა, თუ რისთვის ჩამოვედი მოსკოვში... მე ვუამბე: არ ვიცი სად არის ჩემი ქმარი, ბინიდან გამომაგდეს და ორი შვილით ვცხოვრობ 7 მეტრიან, უფანჯრო ოთახში. ეს არის კორიდორი ყოფილი სასტუმროსი და კიდევ, უფროსი მმაა გადასახლებაში. არ ვიცი სად წაიყვანეს, ვემებ მმასაც. ეს ყველაფერი რომ ჩაიწერა, ისევ გამაყოლეს კაცი და მანქანით მიმიყვანეს ბინაზე. მე და ნადია ერთად ვიწექით და ყურში ჩუმად ჩავჩურჩულებდი რაც გადამხდა. მეორედ რომ დამიბარეს, წავიყვანე ცინუკი დადიანი. ის მელოდებოდა

ქუჩაში. ისევ საშვები, ისევ ზემოთ ამიყვანეს და დამხვდა ბაღჩო ქობულოვი. თქვა,რომ თქვენ მიგიღებთო ბერია. თქვენი დეპეშა რომ მივიღეთ, მოგიკითხეთ დადიანებთან, რომლებიც მოსკოვში ცხოვრობენო და დამისახელა ლენა დადიანი და კიდევ რამდენიმე. მე ვუპასუხე ქობულოვს: არ მეგონა თუ ამდენი დადიანი კიდევ გადარჩა და ცოცხლები არიან-თქო. ბაღჩო ქობულოვმა შემომხედა, გამიცინა და კიდევ გამომკითხა ჩამოსვლის მიზანი. მითხრა, ამხ. ბერია უსათუოდ მიგიღებთო. დანიშნულ დროს წამყვა ცინუკი და წავედი. მეც საშვი მივიღე, ავედი. ცინუკი მელოდებოდა ქვემოთ. როცა ავედი დიდ ოთახში, შემხვდა ერთი ქალი, რომელმაც ქართულად მომმართა – „დაბრძანდით, დაიცადეთ". ეს იყო ბერიას მდივანი, ვარდო მაქსიმელაშვილი.

ვზივარ მარტო, დიდ ოთახში და ათასი ფიქრი მიტრიალებს, თავს ვიწყევლი: როგორ წამოვედი, რატომ დავტოვე ჩემი სახლი, შვილები, დაჭერას იქ გადავრჩი და ჩემი ფეხით როგორ მოვედი აქ.... წარმოვიდგინე, რომ მე აქ დამტოვებენ და არ გამიშვებენ. ვზივარ ცარიელ ოთახში, ირგვლივ წიგნების კარადები, უცბად გაიღო ერთი წიგნის კარადა და კარებიდან გამოვიდა კაცი, ქაღალდებით ხელში, ეს იყო პეტრე შარია, ბერიას მარჯვენა ხელი. ასეთმა შენიღბვამ ცოტათი შემაშინა. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, ისევ ის ქართველი ქალი გამოჩნდა და მეუბნება: „მობრძანდით". გავიარე ორი ოთახი და შევედი ოთახში. მაგიდას უჯდა სათვალეებიანი გველი. იჯდა ორი რუსი, რომბიანები, ბერიასაც რომბი ჰქონდა, არ მახსოვს, რამდენი. იქ კიდევ იჯდა ჩემი ნაცნობი ბახჩო ქობულოვი. ბერიას უკან იდგა ვინმე ნადარაია. ის ვიცანი, თბილისში, ჩ.კ-ში, სადილი რომ დამქონდა, მაგას ვაბარებდი კომენდატურაში. ბერია შემეკითხა: „Зачем вы приехали?" მე ვუთხარი: ვეძებ ქმარს დაპატიმრების შემდეგ. არ ვიცი სად არის. დაპატიმრებულია აგრეთვე ჩემი ძმა ბონდო დადიანი და ავუხსენი ჩემი ბინის მდგომარეობა. ალიოშაზე ცივად მითხრა „Ваш муж английский шпион – мы ничем не можем помочь." – მე მკაცრად ვუპასუხე: „Английским шпионом его сделали Штепа Каулин и Корвин." (ესენი იყვნენ ალიოშას გამომძიებლები, ლატვიელები, კაციჭამიები და ყველაზე საშიში, საბედისწერო განყოფილება თბილისში КРО – კონტრრევოლუცია). მე პატარა მედალიონი მქონდა მკერდზე, ნიშანი – შ. რუსთაველის თავი. ბერია დააცქერდა. ხომ არ ეგონა კაციჭამიებს დავიკრავდი გულზე. „Кто он?" – მკითხა. მე ვუპასუხე – „შოთა რუსთაველი". ამან გამახსენა, რომ ჩანთაში მქონდა გიორგი და თათულის სურათი, ამოვიღე და ვაჩვენე. ბერიამ – „Хорошие ребята". მე ამაზედაც ვუპასუხე: „Этим хорошим ребятам нужно воспитание для общества и для государства, а у них нет условий, нет комнаты, меня выселили

из двух комнат, всего 22 кв метра и дали в театральном переулке 7-метровую клетушку без окна. Это не комната, это коридор бывшей гостиницы.“ ბერია მიუბრუნდა ბახჩო ქობულოვს. უთხრა, დაუკავშირდი რაფავას და მისი ბინა დაუბრუნონო. მე ვუთხარი, ჩემი ბინის საქმე კასაციით გადმოგზავნილია მოსკოვში, უზენაესში-თქო. „Ну здесь мы поможем“ – თქვა ბერიამ. მერე ისევ მე მომიბრუნდა და მეკითხება: „კოკი – მამათქვენი, რას აკეთებს იქ?“. მე ვუპასუხე: „მე საიდან მეცოდინება...“. „როგორ, თქვენი ძმებიდან რომელიმე რომ შემოიპაროს ჩვენ ქვეყანაში, ხომ თქვენთან მოვლენ, თქვენ რას იზამთ?“. მე ვუპასუხე: „სანამ ჩემამდე მოვლენ, ალბათ თქვენ უფრო ადრე გაიგებთ, განა ჩვენი საზღვრები ამისათვის არ არის კარგად დაცული?“. ბერიამ შეხედა ქობულოვს. ისევ მე მომმართა: „Вы, должно быть, нуждаетесь?“ მე ვუპასუხე – „ Это не важно, мне важно и нужно знать, где мой муж и брат“. ამაზე ისევ იმ რუსებს მიმართა: „ Вот такая молодая и каждый год у нее сидит в тюрме или муж, или один брат, или другой,“ ისევ გაიმეორა: „Вам деньги должно быть нужны, мы вам поможем.“ ამაზე მე უცბად ავდექი და ვუპასუხე: „Я от моих родных братьев не принимаю денег.“ ავდექი და წასვლა დავაპირე, „вы пожалуйста, бросьте ваши კნიაჟესკი гордости“ (საშინელი მეგრული აქცენტით), სად მიდიხარ, кто вас пустить“. უცბად დამარტყა თავში, რომ დამიჭერენ, ალბათ დამტოვებენ. მან კიდევ მიმართა იმათ და თქვა: „такой может быть только мингрелка“. მე ორიოდე ნაბიჯი გადავდგი და უცბად მაგიდას მივადე ხელი და შევჩერდი, სუნთქვა შემეკრა, ცრემლები უცბად მომწყდა, რაც არ მინდოდა... არ მინდოდა ჩემი ცრემლები ენახათ. ბერიამ უთხრა ქობულოვს – „გააცილე“. როგორც კი გამოვედი, იმ წუთასვე დავეშვი სავარძელში. ქობულოვი იქვე ჩამოჯდა და დამიწყო ნუგეში, ხომ გაიგონეთო როგორ გაქოთ ამხანაგმა ბერიამ. მე ვუპასუხე: „მე აქ ატესტატის მისაღებად კი არ ჩამოვსულვარ, ჩამოვედი, რადგან ვეძებ ქმარს და ძმას. – „ამაზე თქვენ ხომ მიიღეთ პასუხი ამხ. ბერიასი და ძმაზე მე დამავალა გადმოვიყვანო მოსკოვში და გავანთავისუფლო.“ ცრემლები მახრჩობდა, სული მეხუთებოდა, წამოვედი მკვდარი, სად იყო ამდენი ცრემლი... ცრემლი წყალივით მოდიოდა, გაუთავებელი... მივედი ასეთ დღეში ჩემს ნადიასთან. ნადია მეფერებოდა, მამშვიდებდა. ჩემთან ერთად ისიც ტიროდა.



**ბაბო დადიანის ძმა დემნა (დიმა) დადიანი**

* * *

მეორე დღეს წამოვედი თბილისში. სადგურზე დამხვდა ჩემი ძმა, დემნა (დიმა) და ვალოდია ალიბეგოვი, კიდევ ერთი-ორი ახლობელი. გამიკვირდა, ვალოდია ძალიან ახლობელი იყო ჩვენი ოჯახის, მაგრამ მაინც გამიკვირდა... ჩემი შვილები დამხვდნენ ჯანმრთელად. ორი-სამი დღის შემდეგ მოვიდნენ ჩემი ახლობლები, მათ შორის ფუხული დადიანი, რომელმაც მითხრა: „ცუდი ამბის სათქმელად მოვედიო“ კოკი ბაბას გარდაცვალება მითხრა, თავზარი დამეცა. ბაბა 60 წლისა იყო. ვიმედოვნებდი კიდევ მენახა. ძალიან მძიმედ განვიცადე. მთელი ნათესაობა, არავინ დარჩენილა, ყველა მოვიდა თანაგრძნობით, სინანულით. ვინც კი მას იცნობდა, ყველას უყვარდა. ყველას მოსწონდა, როგორც მისი დიდებული თვისებებით, ისე გარეგნული სილამაზით, მშვენიერებით. მეზობლები თეატრალურ შესასვლელში გაოცებული იყვნენ: „ამდენი ნათესავი და ნაცნობი რა ამბავია, მთელი თბილისი მოდისო“ სერგია ერისთავი და ბუკულა მიქელაძე ორმოცი დღე შავებში იყვნენ და წვერი არ გაუპარსავთ. ასე იგლოვეს კოკი ბაბა. უყვარდათ, როგორც ნათესავი და მეგობარი.

ამ განსაცდელში რომ ვარ, გიორგი და თათული დაითხოვეს სკოლიდან. ეს იყო საუკეთესო, საჩვენებელი სკოლა №14. მასწავლებლები ბრწყინვალე: ნინო ბოცვაძე, შალვა დოლაქიძე, თამარ გელოვანი-გეგეჭკორისა, კლ. დამრიგებელი. მოწაფეებიც იყვნენ რჩეული ოჯახებიდან და სწორედ ასეთ რჩეულ საზოგადოებას მოუღეს ბოლო. არ იყო ოჯახი, არ გაენადგურებინათ. დაიჭერდნენ მშობლებს, დედ-მამას. შვილებს წაიყვანდნენ თავშესაფარში, ბინას და ავეჯს კი თვითონ დაისაკუთრებდნენ. ასეთი ოჯახებიდან იყვნენ ბავშვები სწორედ №14 სკოლაში (მახარაძის ქ.) გიორგის თანაკლასელი სიკინჭილაშვილები რემი და ლევი, კიდევ ბევრი და ამიტომ მოიფიქრა მთავრობამ ერთ სკოლაში არ ყო-

ფილიყვნენ და გარიცხეს რეპრესირებული ოჯახის შვილები. გიორგი გადაიყვანეს თათრების მოედანზე სკოლაში, თათულიც სხვა სკოლაში.

ერთ დღეს მოვიდა ჩემთან გიორგის სკოლის მასწავლებელი და მეუბნება: „მე კოლია რევაზიშვილის და ვარ (კოლია რევაზიშვილი ახლო ნაცნობი და მეგობარი იყო ჩვენი). თქვენმა შვილმა დღეს დაფაზე დაწერა – „Долой русский язык“ შეიძლება დაიჭირონ. ეხლავე მიდით სკოლაში დირექტორთანო. ოღონდ არ დამღუპოთ, არ გამამხილოთ მე რომ თქვენთან ვიყავიო და თანაც ტირილი დაიწყო: თქვენ კიდევ ეს გინდათ, რა დღეში ხართ, აქ როგორ შეიძლება ცხოვრებაო, აქ როგორ ეტევითო. ბავშვები აქ წვანან, მე კი აივანზე-მეთქი. გაოგნებული წავიდა. მე თავზარდაცემული გავიქეცი სკოლაში დირექტორთან, დიდი ვედრებით, ცრემლებით, ეს მასწავლებელიც შემოვიდა. არ ვიცი რამ გადამირჩინა გიორგი. მიჩქმალეს ეს ამბავი.

* * *

ერთ დღეს თათული მოვიდა ატირებული. გეოგრაფიის მასწავლებელი ყავდა, კლიმენტი ნოდია (ქიქოძეების სიძე თითქოს ინტელიგენტი იყო და რა ჩაიდინა). თათულის დააბრალა, ვოროშილოვის სურათზე რაღაც თქვაო. გავიქეცი ქიქოძეებთან და იმათმა იმოქმედეს ნოდიაზე. თათული გადამირჩა, თორემ ვინ იცის, რა მომელოდა. გავიდა სამი ზამთარი, მე კიდევ აივანზე ვწევარ... მათოვს. მეზობლები ისევ მეკითხებიან, როგორ ძლებო. ჩემ გვერდით ცხოვრობდა სვანიძის ოჯახი. თამარი მუშაობდა შინსახკომში (კგბ) მემანქანედ. მიდიოდა შინ გვიან (დახვრეტების სიებს ბეჭდავდა. ალბათ საიდუმლო განყოფილებაში მუშაობდა). უნდა გაევლო აივანი, ჩემი საწოლი. ვთხოვდი: „თამარ, ვერ გავთბი, დამიმატე რამე“. გამოიტანდა და ბალიშს მადებდა. კარგი დამოკიდებულება გვქონდა( მიუხედავად მისი სამუშაოსი). ვუყვარდი, ვეცოდებოდი. დედა ყავდა კეთილი, კარგი ქალი სურამიდან.

* * *

ახლობლების რჩევით და მეც ვხედავდი, რომ სხვა გამოსავალი არ იყო, უნდა წავსულიყავი ისევ მოსკოვში, მიმეკითხა ბინის საქმეზე. წავედი მოსკოვში მავუბში, მგლოვიარე, გრძელი შარფი მქონდა ქუდიდან უკან ბოლომდე ჩაშვებული. ეს შავი სამგლოვიარო ქუდი მქონდა კოკი ბაბაზე. ერთი წელი ასე დავდიოდი. ერთი მისვლით ვერ მივაღწიე ქობულოვამდე, დამჭირდა

რამდენჯერმე მისვლა. ვცხოვრობდი არბატზე, ნინა წერეთელთან (მერი დედას ნათესავი). რამდენიმე დღის შემდეგ მოვხვდი ქობულოვთან. ჩემს ძმაზე, ბონდოზე მითხრა, მალე გავანთავისუფლებთო, უკვე აქ გადმოვიყვანეთ ლუბიანკაზეო... ჩემს უბედურებაზე, ჩემ ალიოშაზე არაფერი... შეხედა ჩემ სამგლოვიარო მორთულობას და მითხრა: „ჩვენ წავიკითხეთ ნეკროლოგი მამათქვენზე.“ ეს ნეკროლოგი დაიბეჭდა პარიზის ემიგრაციის, ქართველების გაზეთში.

ჩემი ბინის საკითხი ისევ გაურკვეველია და როდემდე გაგრძელდება არ ვიცი. სამი წელიწადია აივანზე ვწევარ თოვლიან ზამთარში. 7 მეტრიანი ფართობია ჩვენი საცხოვრებელი. მხოლოდ ბავშვების საწოლები და ერთი მაგიდა, ბავშვების სამეცადინო, ეტევა... როდემდე... მიპასუხა — „უსათუოდ დაგეხმარებით“. მივაკითხე ბინის საქმეს, ცოტა იმედი მომეცა, მაგრამ როდის, ამას ვინ გეტყვის. წამოვედი გულდაწყვეტილი, დაღლილი, ჩემ შვილებთან. ვარ უმუშევარი. არსად არ მღებულობენ სამსახურში. საოცრად უმწეო მდგომარეობაში. ისევ ბედნიერება და სითბო ვიგრძენი, რადგანაც ერთ დღეს მოვიდნენ ჩემთან ბატონი სიმონ ჯანაშია და მართა (მეუღლე). შეწუხდნენ ჩემს პირობებზე. იმ დღეებშივე ბატონმა სიმონმა მომაწყო საქართველოს მუზეუმში, ბიბლიოთეკაში. უსაზღვროდ კმაყოფილი გარემოცვით — წიგნები, წიგნები, წიგნები... საუცხოო ადამიანი, საყვარელი და ბრძენი, მაგიტო ნაკაშიძე, ნინო ნაკაშიძის და, საუკეთესო პიროვნება თამარ ღოღობერიძე-ანდრონიკაშვილისა(ზურაბ წერეთლის სიდედრი, ინესას დედა), გენო თუშიშვილი, ირინა დილევსკაია, ლალი ტოროშელიძე... ბიბლიოთეკაში დირექტორი შალვა ჩხეტია, მუზეუმში კი საუკეთესო წრე, ჩუბინაშვილის სექტორი, სულ 9 კაცი, დირექტორი — თვით გ. ჩუბინაშვილი. ხელნაწერებში მუშაობდნენ: ჩიტო შარაშენიძე, ილია აბულაძე და სხვა. ბოტანიკის განყოფილებაში: ლიზა ქიქოძე და სხვ. გეოლოგები, ზოოლოგები. ასე ყველანი რჩეულები. ბინის საქმეზე კიდევ საჭირო იყო მოსკოვში წასვლა. მე არაფრით არ შემეძლო და ვთხოვე ლიზიკო მაჭავარიანს (ქეთუნიას დედა, ჯანო ბაგრატიონის სიდედრი). ლიზიკო დაუყოვნებლივ გაემგზავრა მოსკოვში. იქ მას დახვდა ჩემი მეგობარი და მუდამ მზრუნველი ჩემი ბინის საქმეზე, გიორგი ილარიონის-ძე ლორთქიფანიძე (ანიკოს ძმა), რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა. ყველგან დაყვებოდა დაუზარებლივ. ლიზიკომ ბევრი იარა ჩემი ბინის საქმეზე. დაპირდნენ დაჩქარებას. გავიდა დრო და მოვიდა უზენაესი გადაწყვეტილება. ბინა დამიბრუნდა მერჟინსკის ქ. №1-ში, რომელიც წამართვა მათემატიკოსმა ზერაგიამ. მას დაევალა ჩემი ბინის დაცლა და გადასვლა თავის ოთახში, თეატრალურ შესახვევში №4. სასამართლოში მუშაობდა გელა გარდაფხაძე (ნესტორის შვილი. ნესტორი დახვრიტეს 1924 წელს,

მუშნი და ოთარ დადიანებთან ერთად). გელა გარდაფხაძემ გამოგზავნა კაცი, აღმასრულებელი ქაღალდით და სასწრაფოდ გამოიყვანეს ზერაგია, მაგრამ აქაც იჩინა თავი მისმა ბოროტებამ და კედლები ნაჯახით დაჩეხა, იატაკიდან აძრო ლინოლეუმი და ნაკუწ-ნაკუწად დაჭრა — აი ასეთი იყო უნივერსიტეტის წითელი პროფესორი. ეს იყო 1940 წლის 2 მარტი.

* * *

შევეცადე ბინა მომეწყო ლამაზად, შნოიანად, შემექმნა სიმყუდროვე ჩემთვის და ჩემი შვილებისთვის. 1941 წელს, როდესაც დაარსდა მეცნიერებათა აკადემია, ბატონმა სიმონ ჯანაშიამ ისევ დიდი მზრუნველობა გამოიჩინა ჩემს მიმართ და მუზეუმიდან გადამიყვანა აკადემიაში. ვმუშაობდი პრეზიდიუმში საქმის მწარმოებლად. ეს დიდი ბედნიერება იყო. აკადემია ჩემი სახლის პირდაპირ იყო. საინტერესო სამუშაო, საინტერესო პიროვნებებთან ურთიერთობა. ვიყავი მშვიდად, მაგრამ დიდი ხანი არ გასულა ჩვენ მყუდრო, ბედნიერ ცხოვრებაში (თუ შეიძლება ითქვას „ბედნიერი“ ალიოშას გარეშე).

თავს დაგვატყდა ომი, 1941 წ. 22 ივნისი. გიორგი, როგორც წვევანდელი, გაიწვიეს ჯარში, მაგრამ როგორც „მავნებლის შვილი“, წაიყვანეს ბაქოში, მუშათა ბატალიონში, შავ სამუშაოებზე. მასთან იყვნენ მისი თანაკლასელები, ასევე რეპრესირებულების, ხალხის მტრების შვილები. აუტანელი შრომა. აშენებდნენ სასწრაფოდ აეროპორტს. დღეში 18 საათი მუშაობდნენ თითქმის მშივრები. აეროდრომის მშენებლობა რომ დაამთავრეს, მათი სამხედრო ნაწილი ბაქოდან თბილისის გავლით მიუავდათ ომში, მოწინავე ხაზზე, როგორც დამსჯელი რაზმი. თბილისში გიორგიმ მოახერხა მოერბინა სახლში და შეეტყობინებინა, რომ იყო მძიმედ ავად, სიცხე თითქმის 40. გიორგი მძიმედ ავადაა, მწვავე დიზინტერიით. მივვარდი ნავთლუღის სადგურში, სადაც იდგა გიორგის სამხედრო ნაწილი. შევევედრე, გაეტარებინათ გიორგი საექიმო კომისიაში და აქ ჰოსპიტალში დაეტოვებინათ, რაც თითქმის შეუძლებელი იყო. იქ საექიმო კომისიაში იყო მისი სკოლელი ლევან თევდორაძე, რომელმაც დიდი დახმარება გაგვიწია და საოცრად სიმპათიურმა ჭაღარათმიანმა ექიმმა, რომელიც კომისიის თავმჯდომარე იყო, დიდი ადამიანობა გამოიჩინა... ერთხელ, სიონში, ვხედავ ჭაღარა კაცი დგას ხატებთან და ლოცულობს. მეცნაურა. შევეკითხე, თქვენ ამა და ამ დროს ხომ არ იყავით-მეთქი სამხედრო ექიმი. გამოდგა ის კაცი, ვინც გადამირჩინა გიორგი სიკვდილს. გიორგი დატოვეს თბილისის ჰოსპიტალში, სადაც ექიმად იყო პროფ. ანდრიაძე — ნიტა ტაბიძის მამამთილი, ღვთიური ადამიანი, რომელსაც სახლიდან მოქონდა

ხოლმე საჭმელი მძიმე ავადმყოფებისთვის, მათ შორის გიორგისთვის დიეტური საჭმელი. ომის დროს, ასეთი შიმშილობისას, ეს დიდი ბედნიერება იყო. მეც რაღაცას ვასერხებდი, მეხმარებოდნენ ჩემი ახლობლები და გიორგი გადამირჩა. შემდეგ ისევ ღვთიური ადამიანების დახმარებით არ გაუშვეს ფრონტზე და დაიწყო მუშაობა ჰოსპიტალში. ძალიან მძიმე დრო იყო. სურსათი და ყველაფერი აუცილებელი საარსებო, არ იშოვებოდა. გიორგის რაღაც ულუფა ეძლეოდა, ჩვენც გვინაწილებდა. ერთხელ დათიკო ჯაფარიძემ (ყელ-ყურის ექიმი იყო, ჩვენი ახლობელი), დამითმო თავისი მომარაგების წიგნაკი ე.წ. С.П. (სპეციალური პაიოკი) ერთი თავი სუპი, ან რაიმე ბურღულის ფაფა. ამ ულუფის მისაღებად საკმაოდ დიდ რიგში მიწევდა დგომა. ერთხელ ჯაჯუ ჯორჯიკიამ (მწერალმა, დიდებულმა პიროვნებამ, სპორტსმენ ნოდარ ჯორჯიკიას მამამ) დამინახა რიგში მდგომი და თავისი იუმორით ხმამაღლა მითხრა: არ იშლი დადიანობას, უწინაც სხვა გიმზადებდა და ახლაც სხვა გიმზადებს სადილებსო.

* * *

ბანძიდან ჩემი მიმიშვილები მითვლიდნენ, მთხოვდნენ ჩავსულიყავი და ცოტა სული მომეთქვა. მე, თათულიმ და გიორგიმ გადავწყვიტეთ წასვლა. წავიღე ტანსაცმელი, საცვლები ლობიოსა და ჭადის ფქვილზე გადასაცვლელად. ჩვენი ჩასვლა გაეხარდათ. ჩემი მიძა უკვე ცოცხალი აღარ იყო.

ჩავედით თათულის გამზრდელთან ოჯახში, ჩემ მიმიშვილთან, გრიშა და ბუცასთან (ბუცა აწოვებდა თათულის ძუძუს). ოთხი შვილი ჰყავდათ და თათულის ფიცულობდა. რაღაც საოცარი სიყვარული და მზრუნველობა ვიგრძენით. თათულიც ბუცას ნანას ეძახდა, რაც მეგრულად დედას ნიშნავს. პირდაპირ სახლში ცხოვრობდა ჩემი მეორე მიმიშვილი გიორგი (გიორგი და გრიშა ფრონტზე იყვნენ). გიორგის ექვსი შვილი ჰყავდა. პატარა, მისი 5 წლის შვილი დაიჭერდა თავის საყვარელ ქათამს, რომელსაც ფიყვიას ეძახდა. მოვიდოდა ჩვენთან, თვალს არ გვაცილებდა, ისე ჩამეხუტებოდა და მომეალერსებოდა. არ გვცილდებოდა. ეს 5 წლის გოგო უსმენდა ჩვენს საუბარს მთელი დღე. ჩვენ მას „ფიყვია" შევარქვით. რაღაც საოცარ სითბოს ვგრძნობდით მისგან. ჩვენი წამოსვლის წინა დღეებში მთელი ღამე არ მეძინა. მტკიცედ გადავწყვიტე, ეს ბავშვი წამომეყვანა და გამეზარდა. თათულის და გიორგის გავუზიარე ჩემი სურვილი და გადაწყვეტილება. ორივე ჩემი შვილი აღტაცებით დამეთანხმა, რადგან მათაც საოცარი სითბო და სიყვარული იგრძნეს ჩემი პატარა ლიდიკოსადმი, რომელსაც დიდხანს „ფიყვიას" ვეძახდით.

გადავწყვიტეთ და წამოვიყვანეთ. ჩემი მოქსოვილი ჟაკეტიდან მივაკერეთ-მოვაკერეთ, ამით შევმოსეთ. აბაშაში ბილეთი გაგვიჭირდა, გიორგიმ ერთი ბილეთი იშოვა საერთაშორისო ვაგონში, თავისთვის კი საერთო, სხვა გზა არ იყო. რომ შევედით კუპეში, ფიყვიას გაოცებას საზღვარი არ ქონდა. უყურებს სარკეებს, თვალს არ აშორებს წყალს. როგორ, ოთახში მოდის წყალი? ბავშვს ქონდა რახიტი და თან კოჭლობდა, ბავშვობისას დას გავარდნია ხელიდან და ბარძაყი ქონდა ამოვარდნილი. მივიყვანე ცნობილ სპეციალისტთან მიხეილ ცხაკაიასთან. გასინჯა. დამინიშნა დღე, როდესაც უდანოდ ჩაუსვამდა ბარძაყს. ყველაფერი მოვამზადე და დანიშნულ დღეს ჩვენმა პრეზიდენტმა, ნიკო მუსხელიშვილმა მომცა მანქანა და მისმა მძღოლმა, ვაგან ხაჩკოვანიანმა გაგვაქანა საავადმყოფოში. ფიყვიას გაუკეთეს ანასტეზია და მ. ცხაკაიამ ჩაუსვა ამოვარდნილი ბარძაყი. კარგა ხანს გასტანა ამ პროცედურამ და რომ გამოვიდა პროფესორი ცხაკაია საოპერაციოდან, სანამ გაიხდიდა თეთრ ხალათს, საოცრად მკაცრად თქვა: „Сделайте снимок". რომ მიუტანეს სურათი, ხელი ხელს შემოკრა და სიხარულით თქვა: – „Превосходно". შემიყვანეს ოთახში, სადაც თაბაშირში კიდევ მძინარე იყო ჩემი პატარა ფიყვია. რომ გამოიღვიძა, დამიწყო ძახილი – მამი, მამიდა!

„მამის" მეძახდა შემოკლებით, ბოდავდა, რატომ ვარო ამდენხანს აბანოში, ამომიყვანე, გამაშრე. დაუძახა გიორგის. გიორგი მიუახლოვდა, მოეფერა. ბავშვმა წაავლო თმაში ხელი გიორგის და ეხვეწება: „გიორგი, სოველი ვარ, გამაშრე"... რა თქმა უნდა, თვალი არ მომისუჭავს. მთელი ღამე მას ვეფერებოდი. ორ დღეში წამოვიყვანეთ შინ. თაბაშირს ეწერა 3 თვე. ვუვლიდით თავდავიწყებამდე გიორგი, თათული და მე. თაბაშირი რომ შრებოდა, ძალიან აწუხებდა, მაგრამ ოდეკოლონით სველ ბამბას ვასვევდი სახსავზე და ნელ-ნელა ზემოდან ვუსვამდი და ეს ამშვიდებდა. დრო გავიდა. მივუყვანე ისევ პროფესორ ცხაკაიას, გაჭრა თაბაშირი, გამოიტანა და აჩვენა ყველა მომსახურე პერსონალს: „ნახეთ, როგორი მოვლილი მოიყვანაო". მე შემაქო და მადლობა მითხრა. ხელმეორედ დაადო თაბაშირი, მაგრამ უფრო შემცირებული და უფრო ადვილად გადაიტანა. ეს კი 2 თვის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ კიდევ მივუყვანეთ მ. ცხაკაიას და მესამედ დაადო კიდევ თაბაშირი, არ მახსოვს, რამდენი ხნით. დიდი ფანჯარა მქონდა მერჯანსკის ქუჩაზე, იმაზე დავუგე ლები. ასე მთელი დღე მეავდა ჰაერზე. არაფერს ვაკლებდით მე და ჩემი შვილები... მოვნათლეთ კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის კაბინეტში, თვითონ უწმინდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ მონათლა. ნათლიები ვიყავით მე და თინა გოცირიძეც. კალისტრატეს ძალიან უყვარდა ფიყვია და ანებივრებდა კიდეც. ანებივრებდნენ

და აუარებელი სათამაშოები მოჰქონდათ აკადემიის თანამშრომლებს, თათულის და გიორგის მეგობრებს. ომის პერიოდი იყო, მაგრამ ჩვენ ფიუვიას არაფერს ვაკლებდით.

ომიანობის დროს (ომი დაიწყო 22 ივნისს 1941 წ.) ჩვენ, აკადემიის პრეზიდიუმის თანამშრომლებს, მოგვცეს ყარაიაზში ნაკვეთი. შაბათს მივდიოდით ჩვენი თოხებით, დიდი ავტობუსით, სიმინდის სათოხნელად. ღამეს ვათევდით ჩვენი საცდელი სადგურის შენობაში, დიდი აივანი იყო. ყველანი იატაკზე ვიწექით, ჩვენი თოხების გვერდით. ადრე დილიდან მივდიოდით ნაკვეთში და საღამომდე ვთოხნიდით. არ იყო ჩემთვის ეს ადვილი სამუშაო. ასე მთელი ზაფხული, რამდენჯერმე წავედით ჩვენი სიმინდის სათოხნელად. ჩვენთან ერთად მოდიოდა აკად. გ. ახვლედიანი და ბევრი მეცნიერი მუშაკი. ახალგაზრდებმა ასეთი რამ გამოთქვეს: „აქ პალსტუხიანი სიმინდები ამოვაო“. მოსავლის ასაღებად წავედით, მოვტეხე ჩემი ნაკვეთიდან და მომივიდა 8 ფუთი სიმინდი. რომ მოვიტანე ჩემ ბინაზე, მერჯინსკის ქ. №1-ში, დავაწყვე ბავშვების ოთახში. მალიან დიდი ადგილი დაიკავა. მოვიდა ვანკა, ჩემი ანიჩკას ქმარი, თინიკას მამა და ისე შევეცოდე, თვალები ცრემლებით აევსო.

* * *

ომის წლებში, მახსოვს, მალიან მძიმე პირობებში იმყოფებოდა პატრიარქი კალისტრატე ცინცამე.

გადავწყვიტე რაღაც მეღონა.

ვმუშაობდი მეცნიერებათა აკადემიაში. ერთ დღეს შევედი აკადემიკოს ნიკო კეცხოველთან და ვთხოვე, როგორმე ყურადღება მიექციათ კათალიკოს-პატრიარქისათვის. მან გამოთქვა სურვილი ენახულებინა ჩვენი უწმინდესი მომღვარი, კათალიკოსი კალისტრატე.

შევუთანხმე კათალიკოსს, მივიღე მისი ნებართვა და აკადემიკოს კეცხოველთან ერთად ვეახლე. სასიამოვნო ბაასში გაიარა დრომ... ნიკო კეცხოველმა დაურეკა მის მმას შაქროს, რომელიც მუშაობდა მინისტრთა საბჭოში. ამ გზით და მონდომებით, კათალიკოს კალისტრატეს გაუკეთდა ე.წ. მომარაგების წიგნაკი.

ამ წიგნაკით ღებულობდა სურსათს ყოველდღიურად.

ვიყავი მალიან ბედნიერი იმით, რომ შევძელი და დახმარება გავუწიე ჩვენს სათაყვანებელ კათალიკოს-პატრიარქს.

## მარტვილი

### 1946 წელი. აგვისტო 19, (ძვ. სტ. 6 აგვისტო), ფერისცვალება

1946 წელს, 19 აგვისტოს, ორშაბათს, ფერისცვალობას (ძვ. სტ. 6 აგვისტო) ვიყავი მარტვილის მონასტერში. ჟუჟუ სართანიამ, ჩემი თათულის მიშიშვილმა, გამაყოლა „ჯანვანის“ დამლაგებელი — ელისაბედი. ეს ქალი ყოფილა დიდი დედასთან გაზრდილი და ნამსახურიც, ბაბუს მონათლული. მე რომ მნახა, ბევრი იტირა. მოიგონა, როგორ ვუტარებივარ ხელით პატარაობისას. ბევრი ამბავი მიამბო შორეული წარსულის. ჩემთვის ფრიად ღირსშესანიშნავი იყო ყველაფერი მავისგან მოსმენილი, რამდენადაც გასახარი, იმდენადვე გულსაკლავი ჩემი მშობლების ასეთი ბოლოს გამო.

ელისაბედი იყო ჩემი „გიდი“. შევუდექით აღმართს. გზა, ბუნება, ყველაფერი მომხიბლავი. ელისაბედის დინჯ მუსაიფში, მისი საშინელი განცდების — ელისაბედის შვილების სიკვდილის გამო (რომელთა სახლებს ჩვენ გაუარეთ), დრომ სრულიად უმნიშვნელოდ გაიარა. მიუხედავად საშინელი ქარისა, უცბად ავედით და მივადექით მონასტრის გალავანს. მივედი კარებთან, მუხლები მოვიყარე და ფერისცვალების დღეს მხურვალე ლოცვით მივმართე ღვთისმშობელს.

ელისაბედმა მოიტანა ტაძრის გასაღები, სადაც შევედი მოწიწებით და მოკრძალებით, იქ სადაც განისვენებენ ჩემი წინაპრები... ჩემს განცვიფრებას არ ჰქონდა საზღვარი: უზარმაზარი ტაძარი, სანამ გასაღებს მომიტანდნენ, ვათვალიერე გარედან. რა შესანიშნავი და უზარმაზარია ეს ტაძარი. ხელოვნება, ოსტატობა, ყველაფერი უმაღლეს დონეს მიღწეულია. არ მინდოდა დამეტოვებია არც ერთი ქვა, არც ერთი ხაზი, არც ერთი ჩუქურთმა და არ გამომრჩენოდა თვალმოუვლელი. შიგ რომ შევედი, რაღაც გამოუცნობმა გრძნობამ ამიტანა: თან მახლდა ელისაბედიც, რომლის მოყოლილმა ამბებმა საგრძნობი გავლენა მოახდინა ჩემზე და გადამიტანა საუკუნეებით უკან. ვიდექი ჩემი წინაპრების საგვარეულო სასაფლაოების წინაშე. მუხლმოყრილი ვემთხვეოდით დავით ლევანის-ძე დადიანის სასაფლაოს, რომელიც ყველაზე საყურადღებო ადგილზე არის მოთავსებული და თან შესანიშნავად დაცული წარწერა:

მინგრელიის მთავარი დავით ლევანის-ძე დადიანი
დაიბადა 26 იანვარს 1813 წ.
გარდაიცვალა 30 აგვისტოს 1853 წ.

შემდეგი საფლავის ქვის წარწერა:

ანტონ დადიანი

გარდაიცვალა 1852 წ.

ხოლო ფიქალი ესე დავადე მე, მთავარმა მინგრელიისა, დავით დადიანმა

შემდეგ:

დავით დადიანის ძე — ანდრია.

ფიქალი ესე დავდე დამან მისმან სალომე, პრინცესა მიურატმა

1850-1910 წ.

*Андрей Давидович Дадиани - Мингрельский.*

მთავრის, ლევან დადიანის ძე, გრიგოლ

გენერალ-ადიუტანტი

1814-1901

მაღალ უფლის უსამღვდელოებისა,

სრულიად სამეგრელოს სამთავროს მწყემსმთავრის

ბესარიონ ჭყონდიდელ მთავრის

დადიანის კაციას ძის

ეკატერინე ალექსანდრეს ასული დადიანი

ნიკოლოზ დავითის-ძე მინგრელსკი.

დაიბადა 4 იანვარს 1847 წ.

გარდაიცვალა 24 იანვარს 1903წ.

(ცალკე პატარა სალოცავში)

თ-დი ელიზბარ გიორგის-ძე დადიანი

ფიქალი ესე დავადევ მეუღლემ მისმან, კნეინა

სოფიო წულუკიძის ასულმა.

(წელი არ არის მითითებული)

(ისევ პატარა სალოცავში)

ღენერალ მაიორის და კავალერსტ ნიკოლოზ გიორგის-ძის თ-დ დადიანოვის

ქვა ესე დასდვენ ძეთა მისთა გიორგიმან, ბესარიონ,

პეტრე და პავლემან დადიანებმა

(წელი არ არის მითითებული)

შიგ ტამარში შესანიშნავად არის შენახული მხოლოდ ლევან დადიანის საფლავი. ფრესკები მალზე დაზიანებულია. საზოგადოდ, მალიან დაზიანებულია სახურავი... ფანჯრები ჩამტვრეული, წვიმით ჩამორეცხილი...

* * *

მარტვილში ვინახულე ვანო გიორგის-მე კვეკვეცია, გიორგი შარვაშიძის მსახური (ლაქია) რომელიც ბაბუასთან 12 წელიწადი იყო.

ვანო მივიდა, როცა გიორგი 60 წლის გახლდათ და სიკვდილის დღემდე მასთან დარჩა. გიორგი შარვაშიძე გარდაიცვალა 1918 წელს, თებერვალში, სოხუმში, უეცრად. იდგა, ფანჯრიდან იცქირებოდა და იქვე წაიქცა. გამოიძახეს ექიმი გრიგოლია, მაგრამ ვერავინ უშველა, გარდაიცვალა. სოხუმის სახლი 16 ოთახისაგან შედგებოდა. ვანო კვეკვეცია სახლობს სოფ. მარტვილში. ვიყავი მის სახლში. სუფთა, კოხტა სახლი, ეზო, ხეხილი. სახლში არ დამხვდა. გავიცანი მისი ქალიშვილი ვერა. ვანო ახლა არის 78 წლის, მალზე გამოცვლილი. მახსოვს, იგი შესანიშნავად გამოწყობილი ჩოხა-ახალუხში... ახლა რაღაც საშინელი შესახედავი იყო, სალდათის, მველ ბატინკებში და მველ, დაკერებულ შარვალში. ქუქუმ რომ მითხრა, ეს არის ვანიკოო, ვერ დავიჯერე. შევეკითხე: „ვანო ხარ?“ ისე გამეჭიმა, როგორც უწინ, მისი ლაქიობის პერიოდში რომ ჰქონდა ჩვეულებად: „დიახ ბატონო, მე გახლავარ!“ და უცბად ფეხები ფეხებს მიადო და ხელები ჩამოუშვა.

ასეთ დისციპლინას და პოზას მე ვხედავ ამ დროში, მხოლოდ მაშინ, როცა ჯარისკაცი გენერალს ან უფროსს პატაკს აძლევს. ხელი გავუწოდე და ვუთხარი: „ვანო, მიცანი? ბაბუსია ვარ.“ დიდის მოწიწებით, თავდახრილმა, ორივე ხელში ჩაიდო ჩემი ხელი და ემთხვია... კიდევ გამეჭიმა და მითხრა: „ბატონო, კნეინა ბაბუსია, როგორ ბრძანდებით?“...

წავედით, დავსხედით მარტვილის ბაღში. ვანოს მოვაყოლე თუ რამე ახსოვდა.

— მალიან ვუყვარდი და შეჩვეული ვიყავი მასთან. მე ვიცოდი და მახსოვდა ყველა მისი ჩვეულება — მიყვება ვანო — ვიცოდი, უცხოეთში რომ გაემგზავრებოდა, რამდენი და რა უნდა ჩამელაგებია. თუ სადმე, ჩვენს ქვეყანაში სტუმრად მიბრძანდებოდა, რამდენიმე დღით, უსათუოდ თან მიჰქონდა რეზინის ტაშტი, თავის რეზინის ვედროთი. ყოველ დილით ადრე დგებოდა, ღებულობდა ცივ შხაპებს. როგორც კალმახი ისე სტოდა ბატონი, ცივ წყალს რომ ვასხამდით და უშველებელ ღრუბლით იზელდა ტანს. ვეტყოდი ხოლმე, ბატონო კნიაჟნია, — „კნიაზ, არ გაცივდეთ!"... „არა ბიჭო, სწორედ რომ ჯანმრთელობაა ამაში". ყოველ დილით ასე იბანდა ტანს. შემდეგ საუზმე და შემდეგ თავის კაბინეტში წერდა და კითხულობდა... ხომ გახსოვთ, ბატონო კნიაჟნია, რამხელა ოთახი ჰქონდა და მთელი კედლები სავსე იყო წიგნებით...

— ვანო, — ვკითხე — მითხარი, თუ რამე გაქვს მისი ნაწერი. ფულს მოგცემთ ყველაფერში, ოღონდ მოგვეცი.

— ვინ იცოდა, ბატონო კნიაჟნია, ვინ იცოდა, თორემ პატარა კი არ ჰქონდა ნაწერები... მთელი საწერი მაგიდა სავსე ჰქონდა ნაწერებით და კიდევ შკაფიც. ბევრი წაიღო ტატაშ მარშანიამ და ვალოდია შარვაშიძემ, სანამ კნიაზ კოკის დეპეშა მივეცით და ჩამოვიდა. მერე არ ვიცი, ბატონო, ვინ რა წაიღო. მე კნიაზის შემდეგ აღარაფერი მინდოდა და წავედი სოფელში...

ვთხოვე ვანოს კიდევ მოეგონებინა რამე.

— ბარატინსკი რომ გარდაიცვალა, კნიაზი წაბრძანდა პეტროგრადში, სადაც მეც ვახლდი. ვცხოვრობდით სასტუმროში. ფული ყოველთვის მე მებარა. სასტუმროს გასტუმრებას თუ სხვა ხარჯებს, ყველაფერს მე ვისტუმრებდი. კნიაზი ანგარიშს არ მთხოვდა. წელიწადში ერთხელ თუ მომთხოვდა ანგარიშს...

რა დღე მინახავს, ბატონო, რა დღე და რა ხალხი, ბატონო კნიაჟნია, სად ჩავვარდი ახლა...

ჩამომითვალა ვანომ ბესარიონ სოფერია — ფოთში, ჩხოტუა — ზუგდიდში, ქვარიანი — თბილისში... და სხვა...

— ამათ ექნებათ, თუ მიაკითხავთ, კნიაზის ნაწერები, რადგან განუწყვეტლივ ჩვენთან იყვნენ და ხმამაღალი ჰქონდათ ბაასი, მსჯელობა მწერლობაზე. როდესაც მე ხელზე ვემსახურებოდი, ხშირად კნიაზი ვინმესთან მსჯელობდა, მე ყველაფერი მესმოდა.

ვანომ ბევრი სხვა ამბებიც მიამბო:

— ბანძაში ეჩქარებოდა წამოსვლა კნეინა თამართან. ბანძაში შესანიშნავად ატარებდა დროს... უყვარდა მწყერობა... იქაურობა უყვარდა მალიან...

* * *

1946 თუ 47 წლებში, არ მახსოვს, ენათმეცნიერების ინსტიტუტში ტერმინოლოგიის განყოფილებაში გადამიყვანეს. ვმუშაობდით განმარტებით ლექსიკონზე. შესანიშნავი კოლექტივი. განყოფილების გამგე ვუკოლ ბერიძე. ხელფასი არც თუ ისე დიდი მქონდა. გვიჭირდა, მაგრამ რაღაცნაირად მაინც ვახერხებდით ცხოვრებას.

ინსტიტუტი დამატებით სამუშაოს გვაძლევდა ლექსიკონისათვის განმარტებითი ბარათების შესადგენად. გვიხდიდნენ 2, ხან 3 კაპიკს. მე, თათული და გირგი თავგამოდებით ვმუშაობდით. რასაც გამოვიმუშავებდით ხელფასთან ერთად ვღებულობდი.

დამთავრდა ომი, მოვითქვით სული და თითქოს ჩავდექით კალაპოტში, მაგრამ მე მაინც მოსვენება არ მქონდა, გამომიძახებდნენ იმ საზარელ დაწესებულებაში. დამკითხავდნენ ჩემ ოჯახზე, რომლებიც პარიზში ცხოვრობდნენ. განსაკუთრებით ჩემ დაზე, მიაზე. ერთხელ, დილით გიორგი მეუბნება, ერთი კაცი სულ ჩვენს ფანჯარას უყურებსო. გადავიხედე და ვხედავ – გალიფეში ჩაცმული, ტიპიური შპიკი, ჩეკისტი. მეჩქარებოდა სამსახურში და გავედი ქუჩაში თუ არა, ამომიდგა გვერდში და მითხრა: წადი წინ არ დამელაპარაკო, მე უკან მოგყვებიო. ვუთხარი: პრეზიდენტის, ნიკო მუსხელიშვილის კაბინეტის გასაღები მე მაქვს და უნდა გადავცე-თქო( ეს არ იყო მართალი), შევირბინე აკადემიის შენობაში, გიჟივით შევვარდი ნატაშა ქიქოძის ოთახში (ნატაშა გერონტი ქიქოძის და იყო) და ვუთხარი: ნატაშა, მე მიყვარხარ და ჩემ ბავშვებს მიმიხედე-თქო. საყვარელმა ნატაშამ თავში ირტყა ხელი. ეს საზიზღარი კაცი ამომყვა და მანიშნა, წამოდიო. წამიყვანა იმ დასაწვავ და დასაქცევ შენობაში, სადაც ამდენი ცრემლი დაღვრილა. მომცა საშვები და ამიყვანა ზემოთ ვიღაც გამომძიებელთან. ძალიან დიდხანს მალოდინა. გაიღებოდა კარი, შემოვიდოდნენ, შემომხედავდნენ და ისევ გავიდოდნენ. ასეთ დღეში ვიყავი, მგონი 5, 6 საათი. მერე ვიღაც მოუჯდა მაგიდას და მკაცრად მეკითხება: აბა, მოყევით, ახლა რას აკეთებს თქვენი და ამერიკელებთან. ასეთი შეკითხვებით გავიდა მთელი დღე. იქედან რომ გამოვედი, სამუშაო საათები მთავრდებოდა. ზოგიერთმა, ვინც არ იცოდა, საკმაოდ წარბშეკრულად მკითხეს: დილიდან ადგილზე არ იყავით და ეხლა გამოჩნდითო... შემომესხვივნენ თანამშრომლები, ახლობლები, ვისაც ნატაშა ქიქოძემ გაანდო. გამწარებული მივირბინე შინ და დამხვდნენ ჩემი შვილები მოწყენილები, აბუზულები. სიხარულის ცრემლებიც ბევრი იყო...

* * *

1951 წელი. უსათუოდ უნდა წავსულიყავი ნიკო ბერძენიშვილის ძმის დაკრძალვაზე, ინსტიტუტიდან ბევრნი მივდიოდით. არ მქონდა პურის ფული, სადილი კი მქონდა... სამსახურში ძალიან მიძძიმდა ვინმესთვის ფულის სესხება. მხოლოდ ჩვენ მოლარეს, კეთილ ქსენია ბოგდანოვას ვართმევდი. ის კი მუდამ ნაღვლიანად მეუბნებოდა: Ты все берешь деньги, а будет зарплата, тебе нечего будет получать. კიდევ არ მიძნელდებოდა ნინო პორფირეს ასულ ბარათაშვილთან ფულზე მისვლა. ეს იყო ნამდვილი არისტოკრატკა (მისი მშობლები ასაფლავია ქვაშვეთის ეკლესიის ეზოში. რომ შედიხარ ხელმარჯვნივ, კიბეების წინ დიდი მეგლია, ეს მისი ოჯახია). იგი მუშაობდა ბიბლიოთეკის გამგედ. ვესესხე 30 კაპიკი, გავიქეცი, ავიღე პური და დავუტოვე ჩემს შვილებს... რომ გამოვედი ჩემ სადარბაზოდან, მესმის მეძახიან. იყვნენ ნატო ვაჩნაძე და კოლია შენგელაია, გასვენებაზე მივდივართო, წავედით ერთად. საოცრად კარგ გუნებაზე ვიყავით. სამივე ვიცინოდით, ვხუმრობდით. მე კიდევაც ვუთხარი: ჩვენ გასვენებაში მივდივართ თუ ქორწილში-თქო. სახლში ბევრი საქმე მქონდა — ვაპირებდი სარეცხის გარეცხვას. თათულიმ დამიშალა, ეხლა დაღლილი ხარ, ხვალ გააკეთეო. თათული მეცადინეობდა, 29-ში გამოცდა ჰქონდა, საკანდიდატო მინიმუმს აბარებდა მარქსიზმ-ლენინიზმში. წიგნები და კონსპექტები გაშლილი ჰქონდა. სუსტად იყო, ახალგადატანილი ჰქონდა ფილტვების ანთება და გადავწყვიტეთ შედარებით ადრე დავწოლილიყავით. ამ დროს, გვესმის კიბეზე ფეხის ხმა. ვხედავთ, მედეა ჯაფარიძე და რეზო თაბუკაშვილი, პატარა ლაშიკოთი. თათულის უსაყვედურეს — ვერ იქნა და ვერ მოხვედი ლაშას სანახავად და მოგიყვანეთო (იქვე ცხოვრობდენ კიროვის, ეხლა ლეონიძის ქუჩაზე). ძალიან გავიხარეთ — დიდხანს არ გაჩერებულან. გაგვამხიარულეს...

(შემდგომ, როცა სამხრეთ ყაზახეთში გადასახლებულები, ჩვენს საცხოვრებელ მიწურში, აქედან ნაჩქარევად ჩალაგებულ ბარგს ვხსნიდით, იქ პატარა ლაშიკოს ცალი წინდა აღმოჩნდა, რამაც ძალიან აგვიჩუყა გული).

ჩავიძინეთ, კარებზე კაკუნი გაისმა. ეს იყო 25 დეკემბერი, 1951 წელი, ღამის სამი საათი.

გავაღეთ კარი, შემოცვივდა სამი კაცი (ჩეკისტები) და რამდენიმე სამხედრო. მივარდნენ გიორგის ლოგინთან და ხელები დაუკავეს. მე ვიფიქრე, იქნებ ბავშვმა რამე დააშავა და გამწარებული ვეუბნები: „გიორგი, რა თქვი?!" გიორგი ყველაფერს მიხვდა, ჩვენც. სამხედრომ, რუსმა დახედა საათს: „გაძლევთ ერთ საათს დროს. მზად უნდა იყოთ". მივარდა ჩემოდანს, სადაც ზემოდან მედო ხანჯალი, რომელიც ჩემმა ძმებმა, ბონდომ და დიმამ შემთხვევით ნახეს საკომისიო

მაღაზიაში. ნასესხები ფულით შეიძინეს და მე მომაბარეს. ხანჯალი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან ბაბუის, გიორგი შარვაშიძის ნაქონი იყო და თავისთავად საკმაოდ ძვირფასი, დიდი ღირებულების... ამოიღო ხანჯალი ამ რუსმა: „Это нельзя вам брать" და წაგვართვა. ქართველები უფრო ლმობიერად გვექცეოდნენ. ერთმა მუხლებზე დაირტყა ხელი და თქვა: „ეს რა ოჯახი ავაწიოკეთო". მე მითხრა: „დამშვიდდით (მე რაც შეიძლება თავშეკავებულად ვიყავი), იცით თქვენისთანა 500 ოჯახზე მეტი დაგხვდებათო ნავთლუღში". ვუთხარი, ეს რა ნუგეშია, ნეტავ მე მარტო ვიყო და არა ამდენი ქართველი ოჯახი აწიოკებული- მეთქი. ისინი გვეხმარებოდნენ, რისი წაღების უფლება გვქონდა, ის მაინც ჩაგვეწყო, ბარგი გაგვეკრა. მე სასოებით ჩემი ხატები გავახვიე სუფთა ბალიშისპირებში. გიორგიმ, დედა, შენ ვერ გადაიტან ეს სურათები რომ დაკარგოო, უცბად გადააძრო ლებებს პირი და მთელი ფოტოსურათები ჩაყარა შიგ. ერთმა ჩეკისტმა გიორგის უთხრა ლიდიკოზე: ეს თქვენი შვილი არ არის და დავუბრუნოთ მშობლებსო. გიორგიმ თქვა: ბავშვს ვკითხოთო, მაგრამ ჩვენმა ლიდიკომ ჩვენთან ყოფნა არჩია. შემომეხვია და მითხრა, მე თქვენთან წამოვალო...

როცა დაიწყო ბინიდან ჩვენი გაყვანა, თათულიზე ვემუდარებოდი: „ფილტვების ანთებით წევს და დატოვეთო"... მაგრამ არაფერმა არ გაჭრა. ჩაიტანეს ბარგი-ბარხანა, ქვეშაგები, რისი წაღების უფლებაც მოგვცეს.

მეზობლები არავინ მოგვაკარეს. ჩვენს ქვემოთ ცხოვრობდა კეთილი და კარგი ოჯახი ჩვენი სოფლიდან, რაქდენ ესებუა (თათული დოლიძის ბაბუა), ჩვენი ახლო მეგობარი. ისინი აუცილებლად გამოვიდოდნენ ჩვენს დასამშვიდობებლად, მაგრამ ისე წაგვიყვანეს, ვერ გაიგეს. თათული დოლიძე ცისანა ესებუას ქალიშვილია. ცისანა გათხოვდა, ჩვენ რომ გადაგვასახლეს და ჩემი თათულის მოსაგონრად დაარქვა შვილს თათული.

ერთი ოჯახი, გრიგორიანები, რომლებიც ამავე ეზოში ცხოვრობდნენ, გამოცვივდნენ და მიუხედავად სიმკაცრისა, რომ ახლოს არ მომკარებოდნენ, მომვარდა ქალი, შემომეხვია და ფულის მოცემა უნდოდა. მე სასტიკ უარზე ვიყავი, მაგრამ თვალცრემლიანმა, ამ სომხის ქალმა მალით ჩამიკუჭა ჯიბეში. მისი შვილი გარუშა, პატარა ბიჭუნა, მოვარდა მანქანასთან და გვითხრა: ვის შევატყობინოთო? ვთხოვე: წადი გრიბოედოვის ქ. №24-ში, ჩემი მული ცხოვრობს და ჩუმად უთხარი, თინას, ოღონდ ჩუმად... ვინაიდან მისი დედა მძიმედ ავადაა. ცოდვაა, ვინ იცის, ეს როგორ იმოქმედებს მასზე..."

ეს სიტყვები არ დამესრულებინა, რომ მკაცრი ძახილი გაისმა: „Скорее, скорее!"

ჩაგვყარეს საბარგო მანქანაზე და წაგვიყვანეს ნავთლუღის სადგურზე. იქ რომ მივედით, უკვე დილის ექვსი საათი სრულდებოდა. თენდებოდა. შემზარავი სანახაობა დაგვხვდა. უამრავი საბარგო მანქანა გაჩერდა და მესმის ვიღაც მეძახის: „ბაბოშკა, ისევ შენ?“ (ეს ჩემი მეორე გადასახლება იყო. პირველად რუსეთში, ვოლგისპირეთში ვიყავით). ეს იყო ექიმი დათიკო თევზაძე, მთელი ოჯახით. სადგურზე ორი ეშალონი იდგა ერთმანეთის პირდაპირ. ორივე ეშალონი საკმაოდ გრძელი შემადგენლობის იყო (მგონი 60 ვაგონი). შეგვყარეს და რას ვხედავ, პირუტყვის გადასაზიდი ვაგონები. ნარები დასაწოლად. ტირილი, ტირილი, ყვირილი... უამრავი ხალხი მოგროვდა, მაგრამ მატარებელთან ახლოს არავის არ უშვებდნენ.

ჩვენს მატარებელს შემოარტყეს ალყა მე-8 პოლკის ჯარისკაცებმა. ეტყობოდა ამ ჯარისკაცებს ვეცოდებოდით და ვინც მოვიდა თავისიანების სამებნელად, შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ. ეუბნებოდნენ: გაარღვიეთ წრე, მიდით, გადაეცით...

ეშალონი იდგა ნავთლუღის სადგურიდან მოშორებით, ჩიხში — ზემოთ კახეთის გზატკეცილზე. აუარებელი ხალხი იყო მოგროვილი. იძახდენ, ყვიროდენ სახელებს თავიანთი ახლობლებისა. ამდენ ხალხში დავინახე ჩემი თინა გოცირიძე და სხვა ახლობლები, რომლებიც ერთმანეთს ეხვეოდნენ, ტიროდენ, ყვიროდენ. მე გული ამიჩუყდა და დავიწყე ტირილი: „თინა, თინა!“... ჩემს სიმწარეს და ამ ჯოჯოხეთს მიასკეცებდა ის, რომ ჩემს შვილებს ვხედავდი ამ დღეში... თათული, გიორგი ასეთ დღეში... ჩემი პატარა ფისო, ლიდიკო საცოდავად გამოიყურებოდა. ამ ყველაფერს სიკვდილი მერჩია. ჩემი თავი ჯანდაბას, ოღონდ ჩემი შვილები არ ყოფილიყვნენ ასეთ სიმწარეში...ასეთ ტირილ-კივილში საღამოს 9 საათამდე ვიდექით. სიცივე, სიბნელე. გარედან რკინით ჩაკეტილები. ეშალონი რომ დაიძრა და გასცდა სადგურს, ვხედავ ჩვენი მეგობრები მოსდევენ მატარებელს... უკვე დაღამებული იყო, ეშალონი ნელა მიდიოდა. კახეთის გზატკეცილზე მდგომი ხალხი და სხვები, არ ვიცი, საიდან მოსდევდნენ ეშალონს. ფანჯარაში გვიგდებდენ ფულს, ტანსაცმელს, რაღაც თბილებს, ტიროდენ, თან გვამხნევებდენ. სასოწარი, გულშემზარავი სურათი იყო.

თურმე გარედან, ვაგონებზე წითელი პლაკატები იყო გაკრული, წარწერით:

ДОБРОВОЛЬНО.

* * *

ასე მივქროდით 14 დღე და ღამე, მივდიოდით ჩრდილო ყაზახსტანის გავლით სამხრეთ ყაზახსტანისკენ. ყინვა 40 გრადუსამდე იყო. გზაზე ვჩერდებოდით. გვიღებდნენ ჩარაზულ კარებს და გვიშვებდნენ საჭირო საქმეზე, გარეთ. ეს დიდ სიკეთედ ითვლებოდა ჩვენი გამცილებელი ჩეკისტის, სარუხანოვის მიერ, რადგან შიგნით, ვაგონებში, გვედგა „პარაშკები" და ამით სარგებლობა ცოტა უხერხული იყო. ერთ ვაგონში 35 კაცი ვიყავით, ძალიან ვიწროდ. ვაგონებში ციოდა, ვაგონის ნაპრალებიდან უბერავდა, საბნები კედლებზე მიყინული იყო და რომ მოვგლეჯდით, ბამბები ზედ რჩებოდა. თათული გაცივდა, ფილტვების ანთება გაუმეორდა. ჩვენს ეშალონს ექიმად ჩემი შვილების ახლო ნაცნობი, თათულის სკოლელი, ნოდარ ცინცაძე მოყვებოდა, რომელმაც დიდი სითბო და ყურადღება არ დაგვაკლო. მოგვამარაგა წამლებით. ვაგონში თუჯის ფეჩი იდგა, მაგრამ გასათფობი არაფერი იყო. ერთ-ერთ პატარა სადგურზე ნახშირი ეყარა. კაცებმა ნახშირით მოგვამარაგეს. დიდი შიშით და სიფრთხილით, საკმაოდ ბევრი ნახშირი შემოზიდეს, სწორად რომ ვთქვათ, მოიპარეს. ამ ფეჩის ირგვლივ შემოხვეულები ვიყავით და ვთბებოდით, მაგრამ ფეჩს რომ მოვცილდებოდით, ვიყინებოდით.

გვერდით ვაგონში გურამ გაბაშვილი იყო, დედით, მარიამ გაბაშვილით. გურამი და ჩემი გიორგი ახლო მეგობრები იყვნენ და ახლა ერთ ბედქვეშ აღმოჩნდნენ. გვერდით იყვნენ კოკოშა ჩხარტიშვილის ოჯახი, დედა, მეუღლე, ნორა ლორთქიფანიძე, ანგელოზივით შვილებით, თემურით და მარინათი. კოკოშა თბილისში არ იყო და თავის ოჯახს ვერ გამოაყოლეს. მერე მოგვიანებით ჩამოვიდა, მოძებნა თავისი ოჯახი და ერთად ვიზიარებდით იმ საშინელ პირობებს, რა პირობებშიც ჩვენ მოვხვდით. ერთ-ერთ ვაგონში, ჩვენი ვაგონის ცოტა მოშორებით, იყო ვერა გაბლიანი და მანოშკა მირიანაშვილის ბებია, დედის დედა — გულბაათ დავითაშვილის დედა, რომელიც საკაცით მოიყვანეს, ღრმად მოხუცებული, ლოგინად იყო ჩავარდნილი. გულბაათი საფრანგეთიდან იყო ჩამოსული იმ ფრანგებთან ერთად, რომლებიც მოტყუებით ჩამოიყვანეს საქართველოში და მერე კი ყველა შუა აზიაში გადაასახლეს. ივი ბალეტმეისტერი იყო და ოპერაში დადგა შესანიშნავი საბავშვო წარმოდგენა, ჩვენი გადასახლების დროს კი ბაქოში იყო და დედა მარტო გადაასახლეს. ეშალონი რომ ჩერდებოდა და კარებს გვიღებდნენ, მე გავრბოდი ამ საცოდავ მოხუცთან, მიმქონდა თუ რამე გვქონდა საჭმელი და ვცდილობდი დავხმარებოდი რითიც შემეძლო, მომეარა მისთვის, ჩემთვის ძალიან ახლო მეგობრის, ლიოლიას დედისთვის.

ერთ-ერთ სადგურზე გურამმა და გიორგიმ მოისმინეს, რკინიგზის მორიგესთან როგორი

გაცხარებული კამათი ჰქონდა ჩეკისტ სარუხანოვს: „აქ ინტელიგენციაა. მე არ დავძრავ ეშალონს. თქვენ გინდათ ისინი წაიყვანოთ ყველაზე დაუსახლებელ ადგილებში, უდაბნოში?“

ეს საუბარი მორიგემ გადასცა კვანძის უფროსს. იქიდან კი მოვიდა ბრძანება: „Передайте машинисту и пусть следует по приказу, в самые незаселенные места.“ ასეც მოხდა, ჩვენი ეშალონი იყო პირველი და ამიტომ გვხვდა ასეთი ხვედრი. იმ ღამეს საქართველოდან 18 ეშალონი გავიდა. 14 დღე-ღამის მოგზაურობის შემდეგ, დილის 6 საათზე გაჩერდა ჩვენი ეშალონი და გააღეს ჩარაზული კარები და გადმოგვიყვანეს. ჩვენ გველოდებოდა უამრავი საბარგო მანქანა, მანქანებს ბორბლებზე ჯაჭვები ჰქონდათ, იმდენად ცუდი გზა გვქონდა გასავლელი. მე-14 დღეს ჩავედით დანიშნულების ადგილას. სამხრეთ ყაზახსტანის ოლქი, პახტარალის რაიონში. ეს იყო 7 იანვარი, შობა. კარები რომ გააღეს, დავინახეთ აუარებელი საბარგო მანქანა და ტრაქტორები. ამ ტრაქტორებით უნდა გაეყვანათ საბარგო მანქანები, რადგან გზა ტალახიანი და საშინელი იყო. ჩეკისტებმა, რომლებიც ჩვენ მოგვყვებოდნენ, ჩვენი გვარები სიით ამოიკითხეს და გადაგვცეს ყაზახ ჩეკისტებს. ისინიც ბლომად იყვნენ. ამ სიების ამოკითხვის შემდეგ ჩაგვყარეს მანქანაში, თათული მძღოლის გვერდით კაბინაში იჯდა თბილად ჩაცმული. იმ ყინვაში ახალგადატანილი ფილტვების ანთება გაუმეორდა. პატივი მცა ჩვენმა კომენდანტმა და მძღოლთან დასვეს.

გაგვანაწილეს პახტარალის რაიონის კოლმეურნეობაში. ეს კოლმეურნეობა სულ 2 წლის დაარსებული იყო და არც შუქი იყო, არც სკოლა, არც ფოსტა. რაღაც პატარა ჯიხურივით იყო „კანტორა“, სადაც უფროსები ისხდენ. იქვე იდგა საფოსტო განყოფილებაც. ბევრი, ჩვენი ეშალონიდან, მოხვდა მეურნეობაში, შედარებით კარგ პირობებში — ხის იატაკიანი სახლებით და შუქით. თითქმის ოთხი თვე ვცხოვრობდით უკიდურეს პირობებში. მიწურში, სადაც თხები ჰყავდათ ყაზახებს. თხები გამოიყვანეს და ჩვენ მოგვათავსეს თხის განავლით დასვრილ, სველ მიწურში. წიგნებს გადავაძრეთ ყდები და იმით გავფხიკეთ, გავიტანეთ ჭუჭყი. მოვიდნენ ბერძნები, მოგვეხვივნენ. დაგვამშვიდეს, ჩვენც საქართველოდან ვართო, ბათუმიდან, სოხუმიდან. მოგვიტანეს ბამბის ღეროები და დაგვიგეს.

მეორე დღეს წაგვიყვანეს, დაგვიდვეს წინ ორი დაბეჭდილი ქაღალდი — საბუთზე მოგვიწერეთო ხელი. ერთი — „На вечное поселение“, მეორე — თუ გავიპარებოდით, კატორღა 25 წელი. ჩვენი განცდების წარმოდგენა ძნელია. გიორგიმ დახია ეს საბუთი და სახეში მიაყარა იქ მჯდომ ჩეკისტებს და უთხრა — ჯერ მითხარით, რისთვის გადამასახლეთ და მერე მოვაწერ

ხელსო. მე საოცრად ავღელდი, შემეშინდა, შევევედრე გიორგის მოაწერე ხელი, არ დაგვაშორონ შენს თავს, არ დაგიჭირონ, მაგრამ გიორგი, საოცრად გამწარებული, უარზე იყო, არ აწერდა ხელს. ჩვენ გავშეშდით, ჩემი გამწარება სიტყვებით გამოვხატო შეუძლებელია. გიორგიმ გამწარებულმა მოგვმართა: გადით, დამტოვეთ მარტო. მე გაველი და იქვე ჩავიჩოქე ეზოში, ფეხზე ვერ ვდგებოდი, ვტირი გამწარებული. ამ დროს გაჩერდა ვილისი, გადმოვიდა ვიღაც ჩეკისტი, მოვიდა ჩემთან და მეუბნება: „Мамаша, чего вы плачете?“ მე ვუპასუხე „Там сына моего расстреливают, он не хочет подписать на „вечное поселение“. ამაზე მან მხარზე ხელი დამადო და მითხრა:

„Мамаша, ничего вечного нет“. ეს ჩეკისტი იყო გვარად არისლანოვი. ამ კეთილი კაცის სიტყვებმა გონს მომიყვანა და ნუგეშიც მომცა და მთელი გადასახლების პერიოდში ეს სიტყვები რაღაც მხნეობას მმატებდა. (არასოდეს ეს ჩეკისტი არისლანოვი არ დამავიწყდება, რა გავლენა იქონია ჩემზე მისმა სიტყვებმა და ნუგეშმა. კეთილი კაცი იყო).

* * *

ჩვენთან, გადასახლებაში იყო გივი გაბლიანის დედა, ცნობილი პედაგოგი, დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით (ვაი, ირონია !!!). ამ ჩეკისტ ყაზახს, არისლანოვს ჩუმად, შინელის ქვეშ დამალული, მისთვის ბოთლი ნავთი მიჰქონდა. ეს იყო ცხოვრების ერთგვარი გაგრძელება...

გვაკრეფინებდნენ ბამბას. ნორმა 80 კგ. დღეში. სიცხე აუტანელი, უწყლობა. წყალს ვიღებდით თხრილიდან, ჭუჭყიანს, ჭიებით სავსეს. წყალს ვასხამდით ბალიშის პირში და ისე ვწურავდით. გავუგზავნე თინას ჩვენი მისამართი და ვაუწყე მდგომარეობა. მეშინოდა ყველაფრის მიწერა, თუ რა დღეში ვიყავით, რომ რამე უსიამოვნება არ შეხვედროდა (მაინც ვერ აცდა). ფოსტა სამი თვის მერე აქლემებით მოიტანეს, რადგან საშინელი ტალახის გამო მანქანები ვერ მოდიოდნენ. როგორ ველოდით ცნობას საქართველოდან. მივიღეთ ფული, ამანათები, წერილები. მიუხედავად სტალინის სასტიკი რეჟიმისა და შიშისა, სითბო და ყურადღება არც აქ მოგვაკლეს ჩვენმა ახლობლებმა. დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა ჩემი მულის შვილმა, თინა გოცირიძემ. მასთან მიჰქონდათ ფული, ხურსათი ჩვენ მეგობრებს, თანამშრომლებს და ის გვიგზავნიდა, მაგრამ ამ ლუკმის წართმევაც სცადეს. დაიბარეს თინა გოცირიძე შინსახკომში და მკაცრად უთხრეს: თქვენ ეხმარებით და პატრონობთ ხალხის მტრის ოჯახს. იცოდეთ, თუ თქვენ იმათთან კიდევ გექნებათ

კავშირი და არ შეწყვეტთ მათ პატრონობას, თქვენს მოხუც მშობლებს აგკიდებთ და გაგგზავნით მათთან. მან უპასუხა: თუნდაც ახლავე გაგვგზავნეთ და მათ პატრონობას არ მივატოვებო და მართლაც, მთელი წლების განმავლობაში, არც ჩვენ მეგობრებს და არც თანამშრომლებს არ შეუწყვეტიათ ფულის და სურსათის გამოგზავნა. თინამაც გააგრძელა თავდაუზოგავად ჩვენზე ზრუნვა და ამანათების გზავნა. მთელ თავის ხელფასს მუდამთვე ჩვენ გვიგზავნიდა. თინა, ჩემი შვილივით საყვარელი, კეთილი, სათნო. მან იხსნა ჩემი შვილები და ჩემი გაზრდილი, მისი ნათლული, ლუდა სართანია შიმშილისაგან და გადასახლებაში დაღუპვისაგან.

ოთხი თუ ხუთი თვის შემდეგ ჩვენ მეურნეობაში ახლობლების დახმარებით გადავედით. „Совхоз 30 лет Октября" დიდი მეურნეობა იყო. ოთხი დიდი განყოფილებით, ყველგან ჩვენი ქართველები იყვნენ. გაზაფხულზე მივყავდით მანქანებით ბამბის პლანტაციაში, ვმარგლავდით, ვთოხნიდით. შემოდგომაზე კი, ყინვების დაწყებამდე, ვკრეფდით ბამბას. თათული ჯერ კანტორაში მოეწყო სტატისტიკოსად (გიორგიმ დაუთმო თავისი ადგილი, თვითონ კი ელექტრო მუშაკად წავიდა). თათულისთან მოქონდათ ცნობები განყოფილებებიდან თუ რომელმა განყოფილებამ რამდენი ბამბა მოაგროვა. განყოფილებიდან წარდგენილ წონას ამატებდენ კიდევ ნულებს და ალმაატას და მოსკოვს გადიდებული, ყალბი რიცხვით უგზავნიდენ ცნობებს. თათულიმ ეს არ იცოდა. იგი ზუსტ ცნობებს აწვდიდა მთავარ სტატისტიკოსს და დირექტორს. ისინი კი აგზავნიდენ. ერთხელ, არ იყო არც დირექტორი და არც მთავარი სტატისტიკოსი, სასწრაფოდ იყო გასაგზავნი ცნობები. თათულიმ როგორც მოაწოდეს განყოფილებებმა, ისე შეადგინა და გააგზავნა. როდესაც დირექტორი მივიდა და გაიგო რა სახით გაიგზავნა ცნობები, უგინებია და უყვირია თათულისათვის. თათული მოვიდა ატირებული, ჩემს სიცოცხლეში მსგავსი გინება არ გამიგონიაო.

1953 წ. სტალინის სიკვდილის შემდეგ უამრავი დეპეშა მოვიდა ჩვენ სახელზე მეგობრების, თანამშრომლების „Поздравляем с днем рождения". ასეთივე შინაარსის დეპეშები სხვებმაც ბევრმა მიიღო და ფოსტაში გვითხრეს: „Что это вы грузины все в один день родились?"

1952 წელი. შემთხვევით წავაწყდი ერთ პატარა ბიჭუნას სამედიცინო პუნქტში, რასაც საავადმყოფოს ეძახდნენ, მაგრამ ავადმყოფებს არც წამალს აძლევდნენ და არც აჭმევდნენ. რაც მთავარია, ის შენობა არ თბებოდა ზამთარში. აი, იქ ვნახე პირველად 8 წლის რაჭველი ბიჭი, შიმშილისაგან დასუსტებული, ავიტამინოზიც ქონდა. ჩონჩხივით იყო, მძიმე სანახავი, — სისუსტის-

გან ფეხზე ვერ დგებოდა. ვითავე მისი პატრონობა. მივწერე ჩემს მულიშვილს, თინა გოცირიძეს. მივიღეთ ვიტამინები და დიდი ამანათი წამლებით. დღეში სამჯერ მიმქონდა საჭმელი. სხვა ჩემმა ახლობლებმაც გამოიჩინეს ყურადღება (გაბაშვილებმა, ჩხარტიშვილებმა, ბაქრაძეებმა, კალანდაძეებმა). მორიგეობით მაძლევდნენ ხოლმე სადილს. საავადმყოფოდან რომ გამოწერეს, მამამისთან აღარ დაბრუნდა და ამიტომ ჩვენ წამოვიყვანეთ. იქ იყო ბერძენი მღვდელი. მოვნათლე. ჩემს რაჭველს ერქვა მელორი, დავარქვი გიორგი და ნათლიას მეძახდა. ჩემი ორი შვილი, ძიძიშვილის შვილი (5 წლიდან ჩემი გაზრდილი, ლუდა სართანია) და ეს რაჭველი ბიჭი ერთად ვინაწილებდით გაჭირვებას, ჩვენს მძიმე ხვედრს. რაჭველი ბიჭი განთავისუფლებამდე ჩვენთან ცხოვრობდა. სტალინის სიკვდილის შემდეგ, ვინაიდან პირველად ბავშვებს ანთავისუფლებდნენ, ჩვენი რაჭველი ბიჭიც გაანთავისუფლეს. მისცეს განთავისუფლების ქაღალდი. მან კი თათულის უთხრა: „თათული, შენ წადი ამ ჩემი საბუთით. მე დავრჩები და სათვალავში ისევ ის რაოდენობა ვიქნებით, პავლოვი რას გაიგებსო..."

პავლოვი ჩვენი კომენდანტი-მეთვალყურე იყო. პატარა ბიჭის ეს რაინდული საქციელი, ვფიქრობ დიდი, დიდი რამ არის!

სტალინის შემდეგ ვითარება საოცრად შემსუბუქდა. დაიწყო გათავისუფლებები. ჩამოდგებოდა ეშალონი და ნაწილ-ნაწილ მიჰყავდათ სპეცგადასახლებულები. მათ შორის, ბევრი ჩვენი ახლობელი გაათავისუფლეს: ჩხარტიშვილები, გაბაშვილები, ვარაზიშვილები და სხვები... როცა ბერია დააპატიმრეს, განთავისუფლებები შეწყდა. ითქვა, რომ საქმეებს თავიდან გადახედვა სჭირდებოდა, რის გამოც ჩვენ მოგვიწია დიდხანს დარჩენა.

მოვახერხეთ გადასვლა ქალაქ ჩიმკენტში, ვიქირავეთ უზბეკის ოჯახში ბინა. ჩიმკენტში ვნახეთ ადა კომნინო, გაბო რატიშვილის მეუღლე. ჩვენი შეხვედრა პარასკევას და რობინზონის შეხვედრას გავდა, ისეთი სიხარული იყო. მშობლები დიდი სიყვარულით და მეგობრობით იყვნენ დაკავშირებული და გასაგებია ჩვენი მეგობრობაც, ერთგულებით და მჭიდრო სიყვარულით გრძელდებოდა, ისიც სად, ყაზახსტანში, გადახვეწილობაში...

ჩიმკენტში დიდი სიხარულის სხივმა შემოანათა ჩვენს დუხჭირ ცხოვრებაში. ჩამოვიდა ჩემი თათულის საქმრო — თენგიზ ღვინიაშვილი (მოქანდაკე) და წაიყვანა ჩემი ქალიშვილი. ეს წარმოუდგენლად დიდი გმირობა იყო მაშინ, ვინაიდან ჩვენ განთავისუფლებული არ ვიყავით. ეს ჩემთვის დაუვიწყარი ამბავია და ის სათაყვანებელი სიძეა ჩემი.

ჩიმკენტში დავრჩით მარტო გიორგი, მე და ლიდიკო. მუდამ ერთად ვიყავით ადა კომნინო, რატიშვილიც და ჩვენ. ერთხელ მე გავხდი ავად ბოტკინით. გიორგიმ გამაქანა საავადმყოფოში, საკმაოდ მოშორებით ჩვენი ბინიდან და დღეში სამჯერ მოდიოდა ჩემთან, მოჰქონდა საჭმელი. ჩამოივლიდა მთელ ქალაქს, რომ ბორჯომი ეშოვა, რაც აუცილებელი იყო ჩემი დაავადებისათვის. ვიღაც კეთილმა ბერძენმა უშოვა. ავადმყოფობა მძიმედ გადავიტანე. შინ რომ მიმიყვანა გიორგიმ, მალიან სუსტად ვგრძნობდი თავს.

ერთხელ გიორგი და მე ვსივართ ბაღში (ჩიმკენტში დიდი და ლამაზი ბაღი იყო). მე ვუთხარი გიორგის : წადი შენ იმ ბოლომდე, მე აქედან წამოვალ და ვითომ ნაცნობები შევხვდით ერთმანეთს. გიორგი წავიდა. ბაღია ბოლომდე. მეც მივეგებე, გიორგიმ, როგორც კარგმა კავალერისტმა, ფეხი-ფეხს შემოკრა: „Здравья желаю Варвара Николаевна“ და ხელზე მაკოცა.

* * *

მივიღეთ გურამ გაბაშვილის წერილი, სადაც გვწერდა: „მიაფურთხეთ ყაზახსტანს და წამოდით!“ ჩვენ ვცხოვრობდით უზბეკების ოჯახში, დოლასკსის ქუჩაზე. ჩვენს დიასახლისს 9 შვილი ჰყავდა. გარდაეცვალა დედა, მეორე ქალაქში უნდა წასულიყო. უზბეკების ტირილის ჩვევა მეგრელებისას შეიძლება მივამსგავსოთ. წავიდა მთელი ოჯახი, დატოვეს უფროსი ვაჟი (ჩვენ გვითვალთვალებდა). მუდამ თვე უნდა გამოვცხადებულიყავით შინსახკომში, კომენდატურაში, გასარკვევად, ვართ ადგილზე თუ არა. იმ დღეებში გვქონდა მიღებული გურამ გაბაშვილის წერილი, სადაც გვწერდა: რაშია საქმე? თქვენი განთავისუფლების ქაღალდი კიდევ არ მიგიღიათო? თქვენც ნუ ელოდებით საბუთებს, მიაფურთხეთ ყაზახსტანს და წამოდითო! მეც ეს მიტრიალებდა თავში. ვეუბნები გიორგის: „მოდი გავიპაროთ“, გიორგი დამეთანხმა. ხელი მაგრად დავარტყით ერთმანეთს და „შენც სუ და მეც სუ“, რამე რომ შეგვემთხვეს გზაზე, ორივე ერთნაირად ვართ დამნაშავე. იმ ღამეს შევკარით ჩვენი ბარგი-ბარხანა. გიორგიმ იშოვა მანქანა, გაურიგდა ტაშკენტამდე წავეყვანეთ — საკმაოდ ძვირად. შევთანხმდით დილის 6 საათზე უნდა გავსულიყავით. ეს საიდუმლოება გავუმხილეთ ჩვენ ბედში მყოფ, ადა კომნინოს (გაბო რატიშვილის მეუღლე, ზოზოს დედა), ჩვენი ოჯახის უახლოეს მეგობარს. ჩვენს მშობლებს ახლო მეგობრობა და ნათესაური კავშირიც ჰქონდათ. გადასახლებაში ერთ ბედქვეშ ვიყავით. მალიან განიცადა ჩვენი დაშორება და თანაც შიში ჩვენი გაპარვის გადაწყვეტილებისა. გიორგი, ლიდიკო და მე პალტოებდახურული დავწექით. ქვეშაგები გიორგიმ კონტეინერით გაგზავნა, დიდი შიშით,



ყაზახეთი, საქართველოდან გადასახლების პირველი დღეები

მარცხნიდან: ნატო ამბოკაძე-ფორაქიშვილისა, თათული მასხარაშვილი, ლუდა (ლიდიკო) სართანია, ბაბო დადიანი, ქეთევან ბახტაძე-ზალდასტანიშვილისა, გიორგი მასხარაშვილი

რომ დიასახლისის ვაჟს არ დაენახა. ის შინ არ იყო და გადავრჩით. ვერ დავიძინეთ. გიორგი მეკითხება: „დედა არ გძინავს?“, ამ დროს ლიდიკო: „არც მე მძინავს!“... ვერა და ვერ დავიძინეთ და როდესაც ჩავთვლიმე, უკვე თენდებოდა, არასოდეს დამავიწყდება, გიორგიმ რომ გაიღვიძა, დახედა საათს და დაიძახა: „დავიღუპეთ, დაგვაგვიანდა“!... უკვე დილის მეცხრე საათი იყო. ამ დროს ხალხი უკვე ქუჩაშია გამოსული. გიორგიმ ჩაიცვა პალტო და საოცარი სისწრაფით გაიქცა სახლიდან. მოვიდა მანქანით. მე ყურზე ბამბა დავიდევი და გავიხვიე, თითქოს ავად ვარ. ჩავუჯექით მანქანაში და გადავრჩით მზვერავის თვალს და გავექანეთ ტაშკენტისკენ. გზაზე ლიდიკო ცუდად გახდა, ვერ იტანს მანქანას. ჩვენ გაჩუმებულები ვართ, არ ვლაპარაკობთ, ვფრთხილობთ მძღოლთან, არ მიხვდეს, რომ ქართველები ვართ და თან გადმოსახლებულები. საჭირო გახდა მანქანის გაჩერება და ლიდიკოს გადმოუყვანა, ასე რამდენჯერმე ლიდიკოს გამო მანქანას ვაჩერებდით. გიორგი ეუნება ლიდიკოს: „გურამ გაბაშვილმა მოგვწერა მიაფურთხეთ უაზახსტანს და წამოდით, თორემ გადაარ... კი არ მოუწერია!“ მძღოლმა, გაკვირვებით: „თქვენ ქართველები ხართ?“ და უკვე ტკბილ ბაასში გავუდექით გზას. ტაშკენტში მივედით ჩემ მაზლთან, მიშიკოსთან. ეს იყო 31 დეკემბერი. ახალი წლის წინა დღე. ახალ წელს დიდებულად შევხვდით, დიდი სიყვარულით და სითბოთი. მეორე დღეს მატარებელში შიშით გატრუნულები ვიყავით, ვინაიდან არავითარი საბუთი ჩვენ არ გვქონდა. დიდი შიშით ვიყავით შეპყრობილი. კუპეში სულ ჩაკეტილები ვიყავით მოსკოვამდე. მოსკოვში მივედით კაზიშვილებთან. მერე მე და ლიდიკო მირზოიანებთან. მეორე დღეს წავედით თბილისში. გიორგიმ აიღო ბილეთები მოსკოვი-ერევანი, მე ვუსაყვედურე: საქართველოს მონატრებულები რაღა ერევნის მატარებლით მივდივართთქო. სხვა არ იყო — მიპასუხა.

თბილისის სადგურზე დაგვხვდა უამრავი ხალხი. მთელი ნათესაობა, ჩემი თანამშრომლები, გიორგის თანაკლასელები, მეგობრები, ლიდიკოს მთელი კლასი და გააქანეს კინოში... მე თათულის რომ ჩავეკარი გულში, ჩუმად ვუთხარი: „გამოპარულები ვართ“. წავედით ჩვენს ბინაზე, მერჟინსკის ქუჩაზე №1. გასაღები შინსახკომიდან თათულის ჩააბარეს. შევედით ცარიელ ოთახებში. ანიჩკამ, ჩემმა მულმა, სკამები დაგვახვედრა. სასადილო მაგიდა ჩემი ინსტიტუტის თანამშრომლებმა მიყიდეს. თეთრეული და ყველაფერი, რაც ოჯახს სჭირდება, ყველამ ცოტ-ცოტა მოგვიტანა. მეორე დღეს უნდა გამოვცხადებულიყავი შინსახკომში, შურღაიასთან. მე მძიმე ავადმყოფობა მქონდა გადატანილი, ბოტკინი და სიყვითლე ცოტა კიდევ მქონდა დარჩენილი. რომ შევედი შურღაიასთან, კარგად მიმიღო, მაგრამ მითხრა, რატომ წამოხვედით, სანამ გან-

თავისუფლების ქაღალდი არ გქონდათ მიღებულიო და მაჩვენა ელვა დეპეშა ყაზახისტანიდან. **Молния. Спецпереселенцев, семью Дадиани-Масхарашвили орестовать и этапным порядком выслать обратно в Казахстан.** ელდა მეცა ეს რომ წავიკითხე, მაგრამ შურღაიამ შემომხედა, გაუვითლებულს, გაუბედურებულს, მკითხა: „ავად იყავით?“ მე ვუპასუხე: „ბოტკინით ვიყავი ავად“. გამიჭირდა და გადავწყვიტე არ დავლოდებოდი განთავისუფლების საბუთს. ცუდად ვიყავი, არ მინდოდა იქ სიკვდილი. ჩემ მიწაში, საქართველოში მინდოდა სიკვდილი-მეთქი. „კარგი, დედი, — მეუბნება შურღაია — თქვენ იმდენჯერ ხართ თავში ჩარტყმული, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ დაგტოვოთ და გაპატიოთო. ოღონდ ხელი მოაწერეთ ქაღალდს“. მე თავზარი დამეცა, ვაი თუ შემომთავაზონ მათთან მუშაობა, მაშინ ან თავს მოვიკლავდი ან უკან, ყაზახეთში წავიდოდი სამუდამოდ. ქაღალდზე კი ეწერა, რომ შინსახკომის ნებართვის გარეშე მე საქართველოდან არსად არ უნდა წავიდე. სული მოვითქვი ეს რომ წავიკითხე და ვუპასუხე: თქვენ თუ არ გადამასახლებთ, მე საქართველოდან არასოდეს არსად არ წავალ-მეთქი. ამაზე შურღაიამ გადიხარხარა.

* * *

შემდეგ, რა თქმა უნდა, მივედი ინსტიტუტში ენათმეცნიერების, სადაც ვმუშაობდი გადასახლებამდე, მაგრამ დირექტორმა მალიან ცივად მიმიღო. ჩემ აღდგენაზე პასუხიც არ გამცა. ისევ გულში ლახვარი. გადავწყვიტე მივსულიყავი რაიკომის მდივანთან. მაშინ დათიკო ჩხიკვიშვილი იყო. ჩავეწერე და დანიშნულ დღეს მივედი. შევედი მისაღებ ოთახში, მდივანთან. იქ ერთი ჩვენი ახლობელი იჯდა. ისიც მიღებაზე იყო ჩაწერილი. მე რომ დამინახა, გაზეთი აიფარა სახეზე, ვითომ ვერ მხედავს და გაზეთს კითხულობს! შეეშინდა ჩემთვის სალამის მოცემა. საოცრად მეტკინა გული. ვიფიქრე, ახლობელს სალამის მოცემა ეშინია და რაიკომის მდივანთან როგორ მივიდე-თქო. ის იყო გადავწყვიტე იმ წუთშივე იქაურობა მიმეტოვებია და შინ წავსულიყავი, რომ ამ დროს მდივანმა გამომიძახა: თქვენი რიგია და შებრძანდითო. მე მოკრძალებით შევაღე კარი და შევედი. რაიკომის მდივანი დათიკო ჩხიკვიშვილი ადგა, შუა ოთახში მომეგება, გადამხვია ხელი და მითხრა: „როგორ გაწვალდით, ქალბატონო ბაბო“... (დათიკო ჩხიკვიშვილი მუშაობდა ჩვენთან აკადემიაში, იქიდან ვახსოვდი და მისი კაიკაცობის მაჩვენებელია ის სიკეთე, რაც მან გამიკეთა. ჩემი თანდასწრებით დაურეკა აკადემიის პრეზიდენტს ნიკო მუსხელიშვილს და უთხრა: „ჩემთან არის ბაბო დადიანი-მასხარაშვილი,

გადასახლებიდან დაბრუნებული, უნდა აღადგინოთ თავის სამსახურში და გთხოვთ, შესრულებაზე დამირეკოთ, შემატყობინოთო“.

ამას რა დაუდგებოდა წინ. ისევ ძველი სამუშაო, ძველი მეგობრები და გადიოდა წლები.

ამ უმძიმეს დროშიც რჩებოდა სიკეთის, ურთიერთდანდობის, ერთგულების მშვენიერი მაგალითები...

იმ დროს, როცა ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ისე, როგორც მე და ჩემი ოჯახი, „ხალხის მტრად“ და „მავნებლებად“ ვიყავით გამოცხადებული, ბევრი სალამსაც არ მაძლევდა.

ერთხელ დირექტორმა დამიბარა კაბინეტში და საკმაოდ მკაცრად მითხრა: „დაწერეთ განცხადება და წადით!“ ვუპასუხე: „მყავს ორი შვილი, მესამე კი შვილობილი გასაზრდელი... ჩემი ნებით ვერ წავალ. თუ აუცილებელია, თქვენ თვითონ დაწერეთ განთავისუფლების ბრძანება-თქო“... მან კი შრომის კანონის მიხედვით მოტივაცია ვერ ნახა.

იყო კიდევ ასეთი ფაქტი: მეცნიერებათა აკადემიის დიდ დარბაზში სესია ტარდებოდა. თანამშრომელთა დასწრება აუცილებლობას წარმოადგენდა. ადგილები თითქმის ყველა დაკავებული იყო. ჩემს გვერდით, ცარიელ სკამზე დასაჯდომად გამოემართა ერთი ნაცნობი კაცი (კომუნისტი, პარტიის წევრი). დაჯდა, მოიხედა და მე რომ დამინახა, იმ წუთშივე ელდანაკრავივით ადგა და კარებთან დადგა. ჩემთან ახლოს ჯდომა სახიფათოდ ჩათვალა (რეგვენი).

* * *

ვიყავით თანამშრომლის პანაშვიდზე. გვიანი საღამოა, სუსხიანი შემოდგომა, მალიან ცივა. წამოვიდა საშინელი წვიმა, ნიაღვარი. მეცვა ნაჭრის, ტილოს ფეხსაცმელი. ვფიქრობდი, როგორ წავიდე აქედან. ამ დროს მომიახლოვდა თამაზ გამყრელიძე და მითხრა: „ქ-ნო ბაბო, არ წახვიდეთ. მე მიგიყვანთ სახლამდე მანქანით“...

იმ პანაშვიდზე მალიან ბევრი იყო ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელი მანქანით... თითქოს ერთი ოჯახივით ვიყავით, მაგრამ მხოლოდ თამაზ გამყრელიძემ გამოავლინა ქართული რაინდობა...

დროის გადასახედიდან ჩემთვის ეს ფაქტი დაუვიწყარია. თამაზმა მართლაც მიმიყვანა სახლამდე (მერჯანისკის ქ. №1). გადმოვიდა მანქანიდან და სანამ ჩემი სადარბაზოს კარს გავაღებდი, არ მიმატოვა.

* * *

წლები გადის. ყველაფერი თითქოს გუშინ მოხდა....

მატარებლით ბათუმში მივდიოდით მე და ჩემი ალიოშა. იქ ერთმა ინგლისელმა უდიერად მოიხსენია ქართველობა. ჩემმა მეუღლემ სილა გააწნა. ინგლისელმა იარაღი ამოიღო და ესროლა. დაჭრილი ძლივს გადავარჩინეთ. ამ ფაქტის მოწმეა ნიკო მუსხელიშვილის ცოლის ძმა ტერ-მიქაელიანი, რომელიც ყოველ შეხვედრისას აღფრთოვანებით მახსენებდა ალიოშას ამ საქციელს.

თურმე რა მელოდა წინ... დაპატიმრებები, გადასახლება, საშინელი სიტყვები: **„Без права переписки“**

როცა ჩემი მეუღლის სანახავად როსტოვში ჩასული, ეშალონების წინ დავრბოდი და მის სახელს ხმამაღლა ვყვიროდი, როცა თბილი ქურქი რომელიღაც პატიმარს მივაჩეჩე, ალიოშას თუ ნახავთ, გადაეცით-თქო, ის თურმე უკვე დახვრეტილი იყო...

დამიხვრიტეს საყვარელი ბაბუა, ბიძები...

ჩემი ძმა, ბონდო დადიანი, ოცდაოთხი წლის ამბების შემდეგ, სიკვდილმისჯილთა საკანში უცდიდა განაჩენს. მასთან მოულოდნელად მივიდა მისი მეგობარი, საპატიმროების სამსახურში მყოფი. ვეცდები შენი უკანასკნელი სურვილი შევასრულოო.

ნახა ცოლ-შვილი და სიკვდილმისჯილი რაინდულად, დაუკვიანებლად დაბრუნდა საკანში. უკანასკნელ მომენტში, მოსკოვიდან გამოგზავნილმა, ენუქიძის ხელმოწერილმა შეწყალებამ იხსნა.



ბაბო დადიანის ძმა ბონდო დადიანი

იმედი შეუძლებელსაც ეპოტინება და მეც ამის მიმდევარი ვარ. გაისადაც და მერმისშიც მაქვს იმედი, ყველაფერი კარგად იქნება. ჟამი ყოვლის მკურნალია.

ძველი ათენელების სამართლის მიხედვით, სამშობლოდან გაძევება და სიკვდილი თანაბარ სასჯელად ითვლებოდა. მე ეს ორჯერ მარგუნა ჟამთა სიავემ. კომუნისტებმა ორჯერ გადამასახლეს.

* * *

სტალინის რეჟიმი აღარ იყო. ყველაფერი შეიცვალა. მეც დავიწყე მერი დედასთან მიწერ-მოწერა. მისგან მიპატიჟება მივიღე. სადაც ჯერ არს, უარი მითხრეს.

გავაგზავნე მოსკოვში ვრცელი განცხადება. ვწერდი მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ნანახი უსამართლობის შესახებ... რომ მაქვს მიღებული რეაბილიტაცია... რომ პარიზში ცხოვრობს ჩემი ოჯახი: დედა 80 წლის, ძმა და უმცროსი და. ძმა ამერიკაში ცხოვრობს... საკვირველია, ვწერ განცხადებაში, სტალინის სიკვდილის შემდეგ გზა გაიხსნა, მალიან ბევრი მიდის პარიზში. ბევრი ჩემი ნაცნობი სტუმრად იყო ჩემს დედასთან. მე რატომ მეკრძალება ეს? ვითხოვ თქვენს სამართლიან გადაწყვეტილებას, რათა წავიდე და ვინახულო ჩემი 45 წლის უნახავი ოჯახი.

გავიდა დრო და ერთ დღეს მივიღე უწყება. გამომიძახეს შინსახკომში. მითხრეს: მოსკოვში რატომ გაგზავნე საჩივარიო. შეავსეთ ანკეტები, რაც საჭიროა, ყველა საბუთი გაამზადეთ და მიიღებთ პარიზში წასვლის ნებასო...



ბაბო დადიანის ძმა მიხეილ (ბუჭუ) დადიანი

სიხარულით შევუდექი საქმეს. მოსკოვიდანაც თანხმობა მივიღე. გამიშვეს. 1963 წელს პირველად წავედი პარიზში. სადგურზე დამხვდნენ გიორგი და მია. მის გულამოსკვნილი მივედი. კიბეებზე მელოდა ჩემი მერი დედა, წითელი შალი ჰქონდა მოხვეული. კოცნა-ხვევნა, ცრემლები... ღამე გვიან დავწექით...

მეორე დღეს წავედით ბაბას საფლავზე... მწარე, უძილო ღამე მქონდა ამის შემდეგ...

მერე დაიწყო ჩემი ტარება პარიზის ღირსშესანიშნავი ადგილების სანახავად...

ისე უნდოდა ყველა იქაურ ქართველს ჩემი პატივისცემა, რომ ჩამოწერეს სია, ვინ როდის წამიყვანდა. ყოველი დღე იყო საოცრად დატვირთული და საინტერესო... მერი-დედასთან გაუთავებელი და ტკბილი საუბრები... ვიხსენებდით ნოსირს, ქუთაისს... თბილისში რტიშევის ქუჩას (ახლანდელი ჯაფარიძის ქუჩა), სადაც ჩემი ქორწილი იყო... დიდებული ქორწილი, სუფრა, საუკეთესო საზოგადოება... მალიან გვი-

ანობამდე ვლაპარაკობდით. რამდენი რამ გვქონდა სათქმელი ნათესავებზე, მეგობრებზე...

მერი დედამ, გიორგიმ, მიამ, ლუსიმ ერთხელ დამიპატიჟეს უამრავი სტუმარი — ემიგრაციაში მყოფი ახლობლები, ნაცნობები, მეგობრები, სულ 46 კაცი. დიდებულად გავატარეთ დრო.

პარიზში ვინახულე მერი შარვაშიძე (გალაკტიონის მერი). მინდა გავიხსენო ნამდვილად როგორი იყო იგი, რუსეთის იმპერატორის ფრეილინა, ღირსეული და დიდებული ვაჟკაცის გიგუშა ერისთავის მეუღლე. მე კი დავწერე „გალაკტიონის მერი", მაგრამ ის არასდროს ყოფილა გალაკტიონის და ვერც ვერასდროს იქნებოდა, რადგან სხვა წრის ქალი იყო. გალაკტიონი მის წრეში ვერ შეაღწევდა ვერასდროს, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ყველა ადამიანს თავისი ცხოვრების მიზანი აქვს. გალაკტიონს არც უცდია მასთან დაახლოება, არც სჭირდებოდა. მან მისგან მიიღო პოეტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი — შთაგონება...

მერი იყო მაღალი, არაჩვეულებრივი აღნაგობის, ღია თაფლისფერი თვალებით და წაბლისფერი თმებით. ამასთანავე საოცრად სათნო და მოკრძალებული. რუსეთის იმპერატორს მიუმართავს მისთვის — „*Грешно быть такой красивой...*" მაქვს სურათი, მერი ფრეილინას ტანსაცმელში. ბორდოსფერი სავერდის კაბა, გულზე ბრილიანტის მიფრი — ფრეილინების ნიშანი.

საქართველოში რამდენიმე ქალი აცხადებდა, რომ გალაკტიონის მუზა მე ვიყავიო. ამ თემაზე



**მერი შარვაშიძე ფრეილინას კაბაში**

კითხვით მივმართე გალაკტიონს. მან წვერზე ჩამოისვა ხელი და ღიმილით მიპასუხა – ,,ისე მომაბეზრეს თავი ამ ქალებმა, რომ ყველას ვეუბნები: შენ მოგიძღვენი მერი, შენ მოგიძღვენი-მეთქი... მაგრამ ქალბატონო ბაბო, მე ამ ლექსს თქვენი მერის გარდა ვერავის მივუძღვნიდი“... აქვე ავღნიშნავ, გალაკტიონმა მერი ნახა ქუთაისში, ჯვრისწერაზე. მერი,როგორც ვთქვი, მას საერთოდ არ იცნობდა.

ლადო გუდიაშვილმა მითხრა ერთხელ: გალაკტიონმა მომიტანა მისი ფოტოსურათი და მთხოვა, მერი შარვაშიძე დამიხატეო...

ლადომ პორტრეტი საკუთარ მანერაში დახატა, მაგრამ როცა გალაკტიონს უნახავს, სასტიკად აღშფოთებულა: ეს ჩემი მერი არ არისო...

მე და მერი, გარდა იმისა,რომ შარვაშიძეების მხრიდან ვენათესავებოდით ერთმანეთს, მისი მეჯვარე იყო მამაჩემი, კოკი დადიანი. ჩემი მეჯვარე კი მერი შარვაშიძე გასლდათ. მერი ყოველთვის სიყვარულით იხსენებდა ამ ორ ბედნიერ დღეს. ამაზე მწერდა კიდეც პარიზიდან. მისი მეუღლე გიგუშა ერისთავი ემიგრაციაში მალე გარდაიცვალა.

ადმირალ მაკაროვის ვაჟი ყოფილა მერი შარვაშიძეზე უგონოდ შეყვარებული ... როცა გარდაიცვალა, ანდერძით 5000 დოლარი დაუტოვებია მისთვის, რაც მაშინ დიდი ფული იყო.



თამარ ციციშვილი, ლადო გუდიაშვილი,
ბაბო დადიანი-მასხარაშვილი

უკანასკნელად მერი 1982 წელს ვნახე პარიზში. მაშინ მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრობდა, სადაც შესანიშნავი მომსახურება იყო. ორი ოთახი, მოასლით.

მერი გარდაიცვალა 1986 წელს, დეკემბერში, 97 წლის ასაკში, ისევ წარმოუდგენლად მშვენიერი, სრულიად საღი გონებით და მეხსიერებით. მისი გარდაცვალების ამბავი შევატყობინე ჩვენს კათალიკოს-პატრიაქს, ილია მეორეს, რომელმაც გადაუხადა პანაშვიდი სიონის ტაძარში. მერის სულზე ქართულმა ეკლესიამ იზრუნა, შორს საფრანგეთიდან...



გიორგი დადიანის კლუბი პარიზში

ოთარ ზურაბაშვილი, გიორგი დადიანი, გრაფ ლესეპსის ქალიშვილები, ლუსი – გიორგი დადიანის მეუღლე, გრაფინია ლესეპსისი, მია დადიანი, ბაბო დადიანი, გრაფი ლესეპსი, მიშო გოგიტიძე.

პარიზში 3 თვე დავრჩი... ლამაზად გამომაწყვეს. უამრავი საჩუქარი მივიღე. ოჯახებშიც მომიწყვეს წვეულება ირინე და ნატამა ბაგრატიონებთან (ბურების ქალიშვილები), ამილახვრებთან (ბაზორკას შვილებთან). ბაზორკა ამილახვრის ქალიშვილი კინსკის მეუღლეა.

ერთ დილით კი ამერიკიდან, სანფრანცისკოდან ჩამოვიდა ჩემი უმცროსი ძმა სვიმონი, სიმონიკა. იმავე დღეს 3 საათზე, ვაშინგტონიდან ჩამოვიდა უფროსი ძმა მისეილი, ბუბუ. ცოლად ჰყავდა ვანო გომართელის ქალიშვილი — თინა. იმავე საღამოს ლონდონიდან ჩამოვიდა ჩემი მაზლი ბესარიონ მახსარაშვილი...



ლუარსაბ დადიანი, გიორგი დადიანი, მერი წერეთელი, მია დადიანი, ბაბო დადიანი, ლუსი (გიორგი დადიანის ამერიკელი მეუღლე)

გასაოცარი განცდები... ნახევარი საუკუნის უნახავი ძმების ჩამოსვლა... ნახევარი საუკუნის უნახავები ერთ დღეს ვნახე... სათითაოდ გულში ჩავიხუტე. შეუძლებელია ამ განცდების დავიწყება.



ბაბო დადიანის ძმა —
მხატვარი სვიმონ (სიმონიკა) დადიანი

* * *

წარსულის სწორი, სამართლიანი აღწერა ისევე აუცილებელია, როგორც მომავლის მოლოდინი.

ბევრჯერ ვყოფილვარ მოწმე, როგორ აყალბებდნენ ფაქტებს, მოვლენებს, ბევრიც მიბრძოლია ამის გამო... ხშირად ვცდილობ წერილობითი პასუხიც გავცე.

ერთხელ, გაზეთში „კოლხური დიადემა" (1991 წ. 2 აპრილი) დაიბეჭდა ცნობა, რომ ერთ მოხუცს, მორწმუნე ქალს მართას, რომელიც მუდამ წირვა-ლოცვას ესწრებოდა, ეპისკოპოსობა შესთავაზეს და უარი განაცხადა. ვინ და როდის შესთავაზა ეპისკოპოსობა ქალს? 1921 წლიდან 1927 წლამდე საქართველოს პატრიარქი იყო უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი ხელაია, 1927 წლიდან 1932 წლამდე ქრისტეფორე ციცქიშვილი, 1932 წლიდან 1953 წლამდე კალისტრატე ცინცაძე.... ვის დროს შეიძლებოდა მომხდარიყო მართლმადიდებლური, ქრისტიანული ეკლესიისთვის ესოდენ დაუშვებელი შეთავაზება?

ქალს, რომელზედაც საუბრობს კორესპოდენტი, მე ვიცნობდი... ის გახლდათ ლავრენტი ბერიას დედა, სახელად მართა, უაღრესად ღვთისმოსავი მანდილოსანი.... მაშინ ხუთი თუ ექვსი ქალი ვესწრებოდით წირვა-ლოცვას. ერთ მამაკაცს ვერ ნახავდით ტაძარში (იყო ასეთი დროც). ეს მოხუცი ქალი ცდილობდა შეუმჩნეველი ყოფილიყო. იდგა შორს, კუთხეში, თავზე ლეჩაქ- მოხვეული. იშვიათად ამოიღებდა ხმას. თუკი ვინმეს შეესიტყვებოდა, იყვნენ სიონის მრევლის უხუცესი წევრი ქალბატონი ნინო ლოლაძე და მე. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და ქალბატონ მართას ვეცოდებოდი. იცოდა, მეუღლე 2 წლის დაპატიმრებული მყავდა და ორი შვილით უსახლკაროდ ვიყავი დარჩენილი. იტყოდა: „მეცოდები, მაგრამ მე ვერაფერს ვეტყვიო ლავრენტის, არ მაქვს უფლება. ილოცე, ილოცე, ევედრე ღმერთს და ის გიშველისო..."

მახსოვს, ერთხელ კათალიკოს კალისტრატესთან მივიდა ფეხშიშველი, მხურვალედ მლოცველი თავის და სხვათა ცოდვების გამო. ამის მოწმეა ქალბატონი ანთისა ცინცაძე (კათალიკოს კალისტრატეს ძმიშვილი). იგი დღესაც სიონის ტაძარში მუშაობს მედავითნედ. მე, 88 წლის მოხუცს, სიონის უხუცეს მრევლთაგანს, უაღრესად თავმდაბალი და ღვთისმოშიში მახსოვს და ხშირად მახსენდება ქალბატონი მართა და მისი ტრაგიკული ხვედრი — ყოფილიყო ჯალათის დედა.

* * *

ეხლანდელი ჩვენი, პირადად ჩემიც, მშვიდობიანი პირობების სინამდვილე იმედს მაძლევს ტკბილად და მშვიდად გავატარო დარჩენილი ცხოვრება. დავტკბე შვილებით და შვილიშვილებით.

მახსოვს, ერთი წლის მანძილზე იმულებით მოშორებული, გამიძავებული თათული როგორ ჩამოიყვანეს ჩემმა მეგობრებმა ადამიანებმა ნანა მინაიამ და მორდუმ — მოსე სართანიამ. ბუცაცამ, მათმა რძალმა, აწოვა ძუძუ პატარა თათულის.

ეტლი რომ გაჩერდა ჩვენს სახლთან და თათული დავინახე, კანკალი დამაწყებინა. არ ვიცოდი, რა მექნა სიხარულისგან. მაშინ 21 წლის ვიყავი. თათული მზით გამავებული, ჩაფსკვნილი, ცეცხლივით თვალებით, ცელქი, ცელქი.... გიორგი უკვე 3 წლის იყო. იჯდა ნოხზე და გარშემო ეწყო სათამაშო ცხენები, ძროხები და ქათმები...

თათული მივარდა და გაოცებული უყურებდა. ეს ყველაფერი მას სოფელში ცოცხალი ყავდა ნანახი. ასე ჩამოვიდა თათული ბანძიდან. გაიზარდა და დაქალდა მოკრძალებული, თავმდაბალი, ყველასთვის მზრუნველი, იდეალური დედა, სპეტაკი მეუღლე.

მყუდროა ჩვენი ოჯახი. არაფერს ვაშავებთ. ვაგრძელებთ სინდისიერი მოქალაქეების მოვალეობის შესრულებას.

ბედნიერი ვარ ჩემი შვილების სისპეტაკით. გიორგი წესიერი, პრინციპული, უაღრესად მტკიცე ხასიათისაა. მეამაყება ჩემი კეთილი და ლამაზი თათული, თავისი კეთილშობილი და მშრომელი, ხელოვანი მეუღლით — თენგიზით...

დრო მართლა აშუშებს ჭრილობებს?... ვინ იცის...

დღეს მალიან დაღლილი ვარ. ხელის ტკივილის გამო უძილო ღამეები გავატარე, თორემ ეს ჩემი განცდები სხვანაირად მინდოდა გამომეთქვა.

*1959, წვიმიანი გაზაფხული*





* * *

1982 წლის მარიამობის თვე. ვარ სიონის ტაძრის მრევლი. ეპისკოპოსმა ანანიამ დამიწერა შესანიშნავი სიტყვები: „თქვენ ბრძანდებით ჩვენი მრევლის მზრუნველი დედა" მადლობთ.

მეორე დიდი პატივი – საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დამაჯილდოვა წმინდა გიორგის პირველი ხარისხის ორდენით.

* * *

ვგრძნობ უდიდეს შინაგან ძალას. ცრემლებამდე მადლობელი ვარ. დილით ვეზიარე კიდეც, სადილად მიწვეული ვიყავი პატრიარქთან.

ვფიქრობ ყველაფერზე, რაც იყო, რაც არის და მინდა ვთქვა: ყველას ეპატიოს დანაშაული ნებსითი თუ უნებლიე. უფალმა ყველა დაიცვას. საქართველო, ქართველი ხალხის გულუხვობით, ჩვენს ეკლესიებში აღვლენილი ლოცვებით, მუდამ აყვავებული ყოფილიყოს.

იმათაც, ვინც მე გამწირა და გაუსაძლისი ტკივილები მომაყენა, ღმერთმა ყველაფერი აპატიოს.



## გამოსათხოვარი

ეს იყო გიორგობისთვის მიწურულს. დიდი სიონის ტაძრის თაღებქვეშ ყვავილებში ჩაძირული ესვენა საუკუნის მანდილოსანი, დიდებული ქალბატონი ბაბო დადიანი, მვირფასი დეიდა ბაბო, უსაყვარლესი ბაბლი... ის, ვინც თითქმის საუკუნესთან ერთად დაიბადა და მის დამლევს აღესრულა; ის, ვინც იგემა მეოცე საუკუნის საქართველოს ტკბილ-მწარე ხვედრი და იყო ჩვენი სამშობლოსთვის ლამაზი, ტანჯული და გაუტეხელი. მოწამეობრივი ცხოვრება წინაპართაგან დაებედა დიდი მიხეილ შარვაშიძის შვილთაშვილს. ჩეკისტებმა მოუკლეს ახალგაზრდა მეუღლე ალიოშა მასხარაშვილი, არაერთხელ აჰყარეს და მთელი ოჯახით გადაასახლეს; მაგრამ ბამბის კრეფაში ნატკენი თითებით ის მაინც პირჯვარს იწერდა, ღვთის სიყვარული და სასოება ასულდგმულებდა, არასოდეს დაუკარგავს სულიერი მთლიანობა, არასოდეს შერყეულა არანაირი არჩევანის წინაშე. მან მხოლოდ ერთხელ აირჩია — ძველი ქართველი მორწმუნე მანდილოსნების დარად. ამ არჩევანმა მიანიჭა მალაც და გამძლეობაც. ასე მივიდა სიცოცხლის ბოლომდე სულით და ხორცით მშვენიერი. დიდებული და ღირსეული. ცხოვრების წესად ლოცვა, თავმდაბლობა და სისადავე ჰქონდა. ურწმუნო დროში რწმენისა და სიმართლის მაგალითი იყო ეკლესიაში ფრთხილად და კანტი-კუნტად მავალ ადამიანთათვის... სწორედ ურყევი რწმენისა უმწიკვლო ცხოვრებისათვის დააჯილდოვა იგი წმინდა გიორგის პირველი ხარისხის ორდენით საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ წმ. სინოდის გადაწყვეტილებით.

იმ დღეს კი გარშემო ეხვია უამრავი ახლობელი და თაყვანისმცემელი ადამიანი. მას ამ თაღებქვეშ ლოცვასა და ამაღლებულ ფიქრებში მრავალი საათი გაუტარებია, სანამ ფეხზე დგომა არ გაუჭირდა... როგორ წუხდა უკანასკნელ წლებში, რომ სიარული და საყვარელ ეკლესიებში მისვლა აღარ შეეძლო, მაგრამ ეს ბოლო მისვლა ყველაფერს უდრიდა. საოცარი განცდა სუფევდა გაბრწყინებულ ტაძარში, აქ სიკვდილი არ იყო

— გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ი ს საიდუმლოს გაეხსნა და ცისკენ მიეპყრო ყველა დამსწრეს სული... გალობდა გუნდი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე — კათალიკოსი საქართველოსი მისთვის ლოცვას აღავლენდა, რაღაც დიდი და იდუმალი მადლი ყველა იქ მყოფს აღამაღლებდა. იმ წუთებში ასე მეგონა, მან ყველაფერი იცოდა და ყველაფერს ხედავდა...

ამიერიდან, ყოველ წმინდა ბარბარობას, ვიდრე ვიცოცხლებ, გული სინანულით მომეწურება; თვალწინ დამიდგება პაწაწინა ბინა დადიანის ქუჩაზე, სანთლების შუქით განთებული ხატების წინ საყვარელი დეიდა ბაბო, მისი საოცრად ქართული, მველებური სილამაზით გადაწერილი პირჯვარი... მთელი დღე მომლოცველები მოდიან; პირველად, რა თქმა უნდა, გიორგი და თათული — ულამაზესი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, მისი უსაყვარლესი უფროსი სიძე — თენგიზ ღვინიაშვილი (ჩეკისტებს რომ არ შეუშინდა, გადასახლებაში ეახლა და ქალიშვილის ხელი სთხოვა მოკრძალებით). კარზე კი სულ აკაკუნებენ, დაფუსფუსებს მისი გაზრდილი, კედლები სავსეა ულამაზესი სახეებით (ეს ის სურათებია, ჯალათებისაგან მალულად ლეიბში გამოკერებული რომ წაიღო გადასახლებაში). იმათი თვალებიდანაც მოდის სიწმინდე და კეთილ სულთა მეტყველება... „ხომ მოხვალ შობას — ჩიჩილაკი მექნება“ — უკვე ხსოვნაში გაიჟღერებს მვირფასი ხმა, დღესასწაულის მოლოცვას რომ ვერ დაასწრებდი და მესმის მისი გულისხმიერი — „ჩვენთან არს ღმერთი“.

*თამარ ჯავახიშვილი*

*16.12.1999 წ.*

## სარჩევი

რედაქტორისგან....3
მოგონებათა დღიური ....11
გამოსათხოვარი .... 111

პროექტის ავტორი და
რედაქტორ-შემდგენელი ნინო ხოფერია

კონსულტანტი თათული ღვინიაშვილი

გამომცემლობის რედაქტორი მანანა ბალიაშვილი

დიზაინი და კომპიუტერული
უზრუნველყოფა ნანა ესართია

მულტიმედია კომპაქტ-დისკის
პროგრამირება და დიზაინი შალვა ლურსმანაშვილი

მხატვარი გია ცხადაია

გამომცემელი მარინე ცხადაია

გამოცემას ახლავს ბაბო დადიანის
ფოტოალბომის ელექტრონული ვერსია